

კ. ოცხელის წიგნის მალაზიის გამოცემა

ს ი მ ო ნ მ ვ ა რ ი ა ნ ი

# საქართველოს ისტორია

შემოკლებული კურსი

მეშვიდე გამოცემა

მ შ თ ა ნ ი ს ი

ქართველთა შორის წ.-კ. გაშავრც. საზოგადოების სტამბა.

1918



კ. ოცხელის წიგნის მალაზიის გამოცემა

ს ი მ ო ნ მ ა რ ი ა ნ ი

# საქართველოს ისტორია

19349

შემოკლებული კურსი

შეშვადე გამოცემა



ქ. შ. თ. ა. ნ. ს. ი.

ქარაიველია შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ქუთ. განყ. სტამბა

1918

## 1. ჩვენი სამშობლო

ჩვენი სამშობლო არის საქართველო. ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, რადგანაც ჩვენი დედა-ენა ქართულია. საქართველოს ერთი ნაწილი ოსმალებს უჭირავს, მეორე უფრო დიდი ნაწილი კი რუსეთს. ოსმალებმა ძალით მოგლიჯეს საქართველოს ის ნაწილი და მცხოვრებთ მიაღებინეს თავისი სარწმუნოება. რუსეთს კი ჩვენ თვითონ შევუკავშირდით იმ მოსაზრებით, რომ დიდი რუსეთი გაგვიწვედა მფარველობას და გვიხსნიდა აურაცხელ მტერთაგან. საქართველოში მოისპო მეფობა, დამყარდა რუსული მართვა-გამგეობა და გაბატონდა რუსული ენა.

ძველად ასე არ იყო. საქართველოს ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა საკუთარი მართვა გამგეობა, სასამართლო, შკოლა, ფული და ჯარი, და როგორც ეკლესიასა და შკოლაში, ისე სასამართლოში ქართული ენა იყო გამეფებული. ქართველი ერი თავისუფალი იყო, მაგრამ ამავე დროს მას ირგვლივ აუარებელი მტერი ეხვია და მოსვენებას არ აძლევდა: ყველას სურდა ჩაეგდო ხელში ჩვენი მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა; ხშირად ხდებოდა საშინელი ბრძოლა, იღვროდა ჩვენ წინაპართა სისხლი და ირწყოდა მით საქართველოს ველმინდორი; მაგრამ ქართველი ერი ადვილიად არ უთმობდა მტერს ბრძოლის ველს, იაფად არ ჰყიდდა თავისუფლებას. ქართველთა მცირე რაზმი თავგამოდებით იბრძოდა მტარვალთა წინააღმდეგ და ხშირად ამარცხებდა ათჯერ მეტს მტრის ლაშქარს. მამაცობით განთქმულ ქართველს ხშირად მხარს უშვენებდა ბრძოლის ველზე ქართველი ქალი: იგი თავისი გმირობით აქეზებდა ქმარსა, ძმებსა და შვილებს.

ზავიდა ათასი წლები; მტრები გაძლიერდნენ, ქართველი-  
ერი კი მუდმივი ბრძოლით დაიქანცა და დასუსტდა; ის იძუ-  
ლებული გახდა შეკავშირებოდა რუსეთს.

## 2. შარტოველი ტომები

იშვიათია ქვეყანაზე ისეთი კარგი ქვეყანა, როგორცაა  
საქართველო. იგი გადაშლილია ორ ზღვას შორის და  
თავის სიმშვენიერით ხიზლავს ადამიანს. ჩრდილოეთით მას იუფა-  
რავს ცივი ქარისაგან თოვლით მოსილი კავკასიონი. ტყით დაბუ-  
რული მთა-გორაკები, ვახით შემკული მწვანე კორდები, პურის,  
სიმინდისა და ლომის ყანებით ოქროს ფრად მბზინავი ვრცელი  
ქალები, — აი საქართველოს ტურთა ბუნება! მასზე მორბიან  
ანკარა მდინარენი, მთებიდან ვადმოქუხს ბროლის ჩანჩქერი  
და ახარებს ქართველის გულს.

საქართველოს საზღვრებია: აღმოსავლეთით თეთრი ანუ  
კასპის ზღვა, დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთით სპარსეთი  
და ოსმალეთი, ჩრდილოეთით კი კავკასიონის ქედი. მთელი  
საქართველო იყოფა სამ ნაწილად: აღმოსავლეთი საქართველო  
ანუ ივერია, დასავლეთი საქართველო ანუ კოლხიდა და სამხრე-  
თი საქართველო ანუ მესხეთი. საქართველოს სამივე  
ნაწილი რამდენიმე წვრილ მხარედ იყოფა. ივერიის  
მხარეებია: ქართლი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქიზთუი, სა-  
ინგილო, ორჭხალო, და განჯა ანუ რანი. კოლხიდის — იმე-  
რეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანე-  
თი; ჭანეთი ანუ ლაზიკა და კაზადაკია. მესხეთის ნაწილე-  
ბია: ჯავახეთი, შავშეთი, ერყმეთი, ლიბანა და კლარჯეთი.  
ღრეს ჯავახეთის ერთ ნაწილს ახალციხე, ჰქვია, შავშეთის  
ნაწილს — აჭარა და ძლარჯეთისას — ქობულეთი.

საქართველოს აქ ჩამოთვლილ კუთხეებში ცხოვრობენ  
ქართველი ტომები, რომელთაც იმავე მხარეების სახელები ჰქვი-

ათ; შავ., ჭართლში არიან ქართლელები, ქახეთში—კახელები, იმერეთში—იმერლები, შურიაში—გურულები და სხ. ათარებელმა მტერმა და ხანგრძლივმა ომებმა ფრიად შეამცირეს ქართველთა რიცხვი. წინად, თამარ მეფის დროს, ქართველთა რაოდენობა სულ მაღიანადი იყო, ახლა კი ძლივს ორ მილიონ ნახევრამდე აღის. ათასი წლების განმავლობაში უღმობელმა მტრებმა დაღუპეს და დაგლიჯეს ჩვენი უბედური სამშობლო, ააოხრეს განაპირა ქვეყნები და გაამუსულომანეს თითქმის მთელი მესხეთი, ჭანეთი და კაპადოკია.

### 3. ძველი გადმოცემა ქართველების შესახებ

არსებობს ერთი შესანიშნავი ქართული წიგნი, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ჰქვია. შიგ მოთხრობილია ქართველი ერის ისტორიული ამბები. თავდაპირველად ამ წიგნში მოთავსებულია ცნობები ქართველებისა, სომხებისა და ქავკასიის სხვა ერების წარმოშობის შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ თქმით ქართველნი, სომეხნი, ლეკნი და საერთოდ ქავკასიის ერნი ერთი შტოისაგან წარმომდგარან. მათი წინაპარი ყოფილა თაგვამსი, რომელსაც მრავალი შვილი ჰყოლია; მათში უფრო სახელგანთქმული ყოფილან: ქართველთა წინაპარი ქართლსი, სომეხთა წინაპარი ჰასი, ლეკთა წინაპარი ლეკსი, და ქავკასიის მთის ხალხთა წინაპარი კავკასი.

თარგამოსის უძველესი ბინა ყოფილა ბაბილონი. ბოდლოს აშენებისა და ენათა შერევის შემდეგ თარგამოსი თავისი შთამომავლობით დასახლებულა არარატის მთის ძირს, აქედან კი დაუჭერია მთელი ამიერ ქავკასიონის ქედი. თარგამოსის შვილთა მბრძანებელი ყოფილა აშურ-ბაბილონის დანაარსებელი გმირი ნებრთი. შემდეგ თარგამოსის შთამომავალნი მეტად გამრავლებულან, შეერთებული ძალით აუტყებიათ ომი ნებრო-

თისთვის, დაუმარცხებიათ იგი და მოუპოვებიათ თავისუფლება. ამრიგად „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით ქავკასიის ერები ყოფილან ძმები, ვინაიდან მათი საერთო წინაპარი ყოფილა თარგამოსი.

#### 4. ქართველების უძველესი ბინა

მეცნიერთა გამოკვლევით უძველეს დროში ქართველები დასავლეთ აზიაში ცხოვრობდენ. მრთი ნაწილი ქართველებისა, რომელსაც ხეტი ანუ ხეთი ერქვა, მცირე აზიის სამხრეთით ესახლა, მგვიბტეს მეზობლათ; მეორე ნაწილი ქართველებისა კი, რომელსაც სუმერი და ქალდი ანუ ქართი ერქვა, მესოპოტამიაში ესახლა—მდინარე ტიგრსა და მურატს შუა. მს იყო 4000 წლის წინად ქრისტეს მოსვლამდე. ძველს დროშივე ხეთებმა შექმნეს ერთი დიდი სახელმწიფო, შემოიღეს თავისი საკუთარი მწერლობითი ნიშნები ანუ იეროგლიფები (რებუსის მსგავსი), წარმოშვეს ხელოვნება, მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა, აგრეთვე განავითარეს მანქანის დამუშავება და ხმარება. მათი სატახტო ქალაქი იყო ჯერ კახემში და შემდეგ ქალდეში. ხეთებს ჰქონდათ ვაჭრული ურთიერთობა და მასთან ხანგრძლივი ომები ეგვიპტესთან, რომელიც იმ დროს უდიდესსა და უგანათლებულეს სახელმწიფოს წარმოადგენდა.

სუმერიცა და ქართიც ძველს დროშივე განათლებულ სამეფოებს შეადგენდენ. სხვადასხვა მიზეზის გამო იმათ შეიკვალეს ბინა, დაიხიეს ჩრდილო-დასავლეთით და ერთიანად დაიკავეს ტიგრო-ფრატის სათავეები შანის ტბამდე. მსენი დაიყვნენ რამდენიმე ტომად და სამეფოდ. მათში უფრო შესანიშნავი იყვნენ: ურარტები, საჩრები და ქართუხები, რომელთაც დიდი შეტაკება ჰქონდათ აშურ-ბაბილონის დიდ სახელმწიფოებთან.

ხანგრძლივი ომების შემდეგ ხეტებმაც დასტოვეს თავისი ბინა, წამოვიდნენ ჩრდილოეთით და დაბინავდნენ შავი ზღვის სიახლოვეს. მსენიც დაიყვნენ რამდენიმე ტომად და სამეფოდ. მათ შორის უფრო შესანიშნავი იყვნენ: ჭანები, კალხები, ტიბერები ანუ იმერები და მსხები. — შველესი ქართველების უმთავრეს ღვაწლად უნდა ჩაითვალოს სამი რამ: 1. მათ შიგნით მოიგანეს რკინა-ფოლადის დამუშავება და შეასწავლეს ეს ხელობა მეზობელ ხალხებს. 2. მოიგანეს რუკების ხატვა და 3. გადასცეს ძველ ბერძნებს თავისი სწავლავანათლებლა; ბერძნებმა კი თავისი მხრივ კანათლეს რომი და მთელი ევროპა. (ბერძნებმა შეითვისეს აგრეთვე ძველი მეგობრისა და შინიკის სწავლა-განათლებლა).

მეთორმეტე საუკუნიდან შრ. წინ ძოღებმა, ტიბერებმა ანუ იმერებმა და მოსოხებმა თანდათან დაიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაიკავეს მდ. ჭოროხის, რიონისა და მნგურის აუზები და მტკვრის სათავეები; ამრიგად ისინი დაბინავდნენ ამიერ კავკასიის დასავლეთით და სამხრეთით და შექმნეს აქ ახალი სამშობლო. ასევე მოიქცნენ მეშვიდე საუკუნეში შრ. წინ ურარტები და ქართუხები, ანუ ქართველები, რომელთაც დაიკავეს თანდათან მტკვრისა და არეზის აუზები, ანუ ამიერ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი. ამრიგად დაარსდა კალხიდა ანუ იმერეთი, ბურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი, ივერია ანუ ქართლი და ძახეთი, მესხეთი ანუ ჯავახეთი, შავშეთი, მრუშეთი და ტაო-პლარჯეთი და ალაზეთი ანუ რანი და შირვანი.

ახალ ბინაზე პირველ ხანებში განათლებული მეზობლების სიშორის გამო ქართველები დაქვეითდნენ როგორც ნივთიერად, ისე კულტურულად, მაგრამ შემდეგ საუკუნოებში კი განათლებულ ბერძენთა და რომაელთა ზეგალენით ქართველი ტომები ისევ აღორძინდნენ ნივთიერად და გონებრივად.



## 5. მამასახლისობის დრო

ძველს დროში ქართველი ერი იყოფოდა ტომებად, თემებად, გვარებად და ოჯახებად. რომელთაც უფროსებად მამასახლისნი ჰყავდათ. ახლო ნათესავები ერთად ოჯახს შეადგენდენ; რამდენიმე მონათესავე ოჯახი, ერთად დასახლებული, შეადგენდა გვარს; რამდენიმე გვარი, ერთ კუთხეზე დასახლებული, შეიცავდა თემს; რამდენიმე თემი კი ერთად შეიცავდა ქაჯულ ექს. ამრიგად ოჯახთა მამასახლისნი ემორჩილებოდენ გვარის მამასახლისს, გვართა მამასახლისნი თემის მამასახლისს, თემთა მამასახლისნი კი ტომის მამასახლისს. ტომთა მამასახლისებს შორის უფროსობდა ქათლის მამასახლისი, რომელიც ქალაქ მცხეთაში ბინადრობდა. მამასახლისთა მოვალეობა აყო ხალხის შინაური მართვა-გამგეობა; ბევრის აკრეფა, ომის დროს ჯარების მოწვევა და წინ გაძლოლა.

როგორც მამასახლისებს, ისე საერთოდ ყველა მოხელეს თვით ხალხი ირჩევდა. ხალხივე ადგენდა კანონებს, ასამართლებდა მომჩივანთ და სჯიდა დამნაშავეთ: ასეთმა წეს-რიგმა გასტანა დიდხანს, რამდენსამე საუკუნეს. შემდეგ კი ხალხმა უფრო სასარგებლოდ სცნო, მოესპო მამასახლისობა და მის ნაცვლად მეფობა დაეარსებინა. მეფობის დაარსებით ხალხის უფლება შესამჩნევად იფარგლებოდა და გადადიოდა მეფის ხელში. ნაცვლად ამისა ერთი მეფე, ე. ი. ქვეყნის ერთი მბრძანებელი უფრო სწრაფად ჰკრეფდა ჯარებს და ადვილად ამარცხებდა შემოსეულ მტერს. თითქმის ყველა ჩვენს მეზობელს უკვე მეფეები ჰყავდა; ისინი უცებ ჰკრებდენ ჯარებს და არბევდენ საქართველოს. ჩვენი მამასახლისები კი ისე მალე ვერ ასწრებდენ შეკრებას და ჯარების მოწვევას. ამგვარი წესი ძლიერ აფერხებდა საქმეს. ამიტომ ქართველმა ერმა გადასწყვიტა მამასახლისობის ნაცვლად ერთმეფობა შემოედგინა. მართმა გარემოებამ ხელი შეუწყო ამ აზრის გან-

ხორციელებას: ეს იყო მაკედონელთა მიერ საქართველოს დაპყრობა.

## 6. მაკედონელთა ბატონობა

შეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში ქრისტეს დაბადებამდე გამოჩნდა დიდებული გმირი ალექსანდრე მაკედონელი, მაკედონიის მეფე. ალექსანდრემ შეკრიბა საბერძნეთში საუკეთესო ჯარი, მშვენიერად შეიარაღებული და გადმოვიდა აზიაში სპარსეთის დასაპყრობად. შიგრი ალექსანდრე რამდენჯერმე შეეჭობოლა სპარსეთის მეფეს და სასტიკად დაამარცხა. მან დაიპყრო მთელი სპარსეთი და სხვა მრავალი ქვეყანა.

ამ დიდ ბრძოლაში სპარსეთის მეფეს ენმარებოდენ ქართველები. ზანრისხებულმა ალექსანდრემ საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნა აზრ დიდი ჯარით. აზომ დაიპყრო მთელი მცერია და დაადგა მონობის მძიმე უღელი. ბრძოლაში მოჰკლეს ქართლის მამასახლისი სჰმარა და მისი ძმა მიტრიატი. დიდი სასტიკობა გამოიჩინა აზომ საქართველოში: მან დაანგრია მრავალი ციხე, ხოლო ოთხ საუკეთესო ციხეში კი ჩააყენა თავისი ლაშქარი. მანვე მძიმედ დაბევრა ქართველი ხალხი და დაუწყო მას უდიერად მოქცევა: ქართველს მტარვალეებმა უმიზეზოდ მოუღეს ბოლო. ზევრი დამცირება, წვალემა და უსამართლოება ხვდათ წილად ქართველებს მაკედონელთაგან. ქართველი ერი აშფოთდა ბატონობის წინააღმდეგ: მან შეიგნო ერთობის ძალა; ყველანი მზად იყვნენ მოეხდინათ ამბოხება აზოს წინააღმდეგ და ბრძოლით მოეპოებიათ თავისუფლება. ქართველები ელოდენ მხოლოდ გმირს, მეთაურს, და აჰა გამოჩნდა გმირიც! ეს იყო ქართლის მამასახლისის სამარას ძმისწული ფარნაოზი.

## 7. ფარნაოზ გმირი


აზოს შიშით დედამ პატარა ფარნაოზი ფსეთში გადამა-  
ლა. ღვაჯკაცდა თუ არა ფარნაოზი, ჩამოვიდა ქართლს და  
დაბინავდა მცხეთაში. ზულს უკლავდა მას ქართველი ერის  
კენესა მონობის მძიმე უღელში. ზმირი ჭაბუკი ეძებდა დრო-  
სა და შემთხვევას შურის საძიებლად და საქართველოდან მტარ-  
ვალთა გასარეკად. მს დროც დადგა. მრთ დღეს **ფარნა-**  
**ოზი** ნადირობდა მახლობელ ტყეში, სტყორცნა ისარი ირემს,  
დასჭრა და დასაჭერად გაეკიდა. ძაგრა ხნის დევნის შემდეგ  
დაეწია ირემს და მოჰკლა. ამასობაში დაღამდა კიდევ. **ფარ-**  
**ნაოზი** იქვე ტყეში დარჩა და შესაფერ ბინას დაუწყო ძებნა.  
უცებ თვალი მოჰკრა გვირაბს, შევიდა შიგ, აანთო კვარი და  
ნახა გვირაბში ორი განყოფილება, ქვით ამოქოლილი. **ფარ-**  
**ნაოზმა** დაანგრია შესავალი და იპოვა შიგ აუარებელი განძი  
— ოქრო და ვერცხლი. სამ ღამეში **ფარნაოზმა** გადმოზიდა  
ჩუმად ეს დიდი განძი თავისის დედისა და დების დახმარე-  
ბით და დაფლა საიდუმლო ალაგას. შემდეგ ამ დიდი ქონე-  
ბით იგი ეწვია ძოლხიდის მამასახლისს ქუჯის აქ ეს ორი  
სამშობლოს მოყვარული გმირი, შუჯი და **ფარნაოზი**, შეუდ-  
გენ მზადებასა და ჯარების შეკრებას მაკედონელთა გასა-  
დევნად. მათ შეაგროვეს ძოლხიდაში დიდი ლაშქარი, დაი-  
ქირავეს ოსები და ლეკები, მოიწვიეს ქართველები, მიამხრეს  
აგრეთვე მაკედონელთა ჯარის ერთი ნაწილი — ათას კაცამდი  
და გაემართენ მცხეთას აზოს წინააღმდეგ. შეშინებული აზო  
გაიქცა ძლოჯეთს; აქ დაიბარა მან საბერძნეთიდან დიდი  
ჯარი. **ფარნაოზი** და შუჯი არ შეუშინდენ მტერს; ისინი  
თავს დაესხნენ აზოს და საშინლად დაამარცხეს. თვით აზო  
მოჰკლეს ამ ბრძოლაში. მთელი საქართველო განთავისუფლდა  
მაკედონელთა ბატონობისაგან. აღტაცებულმა ერმა **ფარნა-**  
**ოზ** გმირი აღიარა საქართველოს შეუფდ. იგი ეკურთხა მცხე-

თაში 302 წელს ქრისტეს დაბადებამდე. მეფემ ფარნაოზის და შეერთო ცოლად და დასავლეთ საქართველოს ერისთავად გახდა.

### 8. პირველი მეფე ფარნაოზი

(302—237 წ. ქრ. წ.)

საქართველოში დაარსდა მეფობა. ფარნაოზი მეტად გონიერი მეფე გამოდგა. მან ააშენა მაკედონელთაგან დანგრეული ციხე კოშკები. შემოავლო სატახტო ქალაქ მცხეთას



მეფე ფარნაოზი.

ფრიად მტკიცე და მაღალი გალავანი, გაჰყო საქართველო ცხრა საერისთაოდ, შეავსო ქართული ანბანი, ხელი შეუწყო მრეწველობისა და ხელოვნების განვითარებას და შეადგინა ძლიერი ლაშქარი. თავისუფალი ერი გაიმართა წელში და შეუდგა ნივთიერსა და სულიერ განვითარებას.

წარნაოზ მეფემ გადმოიღო სპარსეთიდან ახალი სარწმუნოება—ცეცხლის თაყვანისცემა და აღმართა მცხეთის სიახლოვეს ძართლოსის მთაზე კერპი აწმაზი, სპილენძ-ოქროსაგან გაკეთებული და ძვირფასი თვლებით მოჭედილი. წარნაოზმა იმეფა 65 წელი და მიიცივალა 237 წელს ძრისტეს დაბადებამდე.

## 9. რომის დიდი იმპერია და საქართველოს სამეფოები

მეორე საუკუნეში ძრისტეს წინ ევროპაში მეტად გაძლიერდა რომის იმპერია. მან თანდათან დაიპყრო თითქმის მთელი დასავლეთი და სამხრეთი ევროპა, ე. ი. საბერძნეთი, ესპანია, საფრანგეთი, გერმანია და სხ. რომაელებმა დაიპყრეს აგრეთვე ეგვიპტე და მთელი ჩრდილო აფრიკა; შემდეგ ვადვიდენ აზიაში და დაიპყრეს მცირე აზია, პანფლია, სპარსეთი, მესოპოტამია და ჩრდილო-აღმოსავლეთი. ამრიგად რომი გადაიქცა უმდიდრეს და უზარმაზარ იმპერიად, რომლის მსგავსი არ ყოფილა მანამდე.

ამ დროს საქართველო შესდგებოდა ოთხ სამეფოსაგან: პონტი ანუ ზღვის პირი, კოლხიდა, იბერია ანუ ივერია და ალბანეთი. პირველში იყო მეფედ შესანიშნავი გიორი სარდალი შიტრიდარტი, მეორეში—ოლთაგი, მესამეში—არტაგი და მეოთხეში—ოროდი. პონტი არ იყო წმინდა ქართული სამეფო, მასში სხვა ტომებიც შედიოდნენ.

რომაელებმა მოისურვეს საქართველოს ყველა სამეფოს დამორჩილება. მაგრამ აქ დაუხვდათ მათ ღირსეული მეტო-

ქე: ეს იყო პონტის ქებული მეფე მიტრიდატი. ის დიდხანს ეომა რომის ძლიერამოსილ ჯარებს და ზოლოს, როცა გაუჭირდა, მოხუცმა მეფემ შეკრა კავშირი საქართველოს სამეფო სამეფოსთან და თავის სიძესთან სომხეთის მეფე ტიგრანსთან, რომ საერთო ძალით გამკლავებოდა უძლიერეელ მტერს. მაგრამ მიტრიდატის გეგმა ჩაუთქმა რომის დიდმა სარდალმა პომპეიმ. 66 წელს ქრისტეს წინ იგი გადმოვიდა 60,000 ჯარის კაცით, შეიჭრა უცებ პონტის სამეფოში, მოულოდნელად დაეცა მიტრიდატს და დაამარცხა. პონტის მეფემ თავი შეაფარა კოლხიდას.

ზამარჯვებული პომპეი სომხეთში გადავიდა. მეფე ტიგრანი შეიპყრო შიშმა. იგი თავისი ამალით მიეგება წინ პომპეის, ჩაუვარდა ფეხ ქვეშ, გადასცა მორჩილების ნიშნად თავისი გვირგვინი და გადაიხადა 8 მილიონ მანეთამდის სამხედრო ხარკი. აქედან პომპეი თავისი ძლიერი ჯარით მიადგა ალბანეთს და დაბანაკდა საზამთროდ. აქ მას მოულოდნელად დაეცა 40,000 კაცით ალბანთა მეფე მროზდი, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა ეთხოვა ზავი.

შემდეგ გაზაფხულზე პომპეი ივერიისკენ გაემართა, სადაც მოუხდა დიდი ბრძოლა პრტაგთან. აქაც გაიმარჯვა ისევ პომპეიმ. პრტაგმა ერთგულობის ნიშნად რომის სარდალს მიართვა ძვირფასი ოქროთი შეჭედული სამეფო ტახტი და მაგიდა. ივერიიდან პომპეი გადავიდა კოლხიდაში, დაიმორჩილა ეს სამეფოც და მლთაკის ნაცვლად მეფედ თავისი ერთგული ანასტატხი დანიშნა. შეხიზნულმა მიტრიდატმა კი ისევ უშფელა თავს და გაიქცა ჩრდილო კავკასიისაკენ. პომპეი დაედევნა მას. მოხუც მეფეს უღალატეს საკუთარმა შვილებმაც კი. რომ ცოცხალი არ დანებებოდა მტერს, მიტრიდატმა თავი მოიწამლა.

ამრიგად მთელი საქართველო ჩავარდა დიდი რომის ბატონობის ქვეშ.

## 10. რომაელთა ბატონობა

რომაელთა ბატონობა ჩვენთვის მაინცაღამაინც მწვავე არ იყო. რომის მოხელენი არ ერეოდენ საქართველოს შინაურ საქმეებში, მხოლოდ მიქონდათ მცირე ხარკი. ნაცვლად მათ შემოქონდათ ჩვენში მაღალი კულტურა და განათლება. აგრეთვე დიდი პატივით ეპყრობოდენ რომის კეისრები, ე. ი. იმპერატორები საქართველოს მეფეებს: უზზავნიდენ მათ დიდ ფეშქაშებს, უგებდენ ციხე-კოშკებს და უკეთებდენ გზატკეცილებს, იწვევდენ მათ რომში და იღებდენ იქ დიდი პატივისცემით. რომაელთა კეისრები ჩვენს მეფეებს ეძახდენ მეკობრებს; და ერთ მათგანს—ივერიის მეფეს ფაქსმან მეტრეს ძველი კი აუგეს რომში ბეჭდნის დიდებულ ტაძარში.

რომაელთა ბატონობას ჩვენთვის მეორე მხრითაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა: მათი მეოხებით საქართველოში გაჩაღდა ვაჭრობა-მრეწველობა, აყვავდა მეურნეობა და მეტად გაძლიერდა ხალხი ნივთიერად. ქართველი ერი დაეწაფა რომის მაღალ კულტურას და ბევრი რამ კარგი შეითვისა. რომაელებმა აღადგინეს ინდოეთის ძველი გზა, რომელიც გადიოდა საქართველოზე. ამ შარა-გზის საშვალეებით რომაელებმა დააკავშირეს ევროპა და აზია, რომის იმპერია და მდიდარი ინდოეთი. მეროპიდან საქონელი მოქონდათ ზღვით შოთში, საიდგანაც მდ. რიონით და ყვირილით ნავტივებით აქონდათ ქალაქ შორაპანში. აქ იყო მაგარი ციხე და საქონლის დიდი საწყობნი; აქედან უღევის გზით საქონელი გადაქონდათ ინდოეთში.

შოველწლობით რომიდან მოქონდათ შორაპანში ასი მილიონი სესტერციის ე. ი. 10 მილიონი მანეთის საქონელი; ეს ათი მილიონი ღირს უდრის 200 მილიონ მანეთს. რადგანაც ძველ დროში ფული ძლიერ ცოტა იყო, ამიტომ ყოველი სანოვაგე და საქონელი ფასობდა იაფად. მკვი არაა

ამოდენა საქონელის აღებ-მიცემა და გაზიდვა დიდ ხეირს აღ-  
ლევდა ქართველ ხალხს და ამდიდრებდა ნივთიერად.

თუ რა მდგომარეობაში იყო პირველ საუკუნეში საქარ-  
თველო, ამას მოგვითხრობს მეცნიერი სტრაბონი.

## 11. ქართველები პირველ საუკუნეში

პირველ საუკუნეში შირსტეს წინ საქართველოში იმგზავ-  
რა ხაბერძნეთის მეცნიერმა სტრაბონმა, დედით ქართველმა,  
შეადგინა საქართველოს რუკები (გეოგრაფიული ქარტები) და  
ასწერა ჩვენი ქვეყანა და ქართველი ერის ვითარება.

სტრაბონის მოწმობით იმ დროს საქართველო მეტად  
მჭიდროდ ყოფილა დასახლებული; სოფელ-ქალაქებს ამ-  
კობდა ლამაზად აგებული და კრამიტით დახურული სახლები,  
ქალაქებში იყო გაშენებული მშვენიერი დუქნები და ბაზრები.  
შართო გზატკეცილები და მტკიცე ხიდები ხელს უწყობდა  
ვაჭრობა-მრეწველობას; ხალხი მისდევდა აგრეთვე მადნეულო-  
ბის დამუშავებას; ხოლო უმთავრესი სახსარი ცხოვრებისა იყო  
მეურნეობა, ე. ი. კირნახულის მოყვანა, მებაღეობა, მევენა-  
ხეობა, მეღვინეობა და საქონლის მოშენება.

სტრაბონისავე თქმით ქართული ერი იმ დროს ოთხ  
წოდებად იყოფოდა; პირველ წოდებას შეადგენდნენ მე-  
ფე და ღიადუბულები, ე. ი. დიდი თავადები (ერისთავები), მე-  
ორე წოდებას ეკუთვნოდნენ მეფმანხი ანუ აზნაურნი, მესამე  
წოდება იყო სამღვდელეობა, მეოთხე წოდებაში კი მიწის  
მუშაკნი შედიოდნენ, ე. ი. გლეხობა და მსახურნი. ადგილ-  
მამული მთელი გვარის საკუთრებად ითვლებოდა, ამიტომ არა-  
ვის შეეძლო მიწა-წყლის არც გაყიდვა და არც გასაჩუქრება.  
შვარის უფროსად იყო მისი უხუცესი წევრი.

სტრაბონის დროს საქართველოს ქალაქთა შორის უფრო  
შესანიშნავი ყოფილა ანჰაზი (ქართლი), ფათისი, წიწამუ-  
რა, შოჩაპანი, ფათი, ცხამი, (სოხუმი) და ბიჭვინთა.



## 12. ქრისტიანობა საქართველოში

არც ერთ ქვეყანაში ერთბაშად არ გავრცელებულა ქრისტიანობა: ასე მოხდა საქართველოშიც. პირველად ქრისტეს სარწმუნოება გავრცელდა კახხიდასა და მესხეთში, შემდეგ კი ივერიაში. ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი იყვნენ პირველსავე საუკუნეში თვით ქრისტეს მოციქული ანდრია პირველ წოდებული და სიმონ კანანელი.

ძველი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ საქართველო წილად ხვდომია დუაისმშობელს, მას უნდა გავრცელებოდა ჩვენში ქრისტიანობა. იგი კიდევ გაემგზავრა საქართველოსკენ; გამოვიდა იერუსალიმიდან, მაგრამ გამოეცხადა თურმე ქრისტე და უთხრა, რომ დარჩენილიყო ისევ იერუსალიმში, ვიდრე მიწვეულ იქნებოდა სასუფეველში, და თავის ნაცვლად გაემგზავნა საქართველოში ანდრია მცხაქელი და სიმონ კანანელი. იმავე ღამეს მაცხოვარი გამოეცხადა ამ ორ მოციქულს, აუწყა — მისულოყვნენ ღვთისმშობელთან და აესრულებით მისი ბრძანება. მოციქულები მეორე დღესვე მივიდნენ ღვთისმშობელთან; მიიღეს მისი ხატი და წამოვიდნენ ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად საქართველოში. ანდრიამ და სიმონ ძანანელმა გაავრცოეს ქრისტიანობა კახაღკიაში, ჯაზიკაში, სამეგრელო-აფხაზეთში და იმერეთ-გურიაში; შემდეგ ვადვიდნენ მესხეთს და ყველგან აღმართეს ქრისტეს ჯვარი, მასთან ჰქმნიდნენ მრავალ სასწაულს ღვთისმშობლის ხატის საშვალეებით. აუარებელი ხალხი სტოვებდა წარმართობას და ღებულობდა ქრისტიანობას: ამ ორი მოციქულის წყალობით მთელს ქოლხიდასა და მესხეთში მტკიცედ მოიდგა ფეხი ქრისტიანობამ.

ივერია კი, ე. ი. აღმოსავლეთი საქართველო გაქრისტიანდა მეოთხე საუკუნეში წმ. ნინას მეოხებით.

13. შმიდა ნინო

შმიდა ნინო შთამომავლობით იყო კავკასიელი ქალი (ქართველი), ახლო ნათესავი წმ. გიორგისა, რომელიც ითვლება ჩვენში უდიდეს შმიდანად. ნინო ადრე დაობლდა; იგი წაიყვანა იერუსალიმს და აღზარდა ბიძანისმა, იერუსალიმის პატრიარქმა. ნინომ შესანიშნავათ შეისწავლა საღვთო წერილი და გატაცებული ქრისტიანი შეიქმნა. 14 წლის ნინო უკვე

19349



წმიდა ნინო

ოცნებობდა, წასულიყო საქადაგებლათ და ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებია წარმართი ხალხი; განსაკუთრებით ის ფიქრობდა აფკრიაზე, სადაც წამოეღოთ ქრისტეს კვათი (პერანგი). რამდენიმე წლის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომის დედოფალს მღენეს ჰსურს მიიღოს ქრისტეს სჯულიო. ამ ამბის გაგონებაზე ნინო გაეშურა რომისკენ; გზაზედ შეჩერდა დროებით ქ. მთესის ქალთა მონასტერში, სადაც იყო 50 მონაზონი, მათ შორის მშვენიერი რიფსიმე. რომის იმპერატორს მოხსენდა რიფსიმეს მშვენიერობის ამბავი და მოისურვა მისი ცოლად შერთვა. ეს გაიგეს მთესის მონაზონებმა და სომხეთს გაიპარენ; სადაც ისინი შეიპყრო და აწამა სომხეთის მეფემ. შემთხვევით ტყვეობას გადაარჩა წმ. ნინო; იგი დაიშალა ვარდის ბუჩქში. ძალწული ნინო მდულარე ცრემლით ევედრებოდა ღმერთს და შველას თხოვდა. ამ დროს მოესმა ხმა ზეციდან: აღსდგე და წადი ჩრდილოეთს, სადაც ბლომადაა სამკალი, ხოლო მუშაკი არა სჩანსო.

იმედით აფრთოვანებული ნინო გაემართა ივერიისაკენ. პირველად იგი მივიდა ჯავახეთს. აქედან დაინახა მან თოვლით მოსილი უზარმაზარი მთები. ამ დიადმა სანახაობამ შიშის ზარი დასცა სუსტ ქალწულს; მან შეწუხებით წამოიძახა: „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემიო.“ და იწყო მხურვალეობით ვედრება. ამ ლოცვაში ნინოს მიეძინა. სიზმარში გამოეცხადა მას ღვთისმშობელი ანგელოზით, დალოცა ნინო; მისცა ვაზის ჯვარი, გაამხნევა და უბრძანა, წადი ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად ივერიაშიო. მწყესების შემწეობით ნინო დაადგა მცხეთის გზას და გაემართა მართლისკენ. ღიდი გაჭირვება განიცადა მან ამ მგზავრობაში. როგორც იყო, მივიდა ქ. ურბნისს, სადაც ნახა კერპთმსახური ხალხი. აქ ურიათა უბანში ნინო დარჩა ერთ თვეს და სწავლობდა ქართველთა ზნე-ჩვეულებას. მართი თვის შემდეგ ურბნისის მცხოვრებნი გაემართენ მცხეთას არმაზის დღესასწაულზე; მათ გაჰყვა წმ. ნინოც.

#### 14. წმ. ნინო ივერიანო

მცხეთაში ნინომ იხილა საოცარი სანახაობა: მთელი ქართლის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, მიეშურებოდნენ ამაჴის შთაჴე. ღიდებულად მორთულა მეფე მიჩიანი თავის მეუღლე ნანა დედოფლით მიბრძანდებოდა იქ. მეფე-დედოფლის წინ მიქონდათ სამეფო დროშები, აფენდენ ვარდ ყვავილებს, უკრავდენ საკრავებს და გალობდენ სხვა და სხვა საგალობელს.

ნინო გაერია ხალხში და შევიდა საკერპოს გალავანში არმაზის გორაზე. აქ მან იხილა საზარელი სურათი: გორის წვერზე იდგა სპილენძის უზარ-მაზარი კერპი, ტანთ ეცვა ოქროს ჯაჭვი, თავს ეხურა ზურმუხტის თვლებით შემკული ოქროს მუზარადი და ხელში ატრიალებდა ელვარე ხმაღს. ეს იყო ივერიელთა უპირველესი კერპი ამაჴი, რომელსაც შიშით ვერავინ ეკარებოდა, — ვერც მეფე და ვერც ერის კაცი. ამ უმთავრესი კერპის ორივე მხრივ იდგა ოქრო-ვერცხლისაგან გაკეთებული სხვა კერპები. აუარებელი მლოცველი, მიწაზე დამხობილი, ევედრებოდა კერპებს და სწირავდა მსხვერპლს, ზოგიერთი საკუთარ შეილებსაც კი.

წმ. ნინომ იხილა ეს საშინელი სურათი, დაიჩოქა, აღაპყრო ზეცას ხელნი და მდულარე ცრემლით შეევედრა ღმერთს, რათა მოეხდინა სასწაული, დაემხო კერპნი და აეხილა გონების თვალი ივერთა ერისაჴვის. მოხდა სასწაული: უცებ დაბნელდა ცა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, შეიქნა უცნაური ჴექა ქუხილი, გავარდა რამდენჯერმე მეხი და წამოვიდა სეტყვა. თავზარდაცემული ერი ფარდულებს შეეფარა. ცოტა ხნის შემდეგ გამოიდარა და გამობრწყინდა მნათობელი მზე. ქართველმა ხალხმა მიაპყრო თვალნი არმაზის მწვერვალს, მაგრამ აქ აღარ ჩნდა მისი კერპები: მეხსა და სეტყვას დაემსხვრია ისინი, ქარსა და ნიაღვარს ჩაეყარა ხევსა და ნაპრალებში. იმათ ალაგას კი ვილაც დაჩოქილ მანდილოსანს აღეპყრო ხელნი ზეცად და ევედრებოდა უხილავ ღმერთს; ეს იყო წმ. ნინო.

## 15. წმ. ნინოს სასწაულები და მუზე მირიანნი

წმ. ნინო დაბინავდა მცხეთაში. მან შეაფარა თავი მაცელის ბუჩქს. აქ ნინომ იწყო ახალი სარწმუნოების ქადაგება და სასწაულოთ-მოქმედება. მისი ვედრებით მეფის მებლის ცოლს მიეცა შვილები. ნინომ განკურნა მომაკვდავი ბავში, თავადის ერთად-ერთი შვილი; განკურნა აგრეთვე უკურნებელი სენით შეპყრობილი სანა დედოფალი და მისი ბიძა.



მეფე მირიანნი

ნინოს სახელი, როგორც საოცარი. მკურნალის, განითქვა მთელს შართლში. მცხეთაში ყველა იცნობდა ამ მშვიდსა და სათნო მონაზონს, ყველას ატკბობდა მისი სიტყვა, მისი ქა-

დაგვბა იზიდავდა ხალხს, განსაკუთრებით ქალებს, რომელთა შორისაც ნინომ ბევრი გააქრისტიანა და გაიხადა თავის მოწაფედ. მიიღო აგრეთვე ფარულად ქრისტეს სარწმუნოება თავის ნანა დედოფალმაც; მხოლოდ მირიანი მტკიცედ იდგა კერპების თაყვანებაზე და ქრისტიანებს ამოეღეტას ემუქრებოდა. მაგრამ ერთი შემთხვევის შემდეგ მირიან მეფემ შესცვალა აზრი და გახდა ქრისტეს მსახურად.

მრთ დღეს მირიანი დიდის ამალით მთაზე წაღირობდა. უცვებ მზე დაბნელდა და მიდამო მორცვა საშინელმა წყვდიადმა. მეფეს ამაღა დაფრთხა და გაიფანტა. შრიად შეშინებულს მირიანი მხურვალედ ევედრებოდა თავის კერპებს, მაგრამ ამოად; შემდეგ დაუწყო ვედრება ნინოს ღმერთს; სიბნელე გაჰქრა და ისევ გაანათა ბრწყინვალე მზემ. მეფემ ირწმუნა ქრისტეს ძლიერება. მირიანი თავის ამალით გამოეშურა მცხეთისკენ. აქ მას მიეგება ნანა დედოფალი აუარებელი ხალხით. შველანი ერთად დიდის ღალადით გაემართენ წმ. ნინოსკენ. აქ მეფე მირიანი მუხლმოდრეკით ეამბოროა ვაზის ჯვარს და ხელაპყრობით ადიდა ქრისტე ღმერთი. ამ სურათის ხალვაზე უსახღვრო აღტაცებამ შეიპყრო წმ. ნინო და მისი 50 მოციქული. მეფემ გადასწყვიტა ხალხის გაქრისტიანება და მთელი ივერიის მონათვლა წმ. ნინოს ხელით.

## 16. იშვარიის გაქრისტიანება (პ24 ვ.)

ქრისტეს შემდეგ მეოთხე საუკუნის დამდეგს საქართველოს მეზობლად დასავლეთით კონსტანტინე დიდმა დააარსა ახალი ხაბერძენთის იმპერია ანუ ბიზანტია და აავო სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი. კონსტანტინე და დედა მისი მლენე მოინათლენ, და ამას შემდეგ მთელ ბიზანტიაში ქრისტიანება სახელმწიფო სარწმუნოებად ითვლებოდა. კონსტანტინე იმპერატორს მიმართეს ნინომ და მირიანმა და სთხოვეს მღვდლები

ქართველი ერის მოსანათლადად. იმპერატორი დიდი სიხარულით მიეგება ამ ამბავს და მაშინვე გამოგზავნა ეპისკოპოსი იოანე, ზრდი მღვდელი და სამი დიაკონი; მათვე გამოატანა ჯვარი, მაცხოვრისა და ლეთისმშობლის ხატები და სხვა საჩუქრები.

სანამ ბიზანტიიდან დაბარებულთ სამღვდელთა მოვლადოდა, ნინო და მირიანი შეუდგენ ეკლესიის აგებას მეფის ბაღში. მოსჭრეს ბაღის შუა ალაგს უზარმაზარი კიპაროსის ხე, რომლის ქვეშაც ხალხის გადმოცემით ემარხა სიღმნისა უფლის კვართით. ამ კიპაროსის ხისგან გააკეთეს სვეტები. შუა სვეტმა იწყო მიწის დენა და სწეულთა კურნება; ამიტომ მას დაერქვა სვეტი ცხფეელი და ეს სახელი შერჩა თვით ტაძარს.

როცა მცხეთას მოვიდნენ იოანე ეპისკოპოსი და მღვდელ-დიაკონები, მირიანმა მაშინვე შეკრიბა მთელი ქართლიდან დიდებულნი და მდაბიო ხალხი. პირველად მოინათლა თვით მირიან მეფე წმ. ნინოს ხელით; შემდეგ მოინათლენ: ნანა დედოფალი, მეფის ძე რევი და მისი მეუღლე. მას შემდეგ გააკეთეს მტკვარში დიდი სანათლო და მონათლეს დიდებულნი; ამის ქვემოდ ორმა მღვდელმა მონათლა მდაბიო ხალხი, მონათლა აგრეთვე ამ დღეს 50 ებრაელი. ეს დიდებული ამბავი მოხდა 324 წელს.

ამას შემდეგ წმ. ნინო გაემართა კახეთს, დაჰყო იქ 14 წელი და თავის ქადაგებით გააქრისტიანა ხალხი, მხოლოდ მთიელები დარჩნენ ძველს რჯულზე. ღიდმა შრომამ და მგზავრობამ მოქანცა ნინო; იგი დასნეულდა და მიიცვალა 14 იანვარს 338 წელს სოფ. ბოდბეში (ქიზიყში). მადლიერმა ერმა ამ დიდებულ ადამიანს უწოდა ქართველთა განმანათლებელი და მის უკვდავ ხსოვნას დღესასწაულობს 14 იანვარს. წმ. ნინო ასათლავია ბოდბეს ქალთა მონასტერში.

მირიან მეფემ თავი ისახელა კეთილი საქმეებით; კიდევ გამოიწერა ბიზანტიიდან მრავალი სასულიერო პირი, ააგო

საქართველოში ტაძრები და აგრეთვე თვით იერუსალიმში  
ააშენა წმ. ჯვარის მონასტერი.

17. ვახტანგ გორგასლანი. 454—499 წ.

შირიანის შემდეგ შესანიშნავი მეფე იყო ვახტანგ გორგასლანი. იგი ადრე დაობლდა; ამიტომ სამეფო საქმეებს გა-



ვახტანგ გორგასლანი.

ნაგებდა დედა მისი სანდუხტა. ღედოფლის სისუსტით ისარგებლეს მტრებმა და დაარბიეს საქართველო. ბიზანტიამ მოგლიჯა კლარჯეთი, საშეკრფლო და აფხაზეთი; სპარსელებმა კი მოუხინეს საქართველო ქურუმებით და იწყეს ცეცხლ-



თაყვანისმცემლობის გავრცელება. მაგრამ ყველაზე მეტი ზიანი დაგვმართეს ასეებმა და ხაზარებმა. შვიდი წლის განმავლობაში ეს ველოური ხალხნი თამამათ დასარქმობდნენ ქართლ-კახეთში, აოხრებდნენ დაბა-ქალაქებს, ცარცვადნენ ქვეყანას და მიყავდნენ აურაცხელი ტყვე; სხვათა შორის მათ გაიტაცეს შახტანგის სამი წლის და.

ამ გაქირვებაში იყო საქართველო, როცა შახტანგი შესრულდა 15 წლის. მას იმ თავიფვე ეტყობოდა დიდი ვაჟაკობა და მალალი ჭკუა გონება. შახტანგს გულს უკლავდა საქართველოს ასეთი აოხრება და დაპყრება. 15 წლის შახტანგმა მოიწვია დიდებულნი და ეკურთხა მეფედ 454 წელს. შახტანგმა გადასწყვიტა ოს-ხაზარებზე გალაშქრება: შეკრიბა დიდი ჯარი, დაიხმარა აგრეთვე 40 ათასი მთიელი და გავმართა მტრის წინააღმდეგ. როგორც კი გაიგეს ოს-ხაზართა მთავრებმა ქართველთა გამოლაშქრება, სწრაფათ შეკრიბეს აურაცხელი ჯარი და დახედნენ შახტანგს დარიალის ვიწრო ხეობაში. სასტიკი ბრძოლა მოხდა მდინარე მერგის ნაპირას. შახტანგმა თავისი ხელით მოუკლა მტერს ორი გოლიათი ზაჟათარ ასი და თახხან ხაზარი. ნორჩი მეფის საარაკო გმირობამ და ქართველთა ვაჟაკობამ შიშის ხარი დასცა ოსებსა და ხაზარებს. იძლია მტერი; გამარჯვებული შახტანგი შეესია ჯარით მათ ქვეყნებს, გაათავისუფლა თავისი და, იხსნა ტყვეობიდან მრავალი ქართველობა, დაატყვევა ურიცხვი ოსი და ხაზარი და დიდის ალაფით დაბრუნდა საქართველოში.

## 18. ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპარსელებთან

შახტანგი რომ ოსეთიდან დაბრუნდა, დიდი საჩუქრები გაუგზანა სპარსეთის მეფეს და ითხოვა ცოლად მისი ასული, რომდენიმე წნის შემდეგ აიშალენ სპარსეთი და ბიზანტია.

სპარსეთის მეფემ დახმარება სთხოვა შახტანგს, და ესეც დიდი სიამოვნებით დათანხმდა, რადგან სურდა ბერძნების ჯავრის ამოყრა და წართმეული ადგილების დაბრუნება. შახტანგი დიდი ჯარით შეესია ბიზანტიის საზღვრებს; მეორე მხრით კი მიადგა სპარსეთის დიდი ლაშქარი. ბერძნებს მეტად გაუჭირდათ საქმე; იმათ მოციქული გაუგზავნეს შახტანგს და წართმეული ქვეყნების დაბრუნებას დაპირდნენ, თუ მათზე ხელს აიღებდა და სპარსელებს არ დაეხმარებოდა. შახტანგი დათანხმდა. ამით გამხნეებული ბიზანტიელთა ლაშქარი შეებრძოლა სპარსეთის ჯარს და დაამარცხა იგი. ზამარჯვებულ ბერძნებს დაეტაკა შახტანგი თავისი რჩეული ჯარით და მუსრი გაავლო.

მოხერხებულმა შახტანგმა, ორსავე მეფესთან იმართლა თავი და თანაც შეარიგა ისინი. ამრიგად თავისი ძლიერი მტრები დაასუსტა და წართმეული ქვეყნები დაიბრუნა. ბიზანტიის იმპერატორმა შახტანგს მადლობის ნიშნად გაუგზავნა ძვირფასი ჯვარი, გვირგვინი და სამეფო სამოსელი და დაუთმო ჭაჭარჯეთი და სსმეკრეჯო. შემდეგ დაქვრივებულ შახტანგს მიათხოვა ცოლად თავისი ასული ელენე და მზვითვალ მისცა აფხაზეთი.

ამას შემდეგ სპარსეთის ახალი მეფე ფეროზი კარგი თვალთ არ უყურებდა შახტანგს, რომელმაც გარეკა საქართველოდან ცეცხლის მსახურნი. ფეროზმა შეკრიბა დიდი ჯარი და წამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ. არ ეძინა არც შახტანგს. მან მოაგროვა დიდი ლაშქარი და გამოდგა ვიწროებში. სპარსეთის ჯარი დაბნაკდა დიდუბეს ქვემოთ. ამასობაში მოვიდა ბერძენთა დაშველი ჯარი. ზაიგო თუ არა ეს ფეროზმა, მაშინვე შახტანგს შეუირიგდა. შახტანგმა მიიპატიჟა სპარსეთის მეფე თავის ამალით და დიდი საჩუქრებით გაისტუმრა. ფეროზი დაემოყვრა შახტანგს და ითხოვა ცოლად მისი და, თანაც სთხოვა დახმარება ინდოეთის წინააღმდეგ. მართლაც ათი ათასი რჩეული მეომრით შახტანგი დაეხმარა ფეროზს და გაითქვა ინდოეთში დიდი სახელი.

შახტანგის მუზარადზე (ქუდზე) გამოხატული იყო მგელი და ლომი; ამიტომ სპარსელებმა დაარქვეს შახტანგს გორგასღანი, რაც ნიშნავს მგელ-ლომს.

## 19. შახტანგის მოღვაწეობა და სიკვდილი

შახტანგი დიდებული იყო არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ შინაურ საქმეებშიაც. მან ააგო მრავალი ციხე-ქალაქი, ააშენა მცხეთაში თლილი ქვისაგან სვეტი ცხოვლის დიდებული ტაძარი, დაადგინა კათალიკოსობა და გადაათარგმნია ქართულს ენაზე საღვთო წერილი და წირვა-ლოცვის ყოველივე წესი. ზარდა ამისა მან მოსპო საქართველოში ცეცხლმსახურება, განამტკიცა ქრისტეს სარწმუნოება, მოსჭრა ფულთ, ააგო შკოლები და ხელი შეუწყო ხალხის ნივთიერება და გონებრივ განვითარებას. ამ დიდმა მეფემ ისახელა აგრეთვე თავი ქალაქ თფილისის აგებით. ის ალაგი, სადაც დღეს თფილისია, იმ დროს ტყით იყო მოფენილი. მრთ დღეს ამ ტყეში ნადირობის დროს შახტანგმა მიუსია ხოხობს ქორი და თვითონაც ცხენით გაედევნა. ნახა, რომ ორივე ფრინველი ჩავარდნილიყო და მოხარულიყო ცხელ წყალში, რომელიც ახლაც ბლომად გამოდის თფილისში მთის ძირას და ცნობილია როგორც საუკეთესო სამკურნალო წყალი. ეს ადგილი და წყალი მეტად მოეწონა შახტანგს და აქ გააშენა დიდი ქალაქი, რომელსაც შემოავლო მაღალი გალავანი. თფილი წყლის გამო ამ ქალაქს უწოდა თფილისი.

ამ დროს მიიცვალა შეროზი და სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი კახადი. მან გაუმართა ომი ბერძნებს და დახმარება სთხოვა შახტანგს. ამან უარი შეუთვალა. მრისხანე ქობადი თავისი ჯარით მოადგა საქართველოს. შახტანგმა შეაგროვა 140 ათასი მეომარი და გამაგრდა უჯჯამაში (ქიზიყში). აქ მოხდა დიდი ბრძოლა. ბრძოლის დროს მოხუცი შახტანგი

გმირულად შეიჭრა მტრის ბანაკში და მოჰკლა ჰობადის ვაჟი; მაგრამ იაფად არ დაუჯდა შახტანგს ეს გმირობა: მტრის ისარი მოხვდა მკერდში შახტანგს, და ამ კრილობამ იმსხრევლა დიდებული მეფე. შახტანგი გამოეთხოვა ცოლ-შვილსა და დიდებულებს, ტახტი დაულოცა თავის უფროს ვაჟს დანის და მი-



შ ზ ხ ე თ ი ს ტ ა ძ ა ზ ი

ბცვალა 499 წელს. შეიქნა გლოვა და ტირილი მთელს საქართველოში. მეფის გვამი დაასაფლავეს შჩხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში და დაადგეს ზედ ქვის ძეგლი, რომელზედაც იყო ამოჭრილი შახტანგის სახე.

## 20. ცავეტი სირიელი მამა

შახტანგის სიკვდილის შემდეგ მეტად გაძლიერდა სპარსეთი. სპარსეთის მეფეებმა ჩაიგდეს ხელში ივერია, გზავნიდენ ქურუმებს და ავრცელებდენ ჩვენში ცეცხლის თაყვანისცემას. ღიღ საფრთხეში ჩავარდა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტეს სარწმუნოება. ხალხი ირყეოდა: ზოგი ძალით და ზოგი ნებით სტოვებდა ახალ სარწმუნოებას, ე. ი. ქრისტიანობას, და გადადიოდა ისევე ძველს რჯულზე—ცეცხლის თაყვანისცემაზე. ამ განსაცდელის დროს სირიის ქვეყნიდან საქართველოს მოვიდა ცამეტი განთავსებული მამა; მს წმიდა მამანი მოეფინენ ქართლ-ძახეთს, ააგეს ტაძრები და მონასტრები, დააარსეს უკოლები, დაუახლოვდენ ხალხს, იწყეს ქადაგება და ქრისტეს სარწმუნოების განმტკიცება მთელს ივერიაში. ამ ბერებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა. მათ მიერ დაარსებული მონასტრები თითქმის ყველა შენახულა დღემდე, და იქ დღესაც მოღვაწეობენ ქართველი ბერები. მათში უფრო შესანიშნავი იყვენენ: იოანე ზედაზნელი, დავით კარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, შიო მღვიმელი და სხვ.

## 21. ბაზრატრონთა გამეფება

შახტანგ ბორგასლანის სიკვდილის შემდეგ მალე შეწყდა საქართველოში მისი გვარის მეფობა. 575 წელს საქართველოში გამეფდა ბაგრატიონთა გვარი (დინასტია). როგორც ვიცით, საქართველოს პირველი მეფე იყო ფანანაზი, ქართლოსის შთამომავალი; ამიტომ ამ სამეფო გვარს ანუ დინასტიას ქართლ-ფანანას დინასტია ჰქვია. მს გვარი მეფობდა საქართველოში 302 წელიდან 93 წლამდე ქრისტეს წინ. ამ გვარის მოსპობის შემდეგ სამეფო ტახტზე მოიწვიეს სომხეთის მეფის შვილი აწშაკი, გვარად აწშაკუნი. მს არშაკუნიანთა გვარიც მოისპო 267 წ. შრ. შემდეგ, რის გამო საქართველოს მეფედ მო-

იწიეს ხპარსეთის მეფის შვილი მიჩიანი, გვარად სოსროასნ-სასნიანი. ეს გვარი მეფობდა 270 წლამდე. ამ გვარიდან იყო გამოჩენილი მეფე მახტანგ ბორგასლანი. სუთი წლის განმავლობაში საქართველოში მეფე არ ყოფილა. 577 წლიდან კი გამეფდა საქართველოში გურამ ბაგრატიონი, და ამრიგად დაწყარდა ჩვენში ბაგრატიონთა დინასტია. ეს შესანიშნავი გვარი მეფობდა საქართველოში 1801 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა საქართველო თავისი ნებით შეუკავშირდა რუსეთს. ამ გვარმა საქართველოს ბევრი დიდებული მეფე მისცა, მაგალითად, დავით კურაპალატი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ვასტანგ მეექვსე და ერეკლე მეორე.

## 22. არაბთა მოქრობა

არაბეთის ნახევარ კუნძულზე აზიაში ცხოვრობდა ნახევრადველური ხალხი—არაბნი, ცნობილნი მხნეობითა და ვაჟკაცობით. ეს ხალხი უმთავრესად საქონლის მოშენებას მისდევდა. მეშვიდე საუკუნის დამდეგს არაბებს გამოუჩნდათ ერთი შესანიშნავი კაცი მამადი, რომელმაც იქადაგა ერთდმერთობა და მისცა არაბთ ახალი სარწმუნოება. მაჰმადმა აღუთქვა ყველამ არაბს ცხონება, თუ კი ისინი გაავრცელებდნ ამ ახალ რჯულს მთელს ქვეყანაზე, თანაც საიქიოში დაუხატა ის, რაც არაბებს ამ ქვეყნად ენატრებოდათ, ე. ი. მშვენიერი ბაღები, ცივი წყაროები, გემრიელი საჭმელები და შარბათი.

შალე არაბნი გაიტაცა ამ ახალმა სარწმუნოებამ. ყველამ მოისურვა მისი გავრცელება და სამოთხეში შესვლა. ნიჭიერი სარდლების მეთაურობით ახალი სარწმუნოებით აფრთოვანებული არაბნი მოედვენ აზიას, აფრიკას, და ევროპას. მათ იწყეს ცეცხლითა და მახვილით ქვეყნების დაპყრობა და მაჰმადის რჯულის გავრცელება. ამ პატარა ხალხმა ნამდვილი სა-

სწაული ჩაიდინა: მოკლე დროში მათ მრავალი ქვეყანა დაიპყრეს.

არაბებმა მალე მიიღეს ბერძნული განათლება და მათი მეოხებით განაძლდა აზიის ხალხი, უაიღვიძა მეროპამ და განვითარდა ჩყენი ქვეყანაც.

### 23 ივერიის დავსრობა (668 წ.)

668 წელს დიდი ლაშქრით საქართველოში შემოვიდა არაბთა სარდალი მურვან ყრუ. ამ დროს ჩყენში მეფობდენ შიჩი და აჩილი. არაბთა შემოსევამ შიშის ხარი დასცა მეფეებს, ერსა და დიდებულებს. შირმა და არჩილმა თავი აფხაზეთს შეაფარეს, შეშინებული ხალხი გარბოდა ტყესა და მთებში.

ძღვევამოსილ მტერს არ შეუშინდა მხოლოდ ორი გმირი, აჩგუეთის (ზემო იმერეთში) მთავრები ღავით და კოსტანტინე. მცირე რაზმით ისინი დახვდენ არაბებს ვიწროებში და საყვარელი სამშობლოს აოხრებისთვის სამაგიეროს გადახდა მოუხდომეს. ბაბრახებული მურვანი მთელი მხედრობით ირგვლივ შემოეველო ამ თავგანწირულ გმირებს და მათს ერთ მუჟა რაზმს, დაამარცხა ისინი, შეიპყრო ღავით და კოსტანტინე, აწამა საშინლად, შემდეგ დიდრონი ქვეები მოაბა კისერზე და მდ. რიონში გადაყარა\*). ღავით და კოსტანტინე საქართველოს ეკლესიამ შერაცხა წმიდათა შორის; მათი გვაში ასვენია მოწამეთას მონასტერში შუთაისიდან ოთხი ვერსის მანძილზე.

არ დაადგა ხერი არც მურვანს: წვიმებით აღიდებულმა მდინარეებმა 23 ათასი მხედარი დაურჩო, მუცელამ 35 ათასი კაცი გაუწყვიტა; ბოლოს მის ჯარს დაეცენ ქ. ანაკობიასთან მეფე შიჩი და აჩილი ძლიერი რაზმით და დიდი

\*) ზოგიერთის აზრით მურვან ყრუს ღავით და კოსტანტინე გადაყარია მდ. წყალწითელაში ქ. შუთაისის ახლო.

ზიანი მიაყენეს. შერცხვენილი მურვანი გავიდა საქართველოდან.

50 წლის შემდეგ საქართველოს შემოესია უთვალავი ჯარით არაბთა მეორე სარდალი კიჭუმ ასიმი. ჭიჭუმ მოაოხრა



დავით და კონსტანტინე

ქართლი და გავიდა ძახეთს. მეფე არჩილი მივიდა ჭიჭუმთან, რათა აეცილებია ძახეთისთვის მისი საშინელი რისხვა. არაბთა სარდალმა შეიწყნარა მეფის თხოვნა, მხოლოდ ნაცვლათ მას მაჰმადის რჯულის მიღება მოსთხოვა. არჩილი უარზე დადგა.



ჭიქუმ იგი საპყრობილეში ჩააგდო და შემდეგ კიდევ აწამა. საქართველოს ეკლესიამ არჩილ მეფეც წმიდანად შერაცხა.

ამრიგად არაბებმა მთელი აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრეს და მონაბის მძიმე უღელი დაადვეს. არაბთა ბატონობამ ჩვენში თითქმის 300 წლამდე გასტანა და მათი მოხერხებით ჩვენი ქვეყანა დანაწილდა წგრილ სამეფო-სამთავროებად.

## 24. არაბთა ბატონობის უმღარი

ივერია არაბთა ხელში ჩავარდა; მათი ამიჯა (მართველი) თავისი ჯარით თბილისში იჯდა და შართლ-ძახეთზე ბრძანებლობდა. თავისუფლად დარჩა კახხიდა და შესხეთი, მაგრამ დიდებულთა წყალობით ამ მხარეებსაც არ ადგა ხეირი, რის გამო საქართველოს ორივე ნაწილი მალე დაქუცმაცდა რამდენიმე სამეფო-სამთავროდ. მთელი ძოღხიდა დაიპყრო აფხაზთა მეფე ჯეჯმა და უწოდა აფხაზეთის სამეფო. მან სატახტო ქალაქათ ქუთაისი გაიხადა. მესხეთიც გაიყო რამდენიმე სამთავროდ; მათში უფრო ძლიერი ტაო კლარჯეთის სამეფო\*) იყო, რომლის სატახტო ქალაქად ითვლებოდა არტანუჯი ფრიად მაგარი ციხით. ივერიაც ორ ნაწილად გაიყო. მათში გაღონიერდა ბოლო დროს კახეთის სამეფო. ასეთი უნუგეშო სურათს წარმოადგენდა საქართველო სამი საუკუნის განმავლობაში. მან დაჰკარგა ერთობა, დაიყო წვრილ სამეფო-სამთავროებად, იწყო შინაური კინკლაობა და დაჰკარგა ძალა და გავლენა მეზობელ ხალხზე. ძოღხიდა და მესხეთი ბიზანტიას დაუახლოვდნ და მის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნ. ბიზანტიის იმპერატორები აძლევდნ ჩვენს მეფეებსა და მთავრებს სხვადასხვა მაღალ ხარისხებს. მაგ., კურთმასჯატობას, მავისტრატობას და სხვ... ივერია კი არაბთა გავლენაში ჩავარდა.

თანდათან განათლდნ არაბნი. მათ გაავრცელეს დაპყრობილ ქვეყნებში სწავლა-განათლება, განავითარეს მეურნეობა და

\*) ტაო ერქვა მესხეთის სამ ნაწილს: ლიბანას, შავშეთს და მრუშეთს


ვაჭრობა-მრეწველობა, ააგეს ციხე-ქალაქები, გაიყვანეს გზატკეცილები და ააყვავეს ყოველგვარი ხელოვნება. არა ნაკლებ ვითარდებოდა და მიდიოდა წინ ბიზანტიაც. ამ ორი განათლებული ერის ზეგავლენამ ნივთიერად და გონებრივად ააღორძინა ქართველები; ამათ დააარსეს მრავალი შკოლა, უმთავრესად მონასტრებთან, ააგეს სირია-საბერძნეთში შესანიშნავი მონასტრები, სადაც დააარსეს აკადემიები. მანათლებულმა ქართველობამ ვადათარგმნა ქართულად მრავალი წიგნი, საერო და სასულიერო, განავითარა ქართული ენა და მწერლობა, ააღორძინა ქართული ხელოვნება, მეტადრე მხატვრობა, კაფობა და ხუროთმოძღვრება.

ქართველებს ახლა ორი რამ აწუხებდა: ქვეყნის დანაწილება და აზაბთა ბატონობა. საერთო ენამ, მწერლობამ, ხელოვნებამ და სარწმუნოებამ ნათლად აგრძობინა მათ, რომ ისინი შეადგენდნენ ერთ ერს, სულიერად დაკავშირებულს. მათ გულში გაიღვიძა კრახუნუღმა გრძნობამ—სამშობლოს სიყვარულმა. მათში გაიღვიძა ერთობისა და თავისუფლების წყურვილმა; მათ სურდათ წვრილ სამთავრო-სამეფოების ნაცვლად შეექნათ ერთი ძლიერი სამეფო:—შეერთებული ძალხიდა, შესხეთი და ივერია. ქართველ ერს სწყუროდა, დაემსხვრია მონობის სამარცხვინო ბორკილები და გაედევნა თავისი ქვეყნიდან აზაბები. ამისთვის ის ელოდა შესაფერ ღროს, ის ეძებდა გმირს მეთაურს, რომელიც მალე გამოჩნდა; ეს იყო დავით კურაპალატი.

25. დავით კურაპალატი (966 — 1001 წ.).

საქართველოს გაერთიანების საქმე წილად ხვდა დავით კურაპალატს, რომლის მარჯვენა ხელიც შეიქნა ქართლის ქებული ერისთავი ივანე მარუშიძე. დავით კურაპალატი იყო სამხრეთ შესხეთის ანუ ტაო-პლარჯეთის სახელოვანი მეფე. იგი

ცნობილი იყო თავის მაღალი გონებით, ნიჭითა და სათნო-  
ებით. უცხოეთის მწერლები ქება-დიდებათ იხსენებდნ მას.



ფარფმის უცხონაგო ეკლესია

ჭართლში კი ამ დროს იჯდა უნიკო მეფე ბაგრატ რე-  
გენი, რომელსაც იბრძებდა შახეთის მეფე გვირიკე და ართ-  
მეველა ადგილებს. ეს გარემოება გულს უწვავდა ჭართლის

ერისთავს ივანე მარუშიძეს. იგი ეახლა ღვით მეფეს და სთხოვა დახმარება. მისივე წინადადებით უშვილო ღვითმა იშვილა ბაგრატ რეგვენის ნიჭიერი შვილისშვილი ბაკრატი და გამოაცხადა იგი თავის მემკვიდრედ, თან ალაგმა თავგასული ძვირიკვე. ამავე ხანში ძოლხიდაში მეფობდა ძმის მიერ თვალგდებათხრილი თევდოსე. მას არ შეეძლო ქვეყნის მართვა, რის გამოც სამეფოში ხდებოდა დიდი არეულობა. მართვული მამულიშვილი ივანე მარუშიძე გადავიდა იმერეთში, მიიმხრო ძოლხიდის ერისთავები და ღვით ძურაპალატის დახმარებით აფხაზეთის მეფედ ახალგაზდა ბაგრატი გამოაცხადა, რომელიც ძუთაისში დაჯდა ტახტზე ბაგრატ მესამის სახელით 978 წ. ამრიგად შეერთდა უომრად და სისხლდაუღვრელად საქართველოს უმეტესი ნაწილი: ქაქთღი, მესხეთი და კოლხიდა; დარჩა განზე მხოლოდ კახეთი. ამ ბედნიერი დღიდან იწყება საქართველოს ძლიერება და ბრწყინვალე ხანა.

ღვით ძურაპალატმა მიაშველა ჯარი ბიზანტიის იმპერიას და იხსნა იგი დაღუპვისაგან. მანვე ააგო ძლარჯეთში ღვთისმშობლის სახელზე სასულიერო დადგობული ტაძარი, რომელიც დაცულია დღემდე. იგი უდიდესი და უმშვენიერესი ტაძარია მთელ საქართველოში. სასულის ღვთისმშობლის დიდებული ხატი ამჟამად ასვენია ბელათის მონასტერში და თავისი მაღალი ხელოვნებით განცვიფრებაში მოყავს ევროპის მეცნიერნი. ღვითმა ააგო აგრეთვე ჯავახეთში ზაქაშის შესანიშნავი ეკლესია.

## 26. თორნიკე მრისთავი და ივერიის მონასტერი

ღვით ძურაპალატის დროს თავი ისახელა მესხეთის ერისთავმა დიდმა თორნიკემ. ეს იყო ღვით მეფის სპასალარი, ე. ი. ჯარების უფროსი. მან დიდი ამაგი დასდო სამშობლოს. მოხუცებულობის დროს თორნიკე შედგა ბერად ივერიის მონასტერში და იწოდა იოანედ.

ამ დროს ბიზანტიის იმპერატორს აუჯანყდა მისი მცირე აზიის მმართველი ბარდა სკლიაროსი. მან გამოცახადა თავისი თავი მეფედ, დაიმორჩილა ძალით თუ ნებით მცირე აზიის ქვეყნები, დაამარცხა რამდენჯერმე იმპერატორის ჯარები და დიდი მხედრობით წაძვიდა აოსტანტინეპოლისკენ მთელი ბიზანტიის დასაპყრობად. ამ საშინელმა ანბავმა თავზარი დასცა ბიზანტიის იმპერატორს. მან სთხოვა დახმარება ლავით ატრაპალატს და ბერად შემდგარი თორნიკე მოციქულათ გაუგზავნა. ლავით მეფემ შეიწყნარა იმპერატორის თხოვნა და მიაშველა 12 ათასი რჩეული გეომარი თვით თორნიკეს მეტაურობით. ამათ და ბიზანტიის ჯარმა ერთად დაამარცხეს ბარდა სკლიაროსი და დიდი ალაფი წაართვეს. ამრიგად ქართველებმა იხსნეს მთელი ბიზანტია დიდი განსაცდელისაგან. უზომოდ გახარებულმა იმპერატორმა ლავით მეფეს მრავალი ქვეყანა უბოძა, ქართველი ჯარი უხვად დაასაჩუქრა და თვით თორნიკეს აურაცხელი ქონება მისცა.

ეს დიდი განძი თორნიკე მრისთავმა ივერიის მონასტერს მოახმარა. მან ფრიად ვაამშვენებრა ეს მონასტერი. თვით ივერიის მონასტერი დააარსა ათონის მთაზე ანუ მთაწმინდაზე (საბერძნეთში) მეცბრე საუკუნეში ქართველმა ბერმა ათანასე დიდმა. ეს დიდებული მონასტერი შემდეგ ქართველთა აკადემიად გადაიქცა. აქ იგზავნებოდენ უმაღლესი სწავლის მისაღებად ქართველი უნიჭიერესი ახალგაზდები. მათე და მეთერთმეტე საუკუნეში აქ მოღვაწეობდენ ქართველი მეცნიერი ბერები, რომელთაც ქართული ენა, მხატვრობა, გალობა, თარგმნა და საერთოდ მწერლობა აიყვანეს განვითარების უმაღლეს წერტილამდე. მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყვნენ: იოანე ბერი, მიქელ მოდრეკილი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი ფილოსოფოსი.




გიორგი მთაწმინდელი

27. ვეფხი-ვეფხი ბაგრატ მესამე (980—1014 წ.)

ბაგრატ მესამე გაბაგრდა დასავლეთ საქართველოს ტახტზე და ხელი მიჰყო ქვეყნის გონივრულად მართვა-გამგეობას. ის მეტად ნიჭიერი მეფე და შესანიშნავი სარდალი გამოდგა. ბაგრატს გადაუდგა ძლიერი ერისთავი რატი ორბელიანი, მაგრამ მეფემ სასტიკად დაამარცხა იგი და დაიმორჩილა. თავისი მამის ზურგენისა და მამობილის ღვთის სრკვედილის შემდეგ

მან შეიერთა ქართლი და მესხეთი და ამრიგად გააერთიანა საქართველო; მხოლოდ ძახეთი დარჩა განზე. ბაგრატ მესამეს მიეცა შეფედ-მეფობის ხარისხი; ეს ხარისხი შერჩათ შემდეგ მეფეებსაც. ამ დიდებულობა მეფემ განიზრახა ძახეთის შემოერთებაც. ამ დროს კახეთში მეფობდა დავით ქორეკლში. ბაგრატმა დაამარცხა იგი და ძლიერა-მოსილი ჯარებით დაიპყრო



ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

მთელი ძახეთი, რითაც ნიხდა სრული გაერთიანება შთელი საქართველოსი. ამ გაერთიანებამ საქართველო მალე გააღონიერა. ბაგრტი მედგრათ შეეზრძოლა არაბთა ემირს ფადლანს, დაამარცხა და განდევნა არაბნი საქართველოდან. არაბებს შერჩათ მხოლოდ თფილისი თავისი მაგარი ციხეებით. ამრიგათ ბაგრატ მეფემ გაათავისუფლა საქართველო არაბთა ხანგრძლივი ბატონობისაგან.

ბაგრატის მეფობა აღინიშნება აგრეთვე ხუროთ-მოდღერების დიდებული ნაშთებით. მან ააგო აფხაზეთში ბედიის მშვენიერი ტაძარი და დაამთავრა საქართველოში მარტვილის მხანსტერი, აგრეთვე ააგო შესანიშნავი ტაძრები—ატენის, წვიმოეთის, შერიის მონასტერი და სხვ. მაგრამ ხელოვნების ნამდვილ საკვირველებას წარმოადგენდენ—ქუთაისის დიდი ტაძარი და მცხეთაში განახლებული სვეტიცხოველი. ამ ორი ტაძრის ასაგებად ბაგრატმა მოიწვია საუკეთესო ხუროთ-მოდღერები. სვეტიცხოვლის კედლები და გუმბათი მწვანე ქვისაგან ააგო, შიგნით მოწყობილობა ძვირფასი თვლებით და მარგალიტებით შეამკო. უფრო დიდებული და მშვენიერი იყო ქუთაისის ტაძარი; მისი სიმშვენიერე პირდაპირ აღუწერელია და ნათლად გვამცნევს ქართველი ერის განათლებასა და ძლიერებას. ღღესაც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს აღტაცებაში მოჰყავს მეროპის მეცნიერნი. ამ ტაძრის აგება ბაგრატმა დაამთავრა 1003 წელს; მისმა რძალმა ბიზანტიის იმპერატორის ასულმა მლენემ ტაძარი მორთო და ძვირფასად შეამკო.

## 28. ბაგრატ მეოთხე და თურქების პირველი შემოსევა

(1027—1072 წ.)

ბაგრატ მესამის შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა მისი 18 წლის ვაჟი გიორგი პირველი. ეს იყო რაინდი მეფე, ე. ი. გულკეთილი, გამბედავი და კარგი მეომარი. ბიორგის გადაუდგენ ძახეთის დიდებულნი და თავიანთ მეფეთ კვირიკე გამოაცხადეს. ამავე ბიორგის გაუმართა დიდი ომები ბიზანტიის იმპერატორმა. ამ ომებში ჯერ იმარჯვებდენ ქართველები, შემდეგ კი მეფის წინდაუხედველობით ბრძოლა წააგეს; ამრიგათ ბიზანტიელებმა წავგართვეს მესხეთის ორი მესამედი ნაწილი.



გიორგი გადიცვალა 1027 წელს; ტახტზე ავიდა მისი  
9 წლის ვაჟი ბაგრატ მეოთხე, რომელიც შემდეგ ბიზანტიის  
იმპერატორს დაემოყვრა ოა ცოლად მისი დისწული ელენე  
შვირთო. ლიპარიტ ორბელიანის რჩევით ბაგრატმა მოისურვა  
არაბთა განდევნა თფილისიდან. ის დიდი ჯარით შემოერთყა



ბ ა გ რ ა ტ მ ე ო თ ხ ე .

ქალაქს და ორი წლის განმავლობაში ისე შეევიწროვა არაბნი  
შიმშილით, რომ არაბთა ემირი აპირობდა ჩუმად გაპარვას  
და თფილისის მიტოვებას, მაგრამ ამ დროს ლიპარიტის მტერ-  
თა შთაგონებით ბაგრატმა მოულოდნელად აღყა მოხსნა  
თფილისს, დაეცა აახეთის მეფეს, წაართვა მრავალი ციხე და

დასწვა მისი დიდებული სსახლე. ამ საქციელით ბაგრატიმ მეტად გაარისხა ლიპარიტ მრბელიანი, რომელიც ამ დღიდან გადაემტერა მეფეს და მრავალი ზიანი მიაყენა.

ცოტა ხნის შემდეგ ბიზანტიასა და საქართველოს შორის დასრულდა საშუალო აზიიდან ნახევრათ ველური ხალხი სელჯუკების თურქები. მათ დასცეს აზიაში არაბთა ძლიერება, დაიპყრეს მრავალი ქვეყანა, წაართვეს ბერძნებს მთელი მცირე აზია და 1064 წელს მოადგენ ჩვენს ქვეყანას. საქართველოს შემოგესია ურიცხვი ჯარით თურქების სულთანი აზასლანი და ერთიანად გააოხრა ქართლი და მესხეთი. ძახეთის მეფე აღსართანი თავისი ნებით დაემორჩილა მას. არპასლანს კინაღამ ტყვედ ჩაუყვარდა ბაგრატი მეფე ცოლ-შვილიანად. ბაგრატი გახდა თურქთა მოხარკედ. შემდეგ არპასლანმა შეირთო ცოლად ბაგრატის დისწული და დაუმეგობრდა მეფეს. ბოლო წელს ში ბაგრატი მას ხარკს აღარ აძლევდა, მხოლოდ ერთმანეთს ფეშქაშებს უგზავნიდენ. 1072 წელს ბაგრატი მიიცვალა და ტახტზე მისი შვილი ვიჟიგი შეიჯდა ავიდა.

## 29. ვიჟიგი მეორე და თურქების მეორედ შემოსევა (1072—1089)

ვიჟიგი მეორემ ვერ გაამართლა ქართველი ერის იმედები. მიუხედავად იმისა და ახოვანი კაცი იყო, კარგი შეილდოსანი, რაინდი, მაგრამ იმავე დროს მოქვიფე, უღარდელი და თავმიცემული. იგი ქვიფსა და ნადირობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვინემ სამეფო საქმეებს. ამიტომ მის მეთაობაში საქართველო აიწეწა როგორც შიგნით, ისე გარეთ. შიგნით მეფეს აუჯანყდა ზოგიერთი დიდებული, გარედან კი ხელმეორედ შემოგესიენ ქვეყანას ველური თურქები და ააოხრეს.

ვიჟიგი მეორის დროს შეწყდა მეგობრული კავშირი თურქთა და ქართველ მეფეთა შორის; ამიტომ დაახლოვებით

1080 წელს საქართველოს თავს დაატყდა საშინელი რისხვა: უთვალავი ჯარით მას შემოესია სელჯუკის თურქთა სულთანი შაღქეშა (არპასლანის შვილი). სულთანს მიეგება ქვეყნის მოლალატე ივანე ორბელიანი და მორჩილება განუცხადა; ასევე მოიქცა ჭახეთის მეფე აღსართანი. მტერის მოწინავე რაზმებს მხედ დახვდა ზიორგი მეფე და დაამარცხა, მაგრამ ამ მცირე გამარჯვებამ ვერ უშველა ქვეყანას: მალე შაღქეშას სარდალმა საშინლად დაამარცხა ზიორგი. მტერს დარჩა დავლად ქართველი ჯარის მთელი ბანაკი და ზიორგი მეფის აუარებელი განძი.

თურქები კალიასავით მოედევნ ჩვენს სამშობლოს და ცეცხლსა და მახვილს მისკეს ყველაფერი. ზიორგი მეფემ თავს უშველა იმერეთში. თურქების მხეცობას ვერ გადურჩა ვერც ქალი და კაცი, ვერც ყრმა და მოხუცი. მთელ საქართველოში დათარეშობდნ ვეფურთა ბრბონი და ცარცვავედნ ქვეყანას. თავზარდაცემული ხალხი გარბოდა ტყესა და მთებში და შიმშილისაგან იხოცებოდა.

ამ დროს მოხდა დიდი მიწისძვრა, ერთ წელიწადში განმეორდა რამდენჯერმე და მოსპო ის, რაც გადარჩათ თურქებს. ქართველი ერი დაეცა სულით, და გაიხრწნა ზნეობით; მან დაჰკარგა მომავალის იმედი. მაგრამ ამ საერთო უბედურების დროს გაიღვიძა განათლებულ დიდებულთა წრეში სსმშობლას სიყვარულმა. ამ წრემ მოისურვა ქვეყნის ხსნა დაღუპვისაგან. დიდებულნი ნათლად ხედავდნ, რომ საქართველოს უშველიდა მხოლოდ ძლიერი მეთაური, და ასეთიც იყო ტახტის მემკვიდრე დავითი. ამის გამო დიდებულებმა აიძულეს ზიორგი მეფე, გადამდგარიყო ტახტიდან და მეფობა თავისი შვილისთვის დაეთმო. ზიორგი დაემორჩილა დიდებულთა სურვილს და 1089 წელს განადგურებულ საქართველოს ტახტზე ავიდა 19 წლის დავითი.

### 30. დავით აღმაშენებელი (1089—1125 წ.)

თურქების შემოსევის შემდეგ სისხლით მორწყული საქართველო საშინელ სურათს წარმოადგენდა: გადამწვარი სოფლები და ქალაქები, გატიალებული მინდვრები და ვენახები, დაბურული და ფეხქვეშ გათელილი ქვეყანა, ტყე-ღრეში შემალული ხალხი. ნანგრევთა შორის მწარე ღუდუნით მოსჩქეფდნ



დავით აღმაშენებელი

მდინარენი და გორაკებიდან მოჩანდნ მღუმარე დიდებული ტაძრები, რომელთა სიდიადე-სიმშვენიერეს მოეხიბლა ველური თურქი: მათ ვერ შეხებოდა შესამუსრავათ მ ჯარვალის მურტალი მარჯვენა...

ამ დროს ტახტზე აღის დიდებული მეფე დავითი იმდენად ახოვანი და მშვენიერი გარეგნობით, რამდენათაც სულით ძლიერი და ნიჭით მაღალი, მასთან ფრიად განათლებული და მწერლობის მოყვარული. შაბუკმა მეფემ მაშინვე დაიხლოვა საუკეთესო მამულისშვილნი და განათლებული პირნი და მათი დახმარებით მხედრულად დაწვრილი სამშობლოს აღდგენას და ქართველი ერის დაღუპვისაგან გადარჩენას. შველაზე უწინ ღვთისმამა შეაჩერა თურქების თარეში თავისი საკუთარი ხაზინიდან ხარკის ძღვევით; ამრიგად ააცდინა ქვეყანას ყოველწლიური დარბევა. შემდეგ მთებიდან ჩამოიყვანა შეშინებული ხალხი და დაასახლა ძველს ბინაზე. აშენდა თანდათან სოფლები და ქალაქები, აბიბინდა პურის ყანები, შეიმკო ბაღები ხეხილითა და ვენახებით. მთელ საქართველოში დატრიალდა ახალი სიცოცხლე. ღიღინას მთა-ტყეებში ყოფნის დროს დასწულდა მრავალი ქალი და კაცი. ღვთისმამა ააგო მათთვის საავათმყოფოები, ხშირად ნახულობდა მათ, ანუგეშებდა ტკბილი სიტყვით, უვლიდა და თავისი ხელით ასმევდა წამალს.

ამას შემდეგ ღვთისმამის დანგრეული ციხე-კოშკებისა და შონასტრების აღდგენას შეუდგა და მოკლე დროში ეს მძიმე საქმე დიდებულათ შეასრულა. ამასთან ერთად მან გაიყვანა არხები და გზატკეცილები, ააგო ხიდები და ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას; მეფეს არ ჰქონდა მოსვენება: მთელი მისი დრო საქართველოზე ზრუნვამ სჩანოდა. ამ გვარი მისი მზრუნველობით ქართველი ერი დამშვიდდა, მოსულიერდა, ნივთიერად აყვავდა, გამრავლდა და გაღონიერდა. მეფე აღტაცებით შეტრფოდა თავისი მოქმედების ნაყოფს და მარჯვე დროს ელოდა, რომ საქართველოდან თურქები გაედევნა და ამრიგად ქვეყანა მონობისაგან დაეხსნა. ეს ჟამიც მალე დადგა. მეფე საოცარი მხნეობით შეუდგა ამ გამირულ საქმეს. ამ დღიდან მისი უმთავრესი მიზანი შეიქნა: მტარყაღას განდევნა და სამშობლოს თავისუფლება.

### 31. თურქების განდევნა საქართველოდან

ღვით მეფე რომ ამგვარ ზრუნვაში იყო თავისი ქვეყნის შესახებ, მოკვდა თურქების სულთანი მალექშა და მისი უზარმაზარი სახელმწიფო დანაწილდა. მის მემკვიდრეთა შორის ჩამოვარდა შური და უთანხმოება, რამაც თურქები საკმაოდ დაასუსტა. ღვითმა ამ მარჯვე დროთი შესანიშნავათ ისარგებლა. მან ჯერ მოუსპო თურქებს ხარკის ძლევა, შემდეგ შეკრიბა ჯარი და გაუმართა სამშობლოს მტერთ მედგარი ბრძოლა. თურქთა დიდი ურდონა მტკვრის ხეობაში ბინადრობდენ. ღვითი თავისი მამაცი ჯარით დაესხა მათ რამდენჯერმე და სასტიკათ დაამარცხა. მართველთა ასეთმა სიმამაცემ და ხელიზედ გამარჯვებამ თავზარი დასცა თურქებს. იმათ შესწივლეს თავიანთ სულთანს შამქლს. მრისხანე სულთანმა გამოგზანა საქართველოში ურიცხვი ჯარი; ისინი დაბანაკდენ თრიალეთში. ღვითმა უცებ შეკრიბა 1500 საუკეთესო მეომარი, ელვასავით გაჩნდა თრიალეთში, ჩუმად დაეცა დამით თურქების ბანაკს და მტერი საშინლად დაამარცხა. მართველებს დავლად დარჩა აურაცხელი განძი. ბაბრახებულმა სულთანმა გამოგზანა კიდევ უფრო დიდი ლაშქარი, რომელიც წემო ქართლში დაბანაკდა. ღვითმა შეკრიბა საკმაო ჯარი, მოულოდნელად დაესხა თურქებს და ესენიც დაამარცხა. მრავალი ტყვე და დავლა დარჩათ ქართველებს. ამ გამარჯვების შემდეგ ღვითმა თავისი ჯარი რამდენიმე რაზმით გაჰყო და თურქების ქვეყანას შეესია, გაიმარჯვა მტერზე, დაიპყრო განჯა, შირვანი და გაწმინდა თურქებისაგან მტკვრისა და არეზის ხეობა. ღვითმა მეფემ ჩაიგდო ხელში თურქების მაგარი ციხეები და იმდენი დავლა, რომ მთელი საქართველო გაივსო ქონებით.

ახლა თურქებს უარესი დღე დაუდგათ. მათ გამწარებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი შავად შემურული წარსდგენ თავიანთ სულთანის წინაშე, ძირს დაემხვენ და ცრემლით სთხოვდენ შეველას. ბრახმორეულმა სულთანმა შეკრიბა თავის

საბრძანებელში საუკეთესო ჯარი, რიცხვით 200 ათასი მეომარი, გაჰყო სამ დიდ რაზმად და საუკეთესო სარდლების მეთაურობით გამოგზავნა საქართველოს მოსასპობათ. ეს ჯარები სამი გზით შემოვიდნენ საქართველოში და დაბანაკდნენ: ერთი თრიალეთს, მეორე მანგლისს და მესამე დიდგორს. მეფე ლავითმა სწრაფათ შეკრიბა 55 ათასი მეომარი, დაეცა მტერს და დაამარცხა სამივე ალაგას. შემდეგ გაედევნა უკან, შეესია თურქების ქვეყნებს, დაარბია ისინი და თან წამოიღო დავლათ იმდენი ქონება, რომლის მსგავსი არა დროს არ ენახათ ქართველებს. ლავით მეფის ასეთმა საარაკო გამირობამ თავზარი დასცა თურქებს. ამიერიდან მათ მიეცათ ქართველი ერის შიში. ლავითმა გაათართოვა საქართველოს საზღვრები შავი ზღვიდან ქასპის ზღვამდე, ქავკასიონის ქედიდან არეზამდე და გაამაგრა ყოველი კუთხე ციხეებითა და მეციხოვნე ჯარით.


## 32. ქახეთის შემოერთება და არაბთა განდევნა

### თფილისიდან

თურქების განდევნით და ადგილების წართმევით არ დაკმაყოფილდა მეფე: ლავითი შეუდგა საქართველოს გაერთიანებას. საჭირო იყო ქახეთისა და თფილისის შემოერთება. ქახეთი იმ დროს ცალკე სამეფოს შეიცავდა, რომლის მეფეც აღსართანი ყოვლად უზნეო კაცი იყო. თფილისი კი ისევ არაბებს ეკავათ. ქახეთის დიდებულებმა სტაცეს ხელი თავიანთ უღირს მეფეს, მიჰგვარეს ლავითს გასასჯელათ და ამ ქვეყნის შეერთება სთხოვეს. ლავითი სიამოვნებით დათანხმდა და შეიერთა ქახეთი. ამის სახსოვრად მან ააგო გელათის დიდი მონასტერი (ჭუთაისიდან 9 ვერსის მანძილზე) და მისი უმთავრესი ტაძარი შეამკო იშვიათი ხელოვნებით.

ამ დიდი საქმის შემდეგ ლავითი თფილისის აღებას შე-

უდგა, შემოარტყა ალყა და ორი წლის შემდეგ იერიშით აი-  
ლო იგი. მეფემ დანიშნა თბილისი თავისი შვილების სამყო-  
ფელ ქალაქად, დაამშვიდა მცხოვრებნი, მოსკრა ფული და დი-  
დის პატივით მოეპყრო არაბთა მწერალთ; მერე დაბრუნდა  
ისევ ძუთაისს, რომელიც მისი სატახტო ქალაქი იყო. ამას



### გელათის მონასტერი

შემდეგ ლავითს წარუდგენ სომხეთის წარჩინებული პირნი,  
სთხოვეს, მიეღო მათი ქვეყანა თავის მფარველობის ქვეშ და  
ამრიგად ეხსნა სომხეთის ერი თურქთა ძალდატანებისაგან.  
სომეხთა სატახტო ქალაქა ანისში ემირად ახუასეფარი იჯდა და  
ავიწროებდა ხალხს. მეფემ შეიწყნარა სომხების ვედრება და  
ძლიერი რაზმით გაემართა ანისისაკენ. აბულოსეგარი შეშინდა  
და ლავითს უომრად დამორჩილდა. ლავითი დიდის ზემოთ შე-  
ბრძანდა ანისში; სომეხთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.  
ამრიგად ლავითმა სომხეთის ჩრდილო ნაწილიც შეიერთა.



### 33. საქართველოს გაქვლიერება

ღავითმა თავი ისახელა არა მარტო სამშობლოს გაქვლიერებით, მტრის შემუსვრითა და საქართველოს საზღვრების გადიდებით: მან აგრეთვე გააძლიერა ქართველი ერი ნივთიერად და სულიერად. მტრის გადევნას, მეტადრე მის შეჩერებას და ფართო საზღვრების დაცვას კარგად გაწრთვნილი მხედრობა ეჭივრებოდა: ამიტომ ღავითმა დააარსა მუდმივი ჯარი, რიცხვით 60 ათასი კაცი. ეს ჯარი შედგებოდა როგორც ქართველთაგან, ისე ყიფჩაღთაგან. ეს მეომარი ხალხი, რიცხვით 40 ათასი ოჯახი, მეფემ გადმოასახლა ჩრდილო ძავკასიიდან და დააბინავა შტკვრის ხეობაში. ამ მუდმივ ჯარში შედიოდა აგრეთვე გაქრისტიანებულ მონათაგან შემდგარი რაზმი, ანუ მონასხა, რიცხვით 5 ათასი კაცი.

ბიორგი მეორის დროს თურქების შემოსევას მოჰყვა ქართველი ერის ზნეობისა და სარწმუნოების დაცემა. ამის გამო ღავითმა მოიწვია განათლებულთა და სასულიერო პირთა კრება, რომლის მეოხებით დიდმა მეფემ გაწმინდა სარწმუნოება მწვალეობისაგან, შეადგინა კანონები და გადააყენა თანამდებობიდან უხნეო პირნი. ამავე დროს ღავითმა გაათავისუფლა სახელმწიფო ბეგრისაგან სასულიერო წოდება და საეკლესიო გლეხები, თავის მოძღვარს კი ყოველ დღე აძლევდა ფულს. ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა დასარიგებლად. ღავითი მეტად კეთილი აღამიანი იყო; იგი დიდის პატივით ეპყრობოდა ყველა ხალხის სარწმუნოებას და ზნე-ჩვეულებას. მისი მეფობის დროს ურიცხვი სომეხი გადმოსახლდა საქართველოში და ხელი მიჰყო აღებ-მიცემობას.

ღავით მეფის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო ქართველი ერის სწავლა-განათლებაზე; ამ მიზნით მან დააარსა მრავალი შკოლა და ურთი აკადემია. ბარდა ამისა ქართველ უნიჭიერეს ახალგაზრდებს მეფე სახელმწიფო ხარჯით ბიზანტიას ჯზავნიდა უმაღლესი სწავლის მისაღებად. ამ დიდებული მეფის

წყალობით ქართველი ერი აყვავდა ნივთიერად, გამრავლდა და განვითარდა. ქართველთა რიცხვი სამ მილიონამდე ავიდა; აგრეთვე სამ მილიონამდე დაპყრობილი სხვა ხალხიც იყო.

ამდენმა შრომამ და ქვეყნის ზრუნვამ დაქანცა ლავითი; მან თითქო იგრძნო სიკვდილის მოახლოება; აკურთხა მეფედ თავისი უფროსი ვაჟი დიმიტრი და რამდენიმე დღის შემდეგ გადაიკვალა. ლავითმა განისვენა 24 იანვარს 1125 წელს; ქართველი ერისაგან მხურვალედ დატირებული დიდის დიდებით დასაფლავეს ბელათის მონასტერში. ლავითი ეკლესიამ წმინდათა შორის შერაცხა, ისტორიამ საქართველოს უდიდებულეს მეფედ სცნო, ქართველმა ერმა მას აღმსვენებელი უწოდა.

#### 34. დიმიტრი პირველი და ბიორგი მესამე

(1125—1184 წ.)

დიმიტრის ხელში გადავიდა ძლიერი სამეფო. ბარეშე მტრები ვერაფერს უბედავდნენ. ამიტომ ქართველი ერი სტკებოდნა მყუდრო ცხოვრებით და ვითარდებოდნა ნივთიერად და გონებრივად. სიბერის დროს მეფეს აუჯანყდა მისი უმცროსი ვაჟი დავითი და მრბელიანთა დახმარებით ავიდა ტახტზე. დიმიტრიმ აკურთხა იგი მეფეთ, თვითონ კი ბერად შესდგა ბელათის მონასტერში.

ლავითს დიდხანს არ უმეფია: ის გადაიკვალა დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ. სიკვდილის დროს მან მიიწვია თავისი ძმა ბიორგი, კათალიკოსი და დიდებულნი; ჩამოართვა მათ ფიცი, ჩემს პაწაწა შვილს დემნას არ უღალატოთ და მეფედ აკურთხეთ, როცა ასაკში მოვაო.

დასაფლავეს თუ არა ლავითი, ტახტზე მისი ძმა გიორგი შესსე ავიდა; მან გაიმეორა ფიცი, ტახტს დემნას დაეუფმო, როგორც კი იგი გაიზრდებო; მაშინ ბიორგი უმჯილო იყო. ცოტა ხნის შემდეგ მეფეს შეეძინა ქალიშვილი

### 33. საქართველოს გაძლიერება

ღავითმა თავი ისახელა არამარტო სამშობლოს გააფრთხილებით, მტრის შემუსვრითა და საქართველოს საზღვრების გადიდებით: მან აგრეთვე გააძლიერა ქართველთა ერთი ნივთიერება და სუფიერება. მტრის გაღვენას, მეტადრე მის შეჩერებას და ფართო საზღვრების დაცვას კარგად გაწრთვნილი მხედრობა ეჭივრობდა: ამიტომ ღავითმა დააარსა მუდმივი ჯარი, რიცხვით 60 ათასი კაცი. ეს ჯარი შედგებოდა როგორც ქართველთაგან, ისე ყიფნათაგან. ეს მეომარი ხალხი, რიცხვით 40 ათასი ოჯახი, შეფემ გადმოასახლა ჩრდილო ძავეკასიიდან და დააბინავა მტკვრის ხეობაში. ამ მუდმივ ჯარში შედიოდა აგრეთვე გაქრისტიანებულ მონათაგან შემდგარი რაზმი, ანუ მონასხა, რიცხვით 5 ათასი კაცი.

ბიორგი მეორის დროს თურქების შემოსევას მოჰყვა ქართველი ერის ზნეობისა და სარწმუნოების დაცვა. ამის გამო ღავითმა მოიწვია განათლებულთა და სასულიერო პირთა კრება, რომლის მეოხებით დიდმა შეფემ გაწმინდა სარწმუნოება მწველებლობისაგან, შეადგინა კანონები და გადააყენა თანამდებობიდან უზნეო პირნი. ამავე დროს ღავითმა გაათავისუფლა სახელმწიფო ბეგრისაგან სასულიერო წოდება და საეკლესიო გლეხები. თავის მოძღვარს კი ყოველ დღე აძღვევდა ფულს ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა დასარიგებლად. ღავითი მეტად კეთილი ადამიანი იყო; იგი დიდის პატივით ეპყრობოდა ყველა ხალხის სარწმუნოებას და ზნე-ჩვეულებას. მისი მეფობის დროს ურიცხვი სომეხი გადმოსახლდა საქართველოში და ხელი მიჰყო აღებ-მიცემობას.

ღავით მეფის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო ქართველი ერის სწავლა-განათლებლაზე; ამ მიზნით მან დააარსა მრავალი შკოლა და ერთი აკადემია. ზარდა ამისა ქართველ უნიკიერეს ახალგაზრდებს მეფე სახელმწიფო ხარჯით ბიზანტიას გზავნიდა უმაღლესი სწავლის მისაღებად. ამ დიდებული მეფის

წყალობით ქართველი ერი აყვავდა ნივთიერად, გამრავლდა და განვითარდა. ქართველთა რიცხვი სამ მილიონამდე ავიდა; აგრეთვე სამ მილიონამდე დაპყრობილი სხვა ხალხიც იყო.

ამდენმა შრომამ და ქვეყნის ზრუნვამ დაქანცა ლავითი; მან თითქო იგრძნო სიკვდილის მოახლოება; აკურთხა მეფედ თავისი უფროსი ვაჟი დიმიტრი და რამდენიმე დღის შემდეგ გადაიკვალა. ლავითმა განისვენა 24 იანვარს 1125 წელს; ქართველი ერისაგან მხურვალედ დატირებული დიდის დიდებით დასაფლავეს ბელათის მონასტერში. ლავითი ეკლესიამ წმინდათა შორის შერაცხა, ისტორიამ საქართველოს უდიდებულეს მეფედ სცნო, ქართველმა ერმა მას აღმაშენებელი უწოდა.

### 34. დიმიტრი პირველი და ბიორგი მესამე

(1125—1184 წ.)

დიმიტრის ხელში გადავიდა ძლიერი სამეფო. მარეშე მტრები ვერაფერს უბედავდნენ. ამიტომ ქართველი ერი სტკებოდა მყუდრო ცხოვრებით და ვითარდებოდა ნივთიერად და გონებრივად. სიბერის დროს მეფეს აუჯანყდა მისი უმცროსი ვაჟი ლავითი და მრბელიანთა დახმარებით ავიდა ტახტზე. დიმიტრიმ აკურთხა იგი მეფეთ, თვითონ კი ბერად შესდგა ბელათის მონასტერში.

ლავითს დიდხანს არ უმეფია: ის გადაიკვალა დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ. სიკვდილის დროს მან მიიწვია თავისი ძმა ბიორგი, კათალიკოსი და დიდებულნი; ჩამოართვა მათ ფიცი, ჩემს პაწაწა შვილს დემნას არ უღალატოთ და მეფედ აკურთხეთ, როცა ასაკში მოვაო.

დასაფლავეს თუ არა ლავითი, ტახტზე მისი ძმა გიორგი შესე ავიდა; მან გაიმეორა ფიცი, ტახტს დემნას დაუფიქრობ, როგორც კი იგი გაიზრდებოა; მაშინ ბიორგი უშვილო იყო. ცოტა ხნის შემდეგ მეფეს შეეძინა ქალიშვილი

შვილის შეძენამ მას შეუცვალა აზრი. ღმნას მაგიერ მეფემ თავისი ქალის გამეფება მოისურვა, რასაც დიდი უბედურება მოჰყვა.

ზიორგი მესამე მეტად ზვიადი და სისხლის მღვრელი ადამიანი იყო. თავისს ხანგრძლივ მეფობაში მან ბევრჯერ გაილაშქრა თურქთა და სპარსთა წინააღმდეგ და ყველგან სასტიკად დაამარცხა მტერი და ასახელა ქართველთა იარაღი. ზიორგიმ კიდევ უარესი შიშის ზარი დასცა შინაურებს. მან გამოიჩინა თავისი ძმისწულის ღმნისა და ორბელიანთა მიმართ საშინელი სიმკაცრე. ტახტის კანონიერი მემკვიდრე ღმნა დაგაჟაკადა; ის დაემსგავსა ნიჭითა და გარეგნობით თავის პაპას ღავით აღმაშენებელს. ღმნამ მოსთხოვა ტახტი ბიძას; ზიორგიმ უარი შეუთვალა. მაშინ ზოგიერთ დიდებულთა დახმარებით ღმნამ მოახდინა შეთქმულება ზიორგის წინააღმდეგ. ზიორგიმ გაიგო ეს, სწრაფად შეკრიბა ლაშქარი, ეკვეთა შეთქმულებს, დაამარცხა და შერეკა ღმნის ცხეში და ისე შეავიწროვა შიმშილით, რომ შეთქმულები იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ მეფეს. აქ კი ზიორგიმ საზარელი საქმე ჩაიდინა: მან წამებით მოკლა თავისი ძმისწული ღმნა და სრულიად ამოსწყვიტა ორბელიანთა გვარი, (მხოლოდ ერთი გადარჩა სპარსეთში). ცოტა ხნის შემდეგ ზიორგიმ აკურთხა მეფედ თავისი ასული თამარი; ზიორგი 1184 წელს გადაიცვალა.

### 35. თამარ მეფე (1184—1213 წ.)

მეთორმეტე საუკუნის ბოლო ხანებში საქართველოს სამეფოს ტახტი გააშუქა ბრწყინვალე ვარსკვლავმა. ეს იყო თამარ მეფე. სიმშვენიერით, სიბრძნით, ნიჭითა და გულკეთილობით თამარი აღემატებოდა თითქმის ყველა დროისა და ქვეყნის ქალებს, რომელთაც კი თავზე მეფის გვირგვინი დასჯებოდა. არც ერთ მეფეს არ აუგია იმდენი ტაძარი, რამდენიც

თაშარს; არავის არ შეუწირავს ეკლესია. მონასტრისთვის იმდენი განძი, რაც თაშარ შეფეს; არავის არ განუკითხავს ისეთი



თაშარ შეფე

სიუხვით ქვრივობოლი, როგორც ამ იშვიათ ადამიანს, ამ

დიდებულმა მეფე ქალმა მოსპო მთელ საქართველოში კაცის სიკვდილით დასჯა და დასახიჩრება. ეს მალალ-ზნეობრივი საქციელი თამარმა ჩაიდინა იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლეს არაფრად აფასებდენ და ყველგან რაიმე დანაშაულისთვის ან თავს სჭირდენ, ან თვალეზის დათხრით, ენის ამოგლეჯით და ხელ-ფეხის მოკვეთით სამუდამოდ ასახიჩრებდენ.

თამარი აღზარდა მამიდა მისმა რუსუდანმა, ფრიად განათლებულმა ქალმა. თამარის სიმშვენიერე იყო აუწყრელი. ღიდის ზემით აკურთხა იგი მეფედ მამა-მისმა ზიორგი მესამემ; ანტონ ჭუთათელმა დაადგა მას თავზე ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო გვირგვინი; რაჭის მრისთავმა შემოართყა წელზე ხმალი; მეფემ კი მისცა ხელში სკიპტრა; მიქელ ქათალიკოსმა უკურთხა გვირგვინი; დიდებულებმა შემოსეს სამეფო სამოსელით და დასვეს ტახტზე. ზაიმართი ლიტანია. მშვენიერი მეფის წინაშე ერთგულობის ფიცი მიიღეს: ზიორგი მესამემ, ქათალიკოსმა, ეპისკოპოზებმა, დიდებულებმა, მხედრობამ და სრულიად საქართველოს ხალხმა. თამარმა მოატანია აურაცხელი საუნჯე და უზვად დაურიგა დავრდომილთ, ქვრივობოლთ, ხალხსა და ლაშქარს. მანვე დაასაჩუქრა აგრეთვე თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. ზაიმართა დიდებული ნადიმი; ილხენდა ქართველი ერი.

მკურთხა თუ არა მეფედ, თამარმა უმთავრესი ყურადღება კანონს მიაქცა. მან აკრძალა სამეფოში უსამართლობა და ძალმომრეობა. ეს იყო პირველი ნაბიჯი მისი ბრძნული მოქმედებისა. რამდენიმე წლის შემდეგ მიიცვალა ზიორგი მეფე. თამარი შეიქნა საქართველოს მბრძანებელი.

### 36. თამარ მეფის შინაური ცხოვრება

ქართველი ერი ხარობდა, რომ მეფედ ასეთი დიდებული ადამიანი ჰყავდა, მაგრამ ამავე დროს სწუხდა, რომ თამარი უქმროდ რჩებოდა და მემკვიდრე არ ჰყავდა. თუმცა თამარის

სიმშვენიერით მოხიბლული იყვნენ და მის ქმრობას ნატრობდენ ბიზანტიის იმპერატორის, სპარსეთის მეფისა და დასავლეთი აზიის სულთნების შვილები, მაგრამ **თამარი** ყველას უარს ეუბნებოდა; მას არ სურდა გათხოვება. საქართველოს ყოველი კუთხიდან შეიკრიბენ დიდებულნი, ერის წარმომადგენელნი და მუხლმოყრით შეევედრენ **თამარს**, აირჩიე ქმარად რომელიმე ღირსეული კაციო. **თამარი** დათანხმდა; მას მოჰგვარეს საქმროდ გიორგი რუსი, რუსეთის დიდი მთავრის ანდრიას შვილი.

სამწყუხაროდ, ბიორგი რუსმა ვერ გაამართლა დიდებულთა იმედები—მასში თავი იჩინა ველურმა ხასიათმა: იგი გალოთდა, გაირყვნა და უზნეო ცხოვრებას ეტანებოდა. **თამარი** იძულებული გახდა განშორებოდა მას, როგორც უღირს ადამიანს. ჩასვეს გემში ბიორგი რუსი და დიდი საჩუქარით გაისტუმრეს პოსტანტინეპოლს. **თამარი** კი, დიდებულთა სურვილის თანახმად, მითხოვდა **მსეთის** მთავრის შვილს დავით სოსლანს, მამიდა რუსუდანის გაზრდილს, რომლისგან **თამარს** ქალ-ვაჟი შეეძინა—გიორგი ჯამა და რუსუდანი.

**სოტა** ხნის შემდეგ ბიორგი რუსი ბიზანტიის ჯარით მესხეთს მიადგა და საქართველოს ძალით დაპყრობა მოისურვა. მან მიიმხრო კოლხიდა-მესხეთის ერისთავები და დიდი მხედრობით გადმოვიდა ქართლში. **თამარმა** უცებ შეკრიბა ჯარები. დავით სოსლანი და ამირსპასალარი ზამრეკელი ამ ჯარებით ეკვეთენ მტერს და საშინლათ დაამარცხეს. პოლხიდა-მესხეთის დიდებულებმა შეინანეს თავიანთი საქციელი და **თამარს** მორჩილება განუცხადეს. მეფე ყველას ლმობიერებით მოექცა და დანაშაული აპატია. სვანებმა მოჰგვარეს **თამარს** ბიორგი რუსი ხელ-ფეხ შეკრული; **თამარმა** იგი განათავისუფლა და საბერძნეთს გაისტუმრა.

ამ ომში თავი ისახელა ზაქარია მხარგქელმა. ზამრეკელის სიკვდილის შემდეგ **თამარმა** მას ამირსპასალარობა უბოძა, ე. ი. მთელი ჯარების უფროსობა და სამხედრო მინისტრობა.



### 37. შამქორის და ბასიანის ომი

თამარის მეფობაში რამდენიმე ბრძოლა მოხდა; მათში უფრო შესანიშნავია შამქორისა და ბასიანის ომი.

შამქორის ომი. სპარსეთი გაყოფილი იყო ძმებს შორის სამ ნაწილად. შუათანა ძმამ აბუბეკრმა უფროს ძმას სამეფო წაართვა და ამასვე უბირებდა უმცროს ძმას ამიქშიქმანს. ამირ-მირმანმა დახმარება სთხოვა თამარს და მის მეფეობის ქვეშ შევიდა. თამარმა შეკრიბა საუკეთესო ლაშქარი და საომრად გაემართა. მეორე მხრით წამოვიდა აბუბეკერი ურიცხვი ჯარით. მისი მიზანი იყო საქართველოს დაპყრობა. ბრძოლა გაიმართა ზანჯის ახლოს შამქორის ვეჯზე. მართველთა გამირობამ და ზაქარია მხარგდელის სამხედრო ნიჭმა სძლია ურიცხვ მტერს. საშინლად დაამარცხდა აბუბეკერი; მან ძლივს მოასწრო გაქცევა. მთელი მისი ზანაკი, 12 ათასი ტყვე, ათწორებელი ოქრო და თვალმარგალიტი ღარჩათ ქართველებს. მართველებმა ჩაიგდეს აგრეთვე ხელში ხალიფას დროშა, რომელიც თამარმა შესწირა ზეღდათში ზახულის წვთისმშობელს.

ბასიანის ომი. ეს მეორე ბრძოლა კიდევ უფრო საშინელი იყო. ეს დიდი ომი გამოიწვია თამარის მიერ უახსის დაქვრამ. ამ ძლიერი სიმაგრის წართმევამ მეტად გააბრაზა მცირე აზიის სულთანი სუქანდინი. მან შეკრიბა თავისს ვრცელ საბრძანებელში ურიცხვი ლაშქარი და წამოვიდა საქართველოს მოსასპობად. ამასთან ერთად თავხედმა ნუქარდინმა მოსწერა თამარს ყოვლად უგვანო ბარათი, რომელშიაც ვაკიცხა ჩვენი მეფე და მთელი საქართველო. ბარათის მომტანი პირველად მიჰვარეს ამირსპასალარ ზაქარიას. ღარბაისელი სპასალარი მეტად გააცხარა როგორც წერილის შინაარსმა ისე მომტანის უზრდელმა სიტყვამ და ისეთი სილხე გაართყა ნუქარდინის ელჩს, რომ იგი უგრძნოდ დაეცა.

თამარის ბრძანებით მაშინვე აფრინეს შიკრიკები საქართველოს ყოველ მხარეს და შეკრიბეს მრავალი ჯარი. ლაშქარმა

იყო დენა შარძიის მონასტერთან. აქ **თამარ** მეფემ გადაიხადა ლიტანია: შეავედრა ღმერთს ქართველი ჯარი, დალოცა იგი და ღვით სოსლანისა და ზაქარია მხარჯძელის მეთაურობით გაგზავნა **ნუქარდინის** წინააღმდეგ, თანაც მისწერა სულთანს შესაფერი პასუხი. ბრძოლა მოხდა პასაანს ბოლხსტიკის ველზე, **აზრუმის** სიახლოვეს, სადაც **ნუქარდინი** ბანაკად იდგა. **ის** უხარმაზარი მინდორი ერთიანათ მოფენილი იყო მტრის კარვებით, უთვალავი ცხენით და ჯორ-აქლემით. ქართველები არ შეუშინდენ თურქთა სიმრავლეს—თავგანწირულად ეცენ მტერს. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. მრთი მხრით მიესიენ მტერს იმერ-აფხაზნი, მეორე მხრით კი ქართლ-კახელნი. შედრკა **ნუქარდინის** ჯარი; მან ვეღარ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს; იბრუნა პირი და გაკურცლა. შველაზე წინ გარბოდა თავხედი **ნუქარდინი** თავისი ამალით. მთელი ბანაკი და აუარებელი დავლა დარჩათ ქართველებს. **მქროვერცხლის** და თვალმარგალიტის სიმრავლე აუწერელი იყო. ზაივსო სიმდიდრით სამეფო ხაზინა; აივსენ ალაფით მხედრობა და დიდებულნი; აივსო საქართველო ტყვედ წაშოყვანილი თურქებით. **ის** ამოდენა დავლა **თამარმა** მოახმარა კეთილ საქმეებს, ქვრივ ობლებს, ტაძრებს და მონასტრებს.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მთელმა დასავლეთმა აზიამ ქედი მოიხარა ქართველი ერის ძლევაშოსილობის წინაშე. ამიერიდან **თამარს** აღიდებდენ აზიის მწერლები; მის მეკობრობას ნატრობდენ სულთნები და იმპერატორები.

### 38. ბრძოლის იმპერიის დასასრული და სპარსეთში გალაშქრება

როგორც ვთქვით, **თამარმა** ეკლესია—მონასტრებს, აუტრაცხელი სიმდიდრე შესწირა; მათ შორის უხვად დაასაჩუქრა ღვთისმშობლის ქართველი მონასტრებიც. **ის** მონასტრები ძალიად

ბით ვაცარცვა ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი მეოთხემ, ფულის მოყვარე კაცმა. ამ საქციელით მან მეტად გააცხარა თამარი. ჩვენი მეფე ეძებდა შემთხვევას სამაგიერო გადაეხადა. ბაცარცულ მონასტირებს კი გაუგზავნა ისევ დიდი განძი. შემთხვევაც მალე მიეცა თამარს. მეროპის ჯვაროსნებმა ძალით აიღეს ბიზანტიის იმპერია. თამარმა მაშინვე გაგზავნა ძლიერი რაზმი, ჩამოართვა ბიზანტიას შავი ზღვის პირად მრავალი ქვეყანა და დაარსა იქ ტრანზილანიის იმპერია, რომლის იმპერატორათ თავისივე ნათესავი ალექსი კომნენი დანიშნა. ეს ახლად დაარსებული იმპერია თამარ მეფის მართველობის ქვეშ იყო.

ამ დიდმა საქმემ კიდევ უფრო გაზარდა და გაძლიერა საქართველოს სამეფო. მის მორჩილებაში იყო კავკასიონის ქედის ყველა ხალხი: ოსები, ჯეკები და ჩეჩენები, მთელი ამიერ-კავკასია, მცირე აზიის და სპარსეთის ნაწილი. ამრიგად საქართველო გადაიქცა სხვაგვარად, რომლის მცხოვრებთა რიცხვი აღემატებოდა რვა მილიონს; ამათში ოთხ მილიონზე მეტი აყო ქართველი, დანარჩენი კი გარეშე ხალხი. ამას შემდეგ ქართველები სტკებოდნენ მყუდრო ცხოვრებით. მაგრამ ეს ტკბილი ცხოვრება ცოტა ხნით დაარღვია თამარის ქმრის სიკვდილმა. ეს შესანიშნავი სარდალი და გულკეთილი ადამიანი მოაკლდა საქართველოს. მისი სიკვდილით ისარგებლა არდებილის სულთანმა და თვით აღდგომა დღეს დაეცა ანისს, დაარბია საშინლათ ეს დიდი ქალაქი და გასწყვიტა 12 ათასი მცხოვრები. ამ ამბავმა თავზარი დასცა ქართველებს. თამარმა მაშინვე დაამშვიდა ანელები და სამაგიეროს გადასახდელად გაგზავნა არდებილში დიდი ჯარით ზაქარია მხარგძელი. ზაქარია ჩუმათ მიეპარა არდებილს, დაეცა თურქებს სწორეთ მათ დღესასწაულზე და რისხვა ღვთისა მიაყენა მათ თავზე; დაარბია ეს მდიდარი ქალაქი, ამოსწყვიტა მრავალი თურქი და დიდის დავლით გამოიარა ანისზე, რომლის მცხოვრებთ ამ დავლის ნახევარი მისცა.

სოციალისტური უმრავლესობის მიერ დადგენილი ქართველი ხალხის სპარსეთს გაემართა ქვეყნის დასაპყრობათ და დავლის შესაძენათ. ამ ჯარის ძლიერად მოსილობას ვერ გაუძლო სპარსეთის სახელმწიფომ. ქართველებმა აიღეს მარანდა, თავერიზი, მაზმინი და სხვა მრავალი ციხე ქალაქი. უფრო შორს ვეღარ შესძლეს წასვლა დიდი ალაფის გამო და აუარებელი სიმდიდრით დატვირთული ქართველი ჯარი დაბრუნდა უკან. მას თფილისთან მიეგება თამარ მეფე თავისი ამალით და ხალხით და დიდი ზენით შეუძღვა ქალაქში. მთელი საქართველო დღესასწაულობდა თავისი ძლიერი მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვებას.


### 39. თამარის მოღვაწეობა და სიკვდილი

შეკვლია და მრავალფეროვანი თამარ მეფის მოღვაწეობა. ეს გენიოსი ქალი ნამდვილი დედა იყო თავის ქვეშევრდომთა. თამარის დიდებული სახე კრის გულში მარხია. მას ერთგვარი სასოებით იხსენიებს როგორც ქართველი, ისე ქავკასიის მთიელი, როგორც სომეხი, ისე სპარსელი. დაყრუებული არხები, წყალსაყვანები და დანგრეული ხიდები მოწმობენ თამარის ზრუნვას მეურნეობის ასაყვავებლად; ქავკასიონის ქედის მწვერვალზე ამართული ტაძრები; რითაც მოფენილია ოსეთი, საჩერქეზო და ლაღესტანი, მოგვითხრობენ თამარის მიერ ქრისტიანობის გავრცელებას მთის ხალხებში; შესანიშნავი ვარძია (ცხენ-დარბაზი) და გუდარეთის, პითარეთის, ქვათახევისა და ბეთანიის მონასტრები გვაძხვდნენ თამარ მეფის დიდებას და ქართველი ერის მაღალ ხელოვნებას. მართი სიტყვით, თამარ მეფე ცოცხალია ერის ხსოვნაში; ის წმიდანია, ღვთაებრივ-მშვენიერი და უკვდავების შარავანდით მოცული. თამარის დროს უმაღლეს წერტილამდე შეიხსნა ქართველი ერის პოლიტიკურმა და კულტურულმა ძლიერებამ, ე. ი. სამეფოს ძალამ, გონებრივმა და ნივთიერმა განვითარებამ.

ამ დროს ნამეტნავად გაიზარდა და გაძლიერდა საქართველოს მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა; ამ დროს მოიხრწყო უდაბური ადგილები, გაშენდა მრავალი დაბა-სოფელი და ქალაქი. ამ დროს აყვავდა ქართული ენა, მწერლობა, პოეზია და ყოველგვარი ხელოვნება. თამართან ერთად ამ დროს წარმოშვა საქართველომ დიდებული შოთა. ამ დროსვე იყვნენ გამოჩენილი მწერლები: მასე ხანელი, სასჯის ამოკველი, ივანე შავთელი და ჩხჩხუხაძე. ამიტომ თამარის მეფობის დროს საქარს ხანა დაერქვა. თამარ მეფე დაქანცა უზომო შრომამ და თავის სამშობლოს ბედნიერებისათვის ზრუნვამ. მისმა ნახმა აგებულობამ ვერ შესძლო ამდენი ჯაფის ატანა და ეს იშიათი ადამიანი აღრე დასნეულდა. იგი მძიმე ავადმყოფი შეიქნა ნაქარმაგვეში (ქართლში), და დიდებულებმა დიდი სიტუთხილით თეილისს წამოიყვანეს. აქ თამარს თავს დაადგენ საუკეთესო ექიმები, მაგრამ ვერაფერი უშველეს.

მომაკვდავ თამარს გარს ეხვიენ ქართველი ერის და სხვა ხალხთა წარმომადგენელი. თავადი და აზნაური, გლეხი და ვაჭარი, მღვდელი და ბერი, ქალი და ბავში—ყველანი თავს დასტიროდენ საყვარელ მეფეს, ღვრიდენ მხურვალე ცრემლს და გლოვობდენ საქართველოს დედას და დიდებას. უკანასკნელად აახილა თვალი თამარ მეფემ, დალოცა იქ დამსწრენი, ჩააბარა მათ თავისი შვილები ლაშა ბიორგი და რუსუდანი, შეავედრა ლმერთს საქართველო და საუკუნოთ მიძინა 1213 წელს 18 იანვარს. საშინელი გლოვის ზარი მოედვა საქართველოს. მთელი ერი მოსთქვამდა თამარის დაკარგვას. მეფის ცხედარი ჯერ წაასვენეს მცხეთას. შემდეგ კი ბელათის მონასტერში. ეკლესიამ იგი შერაცხა ნეტართა შორის, ერმა იგი შემოსა დიდების შუქით, უკვდავებით და უწოდა: თამარ მეფე.

40. შოთა რუსთველი



შოთა რუსთველი

შოთა დაიბადა დაბა რუსთავეში (მესხეთში). იგი ადრე დაობლიდა. ამ ფრიალ ნიჭიერ ბავშვის აღზრდა იკვსრა მისმა

ბიძამ. შოთამ ჯერ რუსთავის პირველდაწყებითი შკოლა დაამთავრა, შემდეგ ტბეთის სასულიერო სასწავლებელი, აქედან გადაიყვანეს ქაზეთს, სადაც გაათავა ბრემის სასულიერო სემინარია და იყალთოს აკადემია. ამაზე არ შეჩერდა კოდნის მოყვარე ქაბუკი: უმაღლესი სწავლის მისაღებად შოთა სახელმწიფო ხარჯით ბიზანტიას გაემგზავრა. აქ სანაქებოდ შეისწავლა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები და მათი მდიდარი ლიტერატურა.

ზრიად ბანათლებული შოთა დაბრუნდა სამშობლოში. აქ მის თვალწინ მოხდა ის საშინელი ამბავი, რომ ბიორგი მესამემ ორბელიანთა გვარი ამოსწყვიტა და თავისი ძმისწული ღემნა წამებით მოჰკლა. ამ საზარელმა სურათმა ღრმა კვალი გაავლო მის მგრძობარე არსებაში, მაგრამ თამარის დიდებამ და სიმშვენიერემ და საქართველოს ძლიერებამ ააფრთოვანა იგი. შოთამ რამდენიმე ლექსი უძღვნა თამარს და შემდეგ მისივე ბრძანებით დასწერა უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც გამოხატა თამარის დიდება, მის დროს მომხდარი ამბები და ქართველი ერის ცხოვრება.

თავისი უკვდავი პოემა შოთამ წაუკითხა თამარს განათლებულ პირთა და დიდებულთა კრების წინაშე. თამარ მეფე და მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა შოთას ფერადოვანმა ენამ, საოცნებო მხატვრობამ, პოეზიამ, ახალმა აზრებმა და ღრმა ფილოსოფიამ. შევლამ ერთხმად აღიარა იგი დიდებულ ჰაქეტად. მადლობის ნიშნად თამარმა წაიძრო ძვირფასი ბეჭედი და უბოძა შოთას; ღვით სოსლანმა შემოარტყა თავისი ხმალი, დიდებულებმა კი მიართვეს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს კალამი. ამას შემდეგ შოთა მეტად დაიახლოვა თამარმა; ეს მშვენიერი ქაბუკი და დიდებული პოეტი შეიქნა მოლარეთუხუცესი, ე. ი. სახელმწიფო ხაზინის უფროსი. შოთა რომ მოხუცდა, ბერად შედგა იერუსალიმის წმ. ჯვარის მონასტერში, სადაც მიიცვალა კიდევ. მისი სურათი დღესაც აშვენებს იქ მონასტრის კედელს.

ქალისა და კაცის თანასწორობა, გვარიშვილობაზე მადლად შირადი დიწხების დაყენება, ჭირში გამაგრება, ნაძრახ სიციცხლის ნაცვლად სსხელოვანი სიკვდილი, კეთილი საქმე, მოხებისადმი ადამიანური მოქცევა, — აი ის ახალი და კაცმოყვარებით სავსე აზრები, რომელიც შოთამ ობოლ მარგალიტებად მოაბნია თავის დიდებულ პოემაში. „ვეფხის ტყაოსანი“ გავრცელდა მთელს საქართველოში; მას იზებირებდენ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი და თავადი. ამ პოემის აზრები გადაიქცა ანდაზებად. „ვეფხის ტყაოსანს“ ატანდენ მზითვად თავად-აზნაურთა ქალებს. მს წიგნი შეიქნა ქართველი ერის განძი, ჭირსა და ღსხანში განუშორებელი. ღღეს ეს უკვდავი პოემა გადათარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე და აღტაცებაში მოყავს მეროპის განათლებული პირნი. „ვეფხის ტყაოსანი“ ცნობილია ერთს საუკეთესო ნაწარმოებად მთელ ქვეყანაზე, შოთა რუსთველი კი მონათლულია მსოფლიო გენიოსად და ქართველი ერის დიდებად. იგი უკვდავია, ვით ბრწყინვალე მზე, მისი დიადი სახელი არ გაქრება, სანამ ცოცხალია ქართველი ერი და მთელი კაცობრიობა.

#### 41. ბიოგრაფი ლაშა და ჩუსუღან დედოფალი

მოკვდა თამარ მეფე და მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა მეტად დაეცა. ამ დიდებულ ადამიანს ორი უღირსი შვილი დარჩა: გიორგი ლაშა და ჩუსუღანი, ორივე შემკული სხეულის სიმშვენიერით, მაგრამ ორივე გარყვნილი და ზნედაცემული. თავიანთ სამარცხვინო საქციელით ამ ორმა და-ძმამ გარყვნა ქართველი ერი და ჩრდილი მოფინა თამარის სახელს. იმათ მოაშორეს სამეფო მართვა-გამგეობას ღირსეული პირნი და მათ ნაცვლად უნიჭო და უზნეო ადამიანები დააყენეს. მეფის უზნეო მავალითს ბაძავდენ დიდებულნი, ამათ კი ბაძავდა ხალხი და ამრიგად დაეცა ქართველი ერის მაღალი ზნეობა. მკვი არაა,



ამგვარ პირობებში კეთილი არ დაეყრებოდა საქართველოს. ასეც მოხდა: იგი დაშინლად ააოხრეს ჯერ თურქებმა და შემდეგ მონგოლებმა.

ზიორგი ლაშამ თავი ისახელა მცირე გამარჯვებით: მან დაამწვიდა აჯანყებული ზანჯა, მაგრამ სამაგიეროდ საშინლად დამარცხდა მონგოლთაგან, რომელთაც სპარსეთიდან გრიგალივით გადმოიარეს ამიერ ქავკასიაზე და ღარუბანდის გზით აღმოსავლეთს წავიდნენ. ამას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია ზიორგი ლაშას; ის გადაიცვალა 1224 წელს. ტახტზე მისი და რუსუდანი ავიდა.

რუსუდანის დროს საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება: მას მოადგა 140 ათასი მეომრით ხორაზმის სულთანი ჯეღაღ-ედანი, მონგოლთაგან გამოქცეული. ჯელალ-ედინმა დაამარცხა ქართველი ჯარი, ააოხრა მესხეთი, გაცარცვა და დახოცა მცხოვრებნი და მოადგა თფილისს. აქ მოისურვა მან რუსუდან დედოფლის ცოლად შერთვა და გაუგზავნა მოციქული, რათა ამრიგად შეეერთებია საქართველო და თავისი სამეფო და შეერთებული ძალით დაემარცხებია საერთო მტერი — მონგოლები. რუსუდანმა უარი შეუთვალა, რითაც სულთანი შეტად გაბრაზდა. მნით აუწერელი ზისხლის ღვრა მოხდა თფილისთან. ქართველი ჯარი და თფილისის მცხოვრებნი იბრძოდნენ გმირულად, მაგრამ ლაღატმა შთანთქა ყველაფერი. თფილისში მცხოვრებმა მუსულმანებმა გაუღეს მტერს ქალაქის კარები. ღვთის რისხვა დატრიალდა თფილისის თავზე. მხეცმა ჯელალ-ედინმა ცეცხლსა და მახვილს მისცა საქართველოს სატახტო ქალაქი. ასიათასი თურქი შეესია თფილისს მახვილით ხელში. ცარცვა და გლეჯა, ბილწვა და სიკვდილი, კვნესა და ცრემლები — აი ის საშინელი სურათი, რითაც სტკებოდა მხეცი ჯელალ-ედინი სიონის მწვერვალიდან, სადაც დანგრეული გუმბათის ნაცვლად იდგა მისი ტახტი. ღაინგრენ დიდებული პალატნი; ტაძრები იქცა საჯინბოდ; მტკვარი შეიღება ქართველთა სისხლით; სიკვდილმა შთანთქა ასიათასი მცხოვრები.

ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს რუსუდანის უარი.  
ამას შემდეგ ჩვენს ბელშავს სამშობლოს თავს დაატყდა კიდევ  
უარესი უბედურება. მას შემოესიენ მონგოლები.



გიორგი დაშა

## 42. მონგოლთა შემოსევა

ჯერ ისევ მძვინვარებდა ქართლში ბრახმორეული ჯე-  
ლალ-მდინი და აოხრებდა ქვეყანას, როცა საქართველოს თავს  
დაატყდა მეორე უარესი ჭრისხვა—მას შემოესიენ მონგოლები  
ჯანუ თათრები.

მს ფრიად მახინჯი, ნახევრად ველოური, მაგრამ მეტად მამაცი ხალხი საშუალო აზიაში ბინადრობდა. მისი უმთავრესი ხელობა მეჯლოგეობა იყო, განსაკუთრებით ცხენების მოშენება, რომელთა რძითა და ხორციტ იკვებებოდა. მეცამე ზე საუკუნის დამდეგს მონგოლებს გამოუჩნდათ ერთი შესანიშნავი კაცი ჩინგიზყაენი, რომელმაც ხალხს ახალი რჯული მისცა, შეაერთა ერთ დიდ სამეფოდ თათართა წვრილი ურდოები და გახდა მათ ყაენად (მეფედ). თავისი ურდოებით ჩინგიზყაენმა წალეკა მთელი აზია, და ნახევარი ევროპა. მან დაიპყრო ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, სპანეთი, მცირე აზია და საერთოდ თურქების მიერ დაპყრობილი ქვეყნები. მათრები განსაკუთრებით თურქთა დაუძინარი მტერი შეიქნენ. ამათი სისხლით თათრებმა მორწყეს მთელი დასავლეთი აზია.

მონგოლები პირველად საქართველოში ბიორგი ლაშას დროს შემოვიდნენ, დაამარცხეს ქართველი ჯარი და ღარუბანდის გზით თავიანთ ქვეყანაში წავიდნენ. მეორედ საქართველოში თათართა დიდი ლაშქარი შემოვიდა, როცა ჯელალ-ედინი აოხრებდა ჩვენს ქვეყანას. მონგოლებმა აიღეს ბანჯა და მოსპეს იქ მცხოვრები მუსულმანები. ამის გამგონე ჯელალ-ედინმა თავისი ჯარით მოკურცხლა საქართველოდან. მათრები დაედევნენ მას, დაეწიენ ბასიანს, დაამარცხეს და გაუფანტეს ჯარი. თვით მძინარე ჯელალ-ედინი ერთმა მეცხვარემ მოჰკლა. ასე დალია სული ამ საქართველოს მტერმა.

მათრები უკან დაბრუნდნენ და თბილისს მოუახლოვდნენ. მათ მოსვლამდი ეს ქალაქი უკვე დასწვა. რუსუდანის ბრძანებით თფილისის ციხის თავმა გიჩა მხსარგქელმა. ხალხი მთებში გაიხიზნა, რუსუდანი თავის ამალით ძუთაისს შეეფარა. აქვე მან თავისი ექვსი წლის ვაჟი დავითი მეფედ აკურთხა და თავისი ქალი თამარი ცოლად იკონიის სულთანს ეიასდინს ნიათხოვა.

სათარეტი კალიასავით მოედგენ საქართველოს და იწყეს თარეში. ქართველი ხალხი მეტად შეაწუხა მთებში გაბიზენამ. დიდებულნი გამოვიდენ სიმაგრეებიდან და თათართა სარდლებს მორჩილება განუცხადეს. ამ რიგად ჩვენმა ქვეყანამ უომრად დაიდგა კისერზე მონობის უღელი. ასე დასცეს ქართველი ერის ვაჟკაცობა ცუდმა მეფეებმა! ასე დალუპეს მათ ჩვენი ერთ დროს დიდებული ქვეყანა!...

ამას შემდეგ მონგოლთა სარდლებმა ქართლ-ძაზეთი ექვს ნაწილად გაჰყვეს; მოსპეს მეფობა, ჩააბარეს ქვეყანა ქართველ ერისთავებს და დაადვეს მძიმე ხარკი. ბარდა ფისა შეეკრიბეს საქართველოდან საკმაოდ დიდი ჯარი, თავიანთ ლაშქარს შეუერთეს და მუსულმანთა ქვეყნების დასაპყრობად გაემართნენ.

#### 43. დიდებულთა შემთქმულობა თათართა წინააღმდეგ

მძიმე ხარკმა გააღატაკა ხალხი, სამხედრო ბეგარამ მეტად შეავიწროვა იგი. უმეფობამ აღვირი წააძრო თავდასულ თავადებს, რომელთაც თათრებზე უარესად იწყეს ხალხის ობოლევა და დაჩაგვრა. ქართველი ერი ჩავარდა საშინელ ტანჯვა-წვალებასში. ამის გამო შეიკრიბენ ყოველი კუთხის საუკეთესო ქართველები, იწყეს თათბირი, თუ როგორ ეხსნათ მონობისაგან თავიანთი სამშობლო. მათ მოახდინეს შეთქმულობა მტარვალის წინააღმდეგ. ამ შეთქმულობის მოთავე იყვნენ გამოჩენილი დიდებულნი და დანაწილებული ქვეყნის მეთაურნი: შანშე მხარკელი, ვაჩანე გაგელა, ეკარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, გამრეკელი თორელი, ევარუგარე ციხისჯვარელი, შოთა კუპრი და სარგის თმოგველი.

შეთქმულნი შეიკრიბენ ჯავახეთის კახტის თავს (ციხეში) და დაადგინეს, რომ დანიშნულ დროს მოსულიყვნენ თავის ჯარებით, დასცემოდნენ უცებ მონგოლებს და გაედევნათ

საქართველოდან. ცოტნე ღადიანი აღრე დაემშვიდობა ამხანაგებს და შინ გასწია. ამ დროს გაჩნდა სამშობლოს მოღალატე — მან საიდუმლოდ აუწყა მონგოლებს ქართველ დიდებულთა განზრახვა. შეთქმულები არ იყვნენ დაშლილი, რომ მათ მოულოდნელად თავს დაესხა თათართა ჯარი, დაიჭირა ყველა და მიჰგვარა ქალაქ ანისში ჩამოაჯანჯინეს.

დიდებულებმა გადაფიცეს თავიანთი მიზანი და უთხრეს ნოინს, ჩვენ თქვენი ერთგული სამსახურისა და ხარკის ძლევისთვის შევიკრიბეთო. ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა ცბიერი ნოინი; ის შეუდგა დიდებულთა წამებას. მისი ბრძანებით გაიტაცეს შეთქმულნი, შეუკრეს ხელები, წასცხეს თათლი და დაჰყარეს მხეხე პაპანება სიკცხეში. წარმოუდგენელ ტანჯვას გრძნობდნენ ქართველი მამულიშვილნი, მაგრამ გამირულად ითმენდნენ ყველაფერს და არ ამხელდნენ თავიანთ მიზანს. მათზე არ მოქმედობდა არც მუქარა, არც მტარვალის ამოღებულის ხმალი.

მოაწია დანიშნულმა დრომ, როცა შეთქმულებს უნდა მოეყარათ თავი ქართლში თავისი ჯარებით. სახელოვანი მამულიშვილი ცოტნე ღადიანი გაემართა თავისი ჯარით. მესხეთის საზღვარზე მან შეიტყო თათრების მიერ შეთქმულთა დატყვევება. ცოტნე ფრიად შეაწუხა ამ ამბავმა. მაშინვე დააბრუნა უკან თავისი ჯარი და თვითონ ორი მხლებელით წავიდა ანისს. ღადიანმა თუ არა ტიტველი ამხანაგები, ჩამოხტა ცხენიდან, გაიხადა სამოსელი, შეაკრეფინა მხლებელთა ხელები და დაჯდა მათ შორის. ეს საკვირველი ამბავი აცნობეს ქარმალანს. ამან მოიყვანა ცოტნე და ჰკითხა მიზეზი ასეთი საქციელისა. ცოტნემ აუწყა ნოინს, მეც ამხანაგი და თანაზიარო ვარ ამ ქართველ დიდებულთა და მათთან ერთად მსურს დავისაჯოო; კრების მიზეზად ღადიანმა იგივე დაასახელა, რაც მისმა მეგობრებმა, ცოტნე ღადიანის საარაკო საქციელმა ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ნოინზე, რომ მან მაშინ

ვე ყველანი გაათავისუფლა და ქვეყნის ერთგული ქართველები სამშობლოში გაუშვა.

ჩვენი ქვეყანა ამ დროს უმეფოდ იყო და შიგ თავისუფლად დათარეშობდენ თათრები.

#### 44. საქართველოს ორ სამეფოთ გაყოფა

(1258—1330 წ.)

საქართველოს მეტად აწუხებდა უმეფობა. მრისთავთა თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ კიდევ რუსუდანმა გაუგზავნა დიდ ყაენს თავისი ვაჟი დავითი, და სთხოვა ეცნო იგი საქართველოს მეფედ. ტახტის კანონიერი მემკვიდრე კი ზიორგი ლაშას შვილი დავითი, რუსუდანმა თავის სიძესთან გადაკარგა, ცილი დასწამა და საპყრობილეში ჩააგდებინა. დიდი ყაენი არ ჩქარობდა და არ უშვებდა დავითს. შვილის ლოდინში გადაიცვალა რუსუდანი.

საქართველოს უფრო გაბედულად ჩაჰკიდეს ბრძკალები მონგოლებმა და მეტად შეავიწროვეს როგორც დიდი ხარკით, ისე სამხედრო ბეგარით. მარტო მესხეთისა და შართლ-კახეთიდან მათ გაყავდათ საომრათ 90 ათასი მხედარი და ხარკად მიჰქონდათ ყოველ წლებით 60 ათასი საქა. შინ კიდევ ერისთავების გამო ითელებოდა ქვეყანა. მაშინ შეიკრიბენ საუკეთესო ქართველნი; მათ გაიგეს, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე ლაშა ზიორგის შვილი დავითი ცოცხალია და ზის ტუსადად რუსუდანის სიძის შიასდინის ბრძანებით. მიმართეს სულთანს და სთხოვეს დავითის გაათავისუფლება. სულთანმა შეიწყნარა ქართველ დიდებულთა თხოვნა და დავითი მაშინვე გაათავისუფლა. დიდებულებმა იგი მიჰგვარეს ქ. შარაყორუმს დიდ ყაენს და სთხოვეს ეცნო საქართველოს მეფედ. დიდმა ყაენმა ორივე მეფის წულურ, ორი დავითი გაუგზავნა დასავლეთ აზიის ყაენს უღას და მისწერა ორივეს გამეფება საქართველოში.

ამრიგად 1258 წელს საქართველოს გაუჩნდა ერთბაშად ორი მეფე: ბიორგი ლაშას შვილი დავით მეხუთე და რუსუდანის შვილი დავით მეოთხე ანუ დავით ნარინი. ეს იყო თათართა ცბიერების ნაყოფი; მათ სურდა ორი მეფით საქართველოს დანაწილება. ასეც მოხდა: დავით ნარინი იყო მეტად გონიერი და ხერხიანი მეფე, დავით მეხუთე კი პირიქით იყო ჯიუტი და უჭკუო კაცი; ის გადაიქცა ტიკინად მონგოლთა ხელში, და ათრევდენ საომრად ხან იქით და ხან აქით. დავით ნარინი კი მეტად ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე და კრიქაში უდგა თათრებს; ამიტომ მონგოლებმა შეიძულეს იგი და დაატყვევეს კიდევ, მაგრამ დავით ნარინი გზიდანვე გაიპარა და მოვიდა ქუთაისს. აქ დიდის დიდებით მიიღეს იგი, გახადეს მასწავლებელთა საქართველოს მეფე და გამოაცხადეს ეს ქვეყანა თათართაგან დამოუკიდებლად. ამრიგად საქართველო განსწილდა ორ სამეფოდ.

ბევრჯერ სცადეს თათრებმა ამ ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ მუდამ დამარცხებული ბრუნდებოდნენ უკან. მათ მომხრედ დავით სამშობლოს მოღალატედ შეიქნა რაჭის ერისთავი კახაბერი; ორჯერ შემოსა მან ჩუმად ჩვენ ქვეყანას თათართა დიდი ჯარი, მაგრამ მხნე დავითმა სასტიკად დაამარცხა ისინი ორჯერვე. შემდეგ მეფემ სტაცა ხელი სამშობლოს მოღალატე კახაბერს, ამოსწვა თვალები და მოკვება ხელ-ფეხი; ეს ქვეყანი მეფე გადაიკვალა კარგამოხუტებული 1293 წელს. დავით მეხუთე კიდევ უფრო ადრე გადაიკვალა (1268 წ.); მას ღარჩა მცირე წლოვანი ვაჟი დიმიტრი.

#### 45. დიმიტრი თავდადებული (1273—1289 წ.)

დავით მეხუთის სიკვდილით ისევ დაობლდა აღმოსავლეთი საქართველო. ქვეყანას მართავდა სადუნ ათაბაგი (ამირ-სპასალარი). თათრები ძველებურად თარეშობდნენ და ბატონ-

ნობდენ საქართველოში. საღუნ ათაბაგის შეცადინობით ახლა უაენმა, როგორც იყო, შეიწყნარა ქართველ დიდებულთა ვედრება და მეფედ აღიარა ლავით მეხუთის შვილი ახალგაზრდა დიმიტრი.

მიტად კარგი მეფე გამოდგა დიმიტრი. ის იყო ფრიად გულკეთილი ადამიანი, კვიანი, ქვირე-ობოლოთა შემბრალო და ქვეყნის ერდგული. მეფე გადაიცვამდა ხშირად უბრალო სამოსელს, დადიოდა ხალხში ფარულად. იკვლევდა მის ყოფა-ცხოვრებას და ეხმარებოდა გაჭირვებულთ. ამ დროს აბალა შაენს მოუხთან ომი მევიპტის სულთანთან. ამ ბრძოლაში მონაწილობას იღებდა დიმიტრი მეფე ქართველი ჯარით და ეხმარებოდა შაენს. შაენი და თათრები გააოცა ქართველთა ვაჟკაცობამ. მონგოლთა მგოსა ამა გაოცობით შეაქო ქართველთ გმირობა. შაენმა ფრიად დაასაჩუქრა როგორც მეფე, ისე მისი ჯარი. ამიერიდან აბალა შაენი დიდი ნდობით და პატივისცემით ეპყრობოდა ქართველებს. შაენი მათ გზავნიდა ელჩებათ სხვადასხვა ქვეყნის ხელმწიფებთან.

მოკვდა აბალა შაენი და ტახტზე მისი ძმა ჰამადი ავიდა. ახალი შაენის წინააღმდეგ შეთქმულობა მოახდინეს მისმა ნოინებმა, მოჰკლეს იგი და გაამეფეს აბალას შვილი ადღუნი. მაგრამ ვერც არღუნმა გაამართლა მათი იმედები. მოხდა ისევ ნოინთა აჯანყება. არღუნმა დაამარცხა ისინი და დასაჯა სასტიკად. მან ეჭვი აიღო დიმიტრი მეფეზედაც და დაიბარა, თანაც დიდი ჯარი გამოგზავნა საქართველოსკენ.

დიმიტრი მეფემ გამართა დიდებულთა კრება და აუწყა შაენის სურვილი. დიდებულნი ურჩევდენ მეფეს, არ წასულიყო არღუნთან, რადგან იქ მოელოდა სიკვდილი, არამედ შებმოდა მტერს. შათალიკოსი და თვით მეფე სულ სხვა აზრის იყვნენ: ისინი ვერ ცნობდენ ქვეყანას იმდენად ღონიერად, რომ იგი გამკლავებოდა თათრებს, ამიტომ სამშობლოს დაღუბვას აჯობდნენ თვით მეფის მსხვერპლად შეწირვა. მნი-



რი ღიმიტრი გაუდგა გზას; მან თავს იღვა სამშობლოს გადარჩენა, მეფეს ეახლენ ქათალიკოზი და რამდენიმე დიდებუ-  
ლი. არღუნ შაენმა მრისხანედ მიიღო ღიმიტრი, გაასამართლა  
და მიუსაჯა სიკვდილი. გმირ მეფეს შაკვეთეს თავი 1289  
წელს. დიდებულებმა მოისყიდეს მცველები, მოიტაცეს, მეფის  
გვამი და მოასვენეს საქართველოში. მკლესიამ იგი შეარცხა  
წმიდათა შორის, ისტორიამ კი ღიმიტრის უწოდა თავდა-  
დესული.

#### 46. მოხროლთა ბატონობა

ღიმიტრი მეფის უდროოდ სიკვდილმა კიდევ უარეს უბე-  
დურებაში ჩააგდო ივერია. მკცი წლის განმავლობაში მან  
გამოიცვალა ექვსი მეფე. ასე დაეცა ღვით აღმაშენებლისა  
და თამარ მეფის დიდებული სამეფო, რომელიც შიშის ზარს  
სცემდა დასავლეთ აზიას. მათრების ყენი ყარაბუღა ისე  
გათამამდა, რომ მთელი ქართველი ერის გამაჭმადანება მოი-  
სურვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ საქართველოს უპი-  
რებდა ამოწყვეტას.

შინ იცის, ამ მხეცის გამო რა საშინელება მოხდებოდა  
ჩვენს ქვეყანაში, რომ იგი არ ეხსნა თავისი გმირული საქცი-  
ლით მეფე ვახტანგს, ღიმიტრის შვილს. ის ეახლა ყენს  
ურდოში დიდის ფეშქაშებით, ამოიღო ხმალი, დაღვა მასზე  
თავი და უთხრა, მზად ვარ აქვე თავი მომკვეთოთ, თუ  
არ შესცვლით თქვენს სასტიკ ბრძანებასო. მხეცი შარა-  
ბულა მეტად გააოცა მეფის ამგვარმა საქციელმა, მოლბა და  
შესცვალა ბრძანება. ამრიგად გადარჩა საქართველო საშინელ  
გაჟლეტას.

ამ საერთო არეულობის დროს მეფის გავლენა მეტად  
დაეცა. მს გარემოება კი ხელს უწყობდა ზოგიერთ ქართველ  
დიდებულთა თავგასულობას, გაძლიერებას და მეფის მორჩი-

ლებიდან გამოსვლას. საქართველოს საერთო დასუსტებამ და დიდებულთა ურჩობამ მეტად გაათამამა ჩვენი მეზობლები, განსაკუთრებით მთიელები, ე. ი. ოსები, ლეკები და სხვ. ოსებმა აიღეს ზორის ციხე და იწყეს თარეში მთელს ქართლში; ლეკები იკლებდნენ ძახეთს, ჩანსა და შირვანს, თურქები კი მთილისის მაზრას. მათრების ხანგრძლივმა ბატონობამ დასცა ქართველი ერი როგორც გონებით, ისე ზნეობითა და სარწმუნოებით. ნახევრად ველური და წარმართი მტარვალები თავიანთ უზნეო საქციელით ცუდ მაგალითს აძლევდნენ დამონებულ ერს.

ამგვარ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა საქართველო, როცა ტახტზე ავიდა ლიმიტრი მავდადებულის უმცროსი ვაჟი დიდებული მეფე გიორგი ბრწყინვალე.

მას ღამისხვრია მონახის ბრკილი, იხსნა საქართველო მტარვალთა ბატონობისაგან, ალაგმა მთიელები და თავგასული ერისთავები. ამას გარდა ბიორგიმ მისცა ხალხს კანონი და სამართაღი, გააერთიანა საქართველო, გაათართოვა მისი საზღვრები და ხალხის დაცემული ზნეობა გაათაქიზა; ერთი სიტყვით ქართველ ერს დიდი ღვეითისა და მამარის მზიანი დღეები გაუთენა.

ბიორგი აღიზარდა მესხეთში, ბაბუამისის ბექა ათაბაგის სახლში. ღედის ნანასთან მას ესმოდა დამონებული ხალხის კვნესა და ტირილი და მის მგრძნობიარე გულში ღრმად ჩაინერგა ქართველი ერის ტანჯვა და გაჭირვება. ამ სამშობლოს მოყვარულმა და დიდად ნიჭიერმა ახალგაზდამ მიიღო შესანიშნავი განათლება. მკლიანმა გზამ და ქვეყნის უბედურებამ მას შესძინა სიფრთხილე და გამოცდილება. ამასთან ერთად ამ იშვიათ ადამიანს ამკობდა ხასიათის სიმტკიცე, ძლიერი სული და სამხედრო ნიჭი. სწორედ ასეთი მეფე ეჭირვებოდა მაშინ ბედშავ საქართველოს.

ამ ღროს საქართველოს სამი ძლიერი მტერი ჰყავდა: თათრები, მთიელები და თავგასული თავადები. მსენი ხრავდნენ ერის გულს და ღუპავდნენ ქვეყანას. ავიდა ტახტზე მეფე ბიორგი და დიდი სიფრთხილით შეუდგა საქმეს და

თავისი მიზნების განხორციელებას. უწინარეს ყოვლისა მან გაილაშქრა ოსებზე, დაამარცხა სასტიკად ისინი, წაართვა შორის ციხე და სხვა სიმაგრენი და იხსნა ქართლი მათი ცარცვა-რბევისაგან. ამგვარივე საქმე დამართა სხვა მთიულეებსაც; ალაგმა ისინი და გაუჩინა სამართალი.

ამ ხანებში მოხდა თათრების ნოინთა შორის დიდნი ბრძოლა. იმათ მოჰკლეს ყენი და დაინაწილეს მონგოლთა უზარმაზარი სახელმწიფო. ამით ისარგებლა ბიორგი ბრწყინვალეს, შეჰკრაბა ლაშქარი, შეებრძოლა საქართველოში მყოფ თათრებს, შეეუსრა წათი ძალი და განდევნა საქართველოდან ქართველთა ერმა კვლავ დაანახა ქვეყანას, თურა ძალი აქვს მას, როცა ჰყავს კარგი მეთაური.

ამას შემდეგ მეფემ მოსთხოვა შორილება გალაღვბულ ერისთავებს. იმათ ეს არ იამათ და მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა გამართებს ბიორგომ მალე გაიგო მათი განზრახვა და სხვებთან ერთად მოიწვია ისინი ვითომ და სათათბიროდ. შველანი გამოცხადდენ. მეფემ სტაცა მათ ხელი და ვადასცა სასამართლოდ, რომელმაც შეთქმულნი დამნაშავეთ სცნო და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ეს განაჩენი მეფემ მშინვე მოიყვანა სისრულეში და ამით თავზარი დასცა თავადებს. ამას შემდეგ ყველა დაემოწაილა დიდებუნი მეფეს.

#### 47. საქართველოს განმართიანება და გაძლიერება

ბიორგი ბრწყინვალეს ერთი აზრი აწუხებდა: ეს იყო საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. მან კარგად იცოდა, რომ ამ პატარა ერს დაღუპვისაგან მტკიცე ერთობა იხსნიდა. ამიტომ მეფეს სურდა დასავლეთ საქართველოს შემოერთება. ეს ეძებდა მხოლოდ შემთხვევას.

დავით ნარინის შემდეგ დიდი უთანხმოება ჩამოვარდა მის შვილებს შორის. მათი ქიშპობით ისარგებლეს იმერჯის

დიდებულებმა და იწყეს თვითნებობა. ამას მოჰყვა არეულობა და ხალხის შევიწროება. საქმე გამწვავდა, განსაკუთრებით ბიორგი ბრწყინვალის დროს. ბიორგი მეფემ გამართა მოლაპარაკება იმერეთის საუკეთესო კაცებთან, რომ იგი ეცნოთ მეფედ. ისინი სიხარულით დაეთანხმენ და დაპირდნენ დახმარებას. ამას შემდეგ ბიორგი გადვიდა იმერეთში ძლიერი რახმიო; იმერლები აღტაცებით მიეგებნენ მას და მეფედ აღიარეს. ამრიგად უსისხლოდ შეერთდა დიდი ხნის განშორებული იმერეთი და მართლ-ძახეა. ბიორგი მეფემ დაიმორჩილა აგრეთვე ზურია-ხამეგრელოს და მესხეთ-აფხაზეთის ერისთავები.

საქართველოს გაძლიერებას შურით უმზერდნენ ლეკნი და განჯა-შირვანელები. ისინი მოემზადნენ ბიორგი მეფეზე დასაცემით, რათა დროით შეემუსრათ მისი ძლიერება. მაგრამ ბიორგიმ მოასწო: დიდი ლაშქრით შევიდა რანსა და შირვანს, აიღო ეს ქვეყნები, შემდეგ შეებრძოლა ლეკებს, დაიპყრო მთელი ღალესტანი და დაადგა ქველას ხარკი. აქ დიდებული მფეე შეუდგა შინაურ საქმეებს. მოიწვია სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი და განათლებულნი შირნი, მათი დახმარებით შეადგინა კანონები, რომელთაც უწოდა „ქველას ღება“. მქვთიმე ქათალიკოზის დახმარებით ბიორგიმ აღადგინა დანგრეული ტაძრები და გაწმინდა და განამტკიცა შირსტვის სარწმუნოება. ღიდმა მეფემ გამართა აგრეთვე ზარაფხანა და მოსჭრა ფული.

ქვეყნის დამშვიდებასა და მოწყობაში იყო მეფე, როცა მას მოულოდნელად ორი დიდი ბრძოლა მოუხდა: ერთი მონღოლებთან, მეორე კი თურქებთან. მონღოლთა ნოინი დიდი ჯარით შემოიჭრა სომხეთში, დაიპყრო იგი, შემდეგ შირვანი და მოადგა მანჯას. ბიორგიმ სწრაფად შეკრიბა ჯარი და ტყვეთა თავხედ ნოინს, დაამარცხა სასტიკად და დიდი აღაფით დაბრუნდა ოფილისს. მოტა ხნის შემდეგ მცირე პზინს სუღთანნი შემოიესია ძლარჯეთს და იწყეს რბევა. ბიორგიმ ეს

სულთანის დაამარცხა და წაართვა ურიცხვი ტყვე და ალაფი.

ამას შემდეგ მეფეს დიხდანს არ უცოცხლია. ის გადაი-  
ცვალა თფილისში 1346 წელს. მან შექნა დიდებული საქმე:  
მოაშორა ქვეყანას საშინელი მტარვალი, გააერთიანა დაგლეჯილი  
საქართველო, გააძლიერა იგი, მისცა სამართალი, აღაგმა მთიულნი  
და თავისუფალი ერისთავები და ამრიგად აღადგინა მკვდრეთით  
ქართველი ერის ძველი დიდება. მადლიერმა საქართველომ ამ დიდებულ  
მეფეს უწოდა გიორგი ბრწყინვალე.

#### 48. ბაგრატ დიდი და ლანგ-თემური

(1360—1395 წ.)

გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ტახტზე მისი შვილი ლ-  
ვითი ავიდა. ის იყო მეტად გონიერი მეფე, და ქვეყნის ერთ-  
გული; მან იმეფა 14 წელს; ამ დროის განმავლობაში ის  
მოგზაურობდა თავის ვრცელ სამეფოში, უვლიდა ქვეყანას,  
აშენებდა დანგრეულ ციხე კოშკებს და ეკლესიებს. ლავითის  
შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი ბაგრატ დიდი. ის იყო  
იშვიათი ვაჟკაცი, მშვენიერი თვალტანადი, გამბედავი,  
მოწყალე და სამხედრო ნიჭით აღჭურვილი. ბაგრატი მხნედ  
შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ამ დროს შუაგულ აზიაში გაჩნდა კაცობრიობის ახალი  
მტერი—მონგოლთა გამოჩენილი სარდალი ლანგ-თემური,  
კაცი უწყალო და სისხლის მღვრელი. თემურმა შეაგროვა  
დიდი ჯარი და მოკლე ხანში დაიპყრო თურქთა ქვეყნები,  
სპარსეთი და ინდოეთი. შთვალავი ლაშქართ მთელი მო-  
ადგა საქართველოს. ბაგრატმა შეაგროვა ჯარი, გახიზნა ხალ-  
ხი მთებში და თვითონ გამაგრდა თფილისის ციხეში. თემუ-  
რი მოადგა თფილისს. აქ ატყდა საშინელი ბრძოლა და  
სისხლის ღვრა, რამაც ექვს თვეს გასტანა. თემურს გაუჭირ-

და, მაგრამ ბოლოს მან მიმართა ხერხს (რკინის ჩელტებს) და ამრიგად აიღო **თფილისი**, სადაც დაატყვევა ბაგრატი ცოლიანაძე. ამას შემდეგ მხეცმა **თემურმა** დაიწყო **ქართლის** დაანგრივა სვეტი-ცხოვლის ტაძარი, ქვათახევის მონასტერი და რუისის ეკლესია; გამოსწვა ეკლესიაში ხალხი და დიდი დავლით დაბრუნდა თავის ქვეყანაში; თან წაიყვანა აუარებელი ტყვე.

შემეორდ დარჩენილ საქართველოს უვლიდა ბაგრატ მეფის ვაჟი გიორგი და იმორჩილებდა გადგომილ ერისთავებს. ბაგრატს გული უკვდებოდა ტყვეობაში. მან განგებ მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და ამით **თემური** მეტად გაახარა. შემდეგ გამოსთხოვა 12 ათასი რჩეული მეომარი, ვითარცა საქართველოს გასამაჰმადიანებლათ, და ამ ჯარით და ქართველნი ტყვეებით სამშობლოში დაბრუნდა. შვიდან აცნობა თავის შვილს ბიორგის, სწრაფად შეკრიბე ჯარი, ჩასაფრდი ვიწროებში და ჩემს რაზმს თავზე დაეხსიორ. ბიორგიმ სიხარულით შეასრულა მამის ბრძანება: დახვდა ვიწროებში საუკეთესო რაზმით, ეცა მოულოდნელაბ მტერს და გაჟლიტა ერთბაშად. ბახარებული მამა და შვილი მოვიდენ **თფილისს** და ამოჟლიტეს იქ მყოფნი მეციხოვნე თათრებიც.

ამ მოტყუებამ **თემური** მეტად გაამწარა. აურაცხელი ჯარით ზეორე წელს მან გამოსწია საქართველოს მოსასპობად. ბაგრატმა მიიღო შესაფერი ზომები და მამაცათ დახვდა მტერს. საშინელი შეტაკება მოხდა მტკვრის ნაპირს. ქართლი მოირწყო ქართველთა სისხლით საუკეთესო მამულიშვილებმა დასუდვეს აქ თავი მშობელ ქვეყნისთვის; სამაგიეროდ დიდი ზიანი მიაყენეს მტერსაც და გაჟლიტეს იგი ათიათასობით. ამისთანა გასაჭირი არ დასდგომია არსად **თემურს**, მაგრამ სიმრავლემ თავისი გაიტანა: ბაგრატის დაქანცულმა ჯარმა დაიხია უკან და გამაგრდა ციხეებში. გამხეცებულმა **თემურმა** გადასწვა და გააოხრა ქართლ-ძახეთი. შვიდჯერ შემოვიდა იგი საქართველოში, შვიდჯერ ააწიოკა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ვერ

დაიწინა იგი, ვერ მოახრევენა ქედი. ბაგრატი და შემდეგ  
 მი ი ვაჟი ბიორგი გმირულად ებრძოდნენ და ასუსტებდნენ  
 ლანგ-თემურს. მართველებთან ბრძოლით ამცანათ დაძაბუნა  
 და ლანგ-თემურს, რომ მან ველარ გაბედა მეროპაში გაღა-  
 სვლა. ამრიგად პატარა საქართველომ დიდ ზიჯათს გადააჩი-  
 ნა მთელი მეროპა.

#### 49. ბიორგი მუხილი, კონსტანტინე პირველი

და ალექსანდრე პირველი (1395—1447 წ.)

ბაგრატის შემდეგ არა ნაკლები გმირობა გამოიჩინა  
 მისმა შვილმა გიორგი მეშვიდემ. მის მეთობაში ოთხჯერ  
 კიდევ შემოიჭრა საქართველოში დიდი ჯარით სისხლის  
 მღვრელი ლანგ-თემური და ოთხჯერვე შერცხვენილი გა-  
 ბრუნდა უკან. მან ვერ მოახერხა პატარა საქართველოს და-  
 პყრობა. ამასობაში მოკვდა კიდევც ლანგ-თემური. ბაიგო  
 ბიორგიმ ეს ფრიად სასიამოვნო ამბავი და მაშინვე შეკრიბა  
 საკმაო ჯარი, მიუხტა თავრებს წართვა დაქერილი ციხე-  
 ქალაქები. შემუსრა მათი ძალები და განდევნა პრესს იქით.  
 ბიორგი მეთეს ასეთმა გამარჯვებამ გააბრაზა მონგოლები;  
 ისინი დიდი ძალით წამოვიდნენ საქართველოში. ბიორგი არ  
 შეუშინდა მათ, შეფბრძოლა მედგრად და დაშარცხა. ამ  
 ბრძოლაში მოკლეს ოვით გმირი ბიორგიც. ის ასათლავის  
 მცხეთის ტაძარში.

ბიორგის შემდეგ გამეფდა მისი ძმა კონსტანტინე პირველი,  
 კაცი ძლიერი და გამბედავი. მან შიშის ხარი დასცა მუსულ-  
 მანებს და ბევრგან ასახელა ქართველთა დროშა, განსაკუთ-  
 რებით შეაფიწროვა მცირე სხიის თურქები. იმათ შესწივლეს  
 თავიანთ სულთანს. სულთანმა შეკრიბა დიდი ლაშქარი და  
 საუკეთესო სარდლის მეთაურობით გამოგზანა საქართველოს  
 დასაპყრობათ. მეთვე კონსტანტინემ სწრაფად შეკრიბა ძლიერი

რაზმი და მოულოდნელათ დაეცა მტერს. შეიქნა სასტიკი ბრძოლა; თურქნი უკვე მარცხდებოდენ; გახარებული მეფე გაიტაცა გამარჯვებამ, ამოღებული ხმლით შეეარდა მტრის შუაგულ რაზმებში და თავგანწირულად იბრძოდა. უკვებ თურქნი შემოველენ მეფეს რგოლივით და მოჰკლეს. აღოსტანტინეს სიკვდილმა თავზარი დასცა ქართველ ჯარს: მან იბრუნა პირი; მტრები დაედევნენ და შემოვიდნენ აღმარჯეთს, მაგრამ ციხე-სიმაგრეებით შეშინებულნი ისევ ამოღებულდნენ უკან. მეფედ შეიქნა ბიორგის ვაჟი ალექსანდრე პირველი. ის იყო მეტად კეთილი ადამიანი: ხალხისათვის მზრუნველი; დანგრეული ციხე-ტაძრების მაშენებელი. მაგრამ სამწუხაროდ მას აკლდა შორსმკვრეტელობა, რის გამო დიდი ზიანი მიადგინა ჩვენს ქვეყანას.

ალექსანდრემ დაამშვიდა ერთმანეთში მოჩხუბარი სამეგრელო და აფხაზეთი, დაიმორჩილა მესხეთის გამტვარი პაბაბაგი და ზანჯა-შერვანი. ამას შემდეგ იგი დაულაღვათ მოგზაურობდა მთელ საქართველოში და მართავდა ქვეყანას. ცოტათი რომ მოხუცდა, მეფე ალექსანდრე შედგა პერად 1442 წელს, საქართველო კი გაუყო თავის სამ შვილს: ვახტანგს მისცა ქართლი, დიმიტრის იმერეთი და გიორგის კახეთი. ეს იყო უდიდესი შეცდომა და თითქმის ქვეყნის ლალატი. ამრიგად თავისი უმეცრებით ალექსანდრემ დაარღვია ის ერთობა, რომელიც დიდის წვალებით შექნეს ბიორგი ბრწყინვალემ და ბაგრატ დიდმა. ამას შემდეგ საქართველოს აღარ გაუხარია. ჩვენი პატარა სამშობლო გაიყო სამ ნაწილად და ხუთ სამთავროდ, რამაც ფრიად გაახარა და გაათამამა მტრები. ამიერიდან გაჰქრა საუკუნოდ ქართველი ერის ძველი დიდება და ძლიერება...

ამავე ხანში დასავლეთით ჩვენს მეზობლად ვაძლიერდა ჩრქველი.



## 50 ოსმალეთი და ბიზანტიის იმპერიის მოსოლა

(1453 წ.)

მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს თურქებს გამოუჩნდათ შესანიშნავი მეფე სარდალი ოსმანი, რომელმაც აღადგინა თურქების დაცემული სახელი, დაამარცხა მეზობლები და შექნა ძლიერი სახელმწიფო. სულთან ოსმანის გამო ამ თურქთა სახელმწიფოს დაერქვა ოსმალეთის იმპერია, ოსმანის შვილის შვილმა მურად პირველმა ფეხი შესდგა მეროპაში, წაართვა ბიზანტიას ქ. ადრიანოპოლი და მისი მიდამოები და აგრეთვე ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ჩრდილო ნაწილი; ამრიგად მან მეტად შეავიწროვა ბიზანტია, რომელიც იმ დროს სულს ლაფავდა.

1451 წელს ოსმალთა დიდი სულთანი მურად მეორე მოადგა ქოსტანტინეპოლს 30ს ათასი მეომრით, ალყა შემოარტყა და ორი წლის ბრძოლის შემდეგ აიღო ბიზანტიის დედა ქალაქი. ოსმალებმა სამი დღის განმავლობაში დაარბიეს იგი და გაელიტეს მრავალი ქრისტიანი. თვით ქოსტანტინე იმპერატორი მოჰკლეს ქალაქის კარებთან. ასე დაემხო ეს დიდი იმპერია. ოსმალებმა ქოსტანტინეპოლს უწოდეს სტამბოლი, მისი დიდებული აიასოფიის ტაძარი გარდაქმნეს მეჩეთად. 1492 წელს ოსმალებმა დაიპყრეს თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერიაც.

ამრიგად საქართველოს მეზობლად დასავლეთით განათლებული ბიზანტიის ნაცვლად გახდა ძლიერი და უაუნათლებელი ოსმალეთი, რომელიც შიშის ზარს სცემდა დასავლეთ აზიასა და მთელ მეროპას. ამ დღიდან უკუღმა დატრიალდა საქართველოს ბედ-იღბალი; იგი დანაწილდა და დაგცა.

## 51. საქართველოს დანაწილება და დაცემა

მეთუთხმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს დანაწილება სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამრიგად ისედაც პატარა საქართველო დაიწიწკნა წვრილ სამეფო-სამთავროებად. ამ დანაწილებას ხელი შეუწყო, როგორც ვთქვით, თვით საქართველოს მეფე ალექსანდრემ, რომელმაც სამათ დაგლიჯა ჩვენი პატარა ქვეყანა და გაუყო იგი თავის შვილებს. ამ უბედურ დღიდან საქართველო აღარ შეერთებულა. საქართველოში ჯერ გაჩნდა სამი სამეფო; ქართლი, კახეთი და იმერეთი. მალე ქართლს მოწყდა მესხეთი და გახდა დამოუკიდებელ სამთავროთ. ცოტა ხნის შემდეგ იმერეთს გადუდგენ გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი; ისინიც გადაიქცნენ დამოუკიდებელ სამთავროებად. ბურიაში მთავრად შეიქნა გურიელი, სამეგრელოში — დადიანი, სვანეთში ჯერ გელაჯანი შემდეგ დადეშქელიანი. აფხაზეთში კი შარვაშიძე.

ამ საბედისწერო დროიდან იწყება საქართველოს დაცემა როგორც პოლიტიკურად, ისე ნივთიერად და სულიერად. დაიწყო მეფე-მთავრებს შორის საშინელი შფოთი, კინკლაობა და სისხლის ღვრა. მსენი არბევდენ ერთმანეთს, ეცილებოდენ მამულებს და ციხე ქალაქებს; ამგვარათ ინთხეოდნ ქმათა შორის სისხლი. ამიერიდან უბედური საქართველო გადაიქცა შინაურ ბრძოლის ასპარეზად. ღაცა მეფის ღირსება და პატივისცემა, გაჰქრა სამშობლოს სიყვარული და ქვეყნის ერთგული სამსახური. მითქმის ყოველი თავადი ბატონად თვლიდა თავს და მზად იყო შეეწირა ქვეყნის ბედნიერება თავისი პირადი სარგებლობისთვის.

ამ გარემოებით მეტად სარგებლობდენ ჩვენი მტრები, ყოველი კუთხიდან ესეოდენ საქართველოს და იკლებდენ, თუმცა ქართველები თავგანწირვით ებრძოდენ მათ. ამ ხანებში მეტათ გაძლიერდენ: აღმოსავლეთით სპარსეთი და

დასავლეთით ოსმალეთი. ეს ორი სახელმწიფო ემუქრებოდა ჩანთქმას ჩვენს აწეწილ ქვეყანას. სპარსეთი ეპატრონებოდა შართლ-ძახეთს, მსმალეთი კი — იმერეთს, მესხეთი ხან ერთის ხელში გადადიოდა, ხან მეორისაში, რის გამო სპარსეთი და მსმალეთი ხშირად ერთმანეთს ებრძოდნენ და მათ შორის კოზაკივით ისრისებოდა ჩვენი სამშობლო. მსმალეებმა მოგვიჩვენეს საქართველოს ჭანეთი, კლარჯეთი, აჭარა, ქაზუჯეთი და ძალათ მიაღებინეს მათ შაჰმადის რჯული. სულთნის ძლიერამოსილი ჯარი არა ერთხელ შემოიქრა იმერეთში, ააწიოკა ხალხი, გადასწვა ქუთაისი და ბელათის შონასტერი. ძიდვე უარეს ზიანს შერებოდნენ სპარსნი აღმოსავლეთ საქართველოში. ამათი შიბადვით შთიელებმა აიშვეს თავი და დაუწყეს რბევა შართლ-ძახეთს. შანსაკუთრებით დიდ ვნებას აძლევდნენ ჩვენს ქვეყნას ლეკები; მათ ცარცვა-გლეჯას და ხალხს აწიოკებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ შავბნელ დროს ჩნდებოდნენ ზოლმე საქართველოში გამოჩენილი მეფენი, როგორც იყვენენ, მაგალითად, შართლის მეფე ლუარსაბ ჰინჯელა და სვიმონ დიდი, მაგრამ ამათ თავგანწირულ ბრძოლას ბევრი ვერაფერი ნაყოფი მოჰქონდა ქვეყნისთვის. საქართველო მოდიოდა უკან საოცარი სისწრაფით. იგი იძულებული შეიქნა დახმარება ეთხოვა რუსეთისათვის.

**2. რუსეთი და საქართველო**

საქართველო მოემწყვდა შაჰმადიანთა რგოლში. მას დაუდგა საშინელი წლები. შიგნით კინკლაობა, ჩხუბი და უთანხმოება, გარედან თურქ-სპარსთა და ოს-ლეკთა შემოსევა, დარბევა და აწიოკება. ეს შავბნელი დრო გაგრძელდა 350 წლამდე, ე. ი. თითქმის რუსეთთან შეკავშირებამდე. არც ერთ ერს არ განუცდია ის უბედურება, სისხლის დერა და აწიოკება, რაც განიცადა საქართველომ ამ სამნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ქართველთა ერთი ცნობილია თავისი სიმამაცით, გმირობით და სამშობლოს და სარწმუნოების უსაზღვრო სიყვარულით. სწორედ ეს იყო მიზეზი მისი აურაცხელ მტერთაგან გადარჩენისა. ამ დროს ქართველებს არ ეცალათ სწავლავანათლებლისა, მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისთვის. ამიტომ ჩვენი ერთი მეტად დაქვეითდა გონებრივად და ნივთიერად; დაეცა ქართული მწერლობა და ხელოვნება.

პატარა საქართველო უძლეველი იყო, როცა ყველა მისი ნაწილი და ტომი შეერთებული იყო ერთ სამეფოდ. მაგრამ წვრილ სამეფო-სამთავროებათ დანაწილებამ და შინაურმა კინკლაობამ მოუღო მას ბოლო. ამიერიდან საქართველომ ვერ მოახერხა გაერთიანება და ერთ სამეფოდ გახდომა, რომ საერთო ძალით შესაფერი პასუხი გაეცა მძვინვარე მტრებისათვის. ამიტომ საქართველოს მეფეები შეუდგენ შოკავშირის ძებნას. ბიზანტია მოისპო. მის ნაცვლად საქართველოსა და მეროპას შორის ზღუდელ ძლიერი ოსმაჯეთი ჩადგა, რომელმაც დააშორა ჩვენი სამშობლო მეროპის განათლებულ ქვეყნებს, მათ გავლენასა და მფარველობას.

ამ დროს კავკასიონის ქედის გადაღმა, ჩრდილოეთით, თვალუწვდენელ ვაკეზე, ბალტიისა და თეთრ ზღვებამდო იზრდებოდა უზარმაზარი სახელმწიფო, ეს იყო რუსეთი, არწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანი. აი ამ თანამორწმუნე რუსეთს გაუწოდა სისხლიანი მარჯვენა ქართველმა ერმა. რუსეთს სთხოვდენ მფარველობასა და დახმარებას ქართლ-ქახეთის მეფენი. ამის შესახებ პირველი მიწერ-მოწერა და ელჩების გზავნა გამართეს რუსის ხელმწიფეებთან ქახეთის მეფეებმა ალექსანდრემ და ლევანმა 1492 და 1558 წლებში. ამას შემდეგ გზავნიდენ ელჩებს რუსეთში და დაბეჯითებით სთხოვდენ მშველას ქახეთის მეფენი ალექსანდრე მეორე და თეიმურაზ პირველი. ამათ ბანი მისცეს ქართლის მეფეებმა გიორგი მეათემ და ლუარსაბ მეორემ. რუსეთს კი იმ ხანებში, შინაური ტრეულობის გამო, არ შეეძლო დახმარებოდა

ქართველებს, თუმცა მისი ხელმწიფენი პირდებოდნენ დახმარებას და იღებდნენ ივერიის მეფეთა ხარისხს.

რუსეთისკენ ხელების შვერა იაფად არ დაუჯდათ ქართველებს. ამ გარემოებამ მეტათ გააბრაზა სპარსეთი და გამოიწვია საწინელი სისხლის ღვრა. სპარსეთის მეფემ შაჰ-აბაზმა ხომ პირდაპირ გადასწყვიტა საქართველოს მოსპობა. ჩვენ ბედშავ ქვეყანას თავს დაატყდა ენით წარმოუთქმელი რისხვა: ის შეიღება აღდგომის წითელი კვერცხივით თავისივე სისხლით.

### 53. ირანის ლოგი შაჰ აბაზი

მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება სპარსეთის გაძლიერება. ამ დროს სპარსეთის ტახტზე აღის ახალი გვარის, სეფიდების დინასტია, რომლის დამაარსებლად ითვლება ისმაილ-შაჰი. მან შეიერთა დანაწილებული სპარსეთი და შეჰქმნა ძლიერი სახელმწიფო. ამ დროს შართლ-ძახეთის მეფენი გზავნიდნენ ვლჩებს რუსეთში და სთხოვდნენ შეკავშირებას. ეს გარემოება გულს უხეთქდა სპარსეთსა და ოსმალეთს. რუსეთის ჩამოთესლებით ისინი არამც თუ ხელს იღებდნენ საქართველოზე, არამედ თვითონ ვარდებოდნენ საწინელ ხიფათში; აქამდე რუსეთსა და მათ შორის აშვერილი იყო უზარმაზარ კედლად შავკასიონის ქედი, რომლის კარები დახურული იყო რუსეთისათვის. ამიერიდან თვით ქართველები უღებდნენ რუსებს კარს, ე. ი. ღარილის ხეობას, და უშვებდნენ მათ ამიერ შავკასიაში. აქიდან კი რუსებს პირდაპირი გზა ეხსნებოდათ როგორც სპარსეთის, ისე ოსმალეთის დასაპყრობად. ამ ეს გარემოება მეტათ აშინებდა ამ ორ სახელმწიფოს და ყოველგვარ ზომებს ხმარობდნენ, რომ საქართველო არ შეერთებოდა რუსეთს.

ისმაილ-შაჰმა შეჰკრა ზავი ოსმალეთთან და მოიწადინა საქართველოს მოსპობა, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალა

ბელი. ისმაილის შვილი შაჰ-თამაზი ძლიერი ჯარებით, ოთხჯერ შემოესია საქართველოს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა ქართლის მეფის ჯუარსაზ ზინჯულისა და მისი შვილის სვიმონის მიერ. ამგვარადვე დაამარცხა სვიმონ მეფემ ოსმალებიც.

ამ ხანებში მოკვდა შაჰ-თამაზი და სპარსეთის ტახტზე ავიდა მისი შვილი შაჰ-აბაზი. ის იყო მეტად კბიერი, დიდად ნიჭიერი და შორს გამჭვრეტელი ადამიანი, და ამასთანავე შესანიშნავი სარდალი; ამიტომ მას მეტ სახელათ დაერქვა. სპარსეთის ანუ ირანის ღმერთი. ამ დიდებულმა შაჰმა გააფართოვა სპარსეთის საზღვრები და უმაღლეს წერტილამდე აიყვანა თავისი ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება. შაჰ-აბაზმა მაშინვე დაიქცია ყურადღება საქართველოს. ამ დროს ქართლში მეფეობდა გიორგი მეათე, ქახეთში კი ალექსანდრე მეორე. ამო გაჩაღებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ რუსეთის მეფესთან. ამ გარემოებამ მეტათ შეაშფოთა შაჰ-აბაზი. მისი შორს გამჭვრეტეტი გონება ნათლად ხედავდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამ მიწერ-მოწერას. მან შეუთვალა ქართლ-ქახეთის მეფეებს, შეეწყვიტათ რუსეთთან ყოველივე კავშირი; ნაცვლად კი დაპირდა ყოველსავე შელავათს, მაგრამ ამაოთ, ჩვენი მეფეები დაჟინებით გზავნიდენ ელჩებს რუსეთში და ითხოვდენ შეკავშირებას. ამით განრისხებულმა შაჰ-აბაზმა მიმართა მკაცრ საშვალებას: მან იღუმლად მოაწამლია ქართლის მეფე გიორგი; ქახეთის მეფეს კი გაუგზავნა მკვლელათ მიმავალი გამაჰმადიანებული შვილი კასტანტინე, რომელსაც დაპირდა, ქახეთის ტახტზე ავიყვანო. სპარსელთა რაზმით კასტანტინე შემოვიდა ქახეთს, დაიბარა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი, მოჰკლა ისინი ღალატით და გამეფდა ქახეთში.

54. ქეთევან დედოფალი და თეიმურაზ პირველი

(1606—1663 წ.)

ქოსტანტინეს საზიზლარმა მოქმედებამ ააშფოთა მთელი კახეთი. ამ მამისა და ძმის მკვლელობა მოიხურვა აგრეთვე თავისი ქვრივი რძლის ქეთევან დედოფლის ცოლად შერთვა. მოთმინებიდან გამოსული კახეთი ქეთევან დედოფლის მე-



ქეთევან დედოფალი.

ქაურობით აჯანყდა. ამ იშვიათმა ქალმა იწყურ სარმრად მზადება და ჯარების მოგროვება. თავის მხრივ კონსტანტინესაც მოუვიდა მაშველი ჯარი ბანჯა-შირვანიდან და აღირბეჯანიდან. მამაცი ძეთევანი თავის ლაშქარს გაუძღვა თავგანწირული მოლაღატის წინააღმდეგ. მოხდა დიდი ბრძოლა, სადაც სანაყებოდ გაიმარჯვეს კახელებმა. დამარცხდა კონსტანტინეს ჯარი, თვით კონსტანტინე მოჰკლა ამ ბრძოლაში ძახეთის გმირმა დავით ჯანდიერმა და მისი თავი მიართვა ძეთევანს.

ძეთევანმა აუწყა თავისი გამარჯვება შაჰ-აბაზს და ძახეთის მეფედ მოსთხოვა მძევლათ წაყვანილი თავისი შვილი თეიმურაზი. შაჰ-აბაზი მეტად გააბრაზა კონსტანტინეს მოკვლამ და ძეთევანის გამარჯვებამ, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებით დაიმშვიდა გული, დაიბარა თეიმურაზი, განუცხადა პირფერობით თავისი სიხარული, მიულოცა გამარჯვება და დიდი საჩუქარით გაისტუმრა ძახეთის მეფედ.

სამწუხაროდ თეიმურაზი ვერ გამოდგა შესაფერი მეფე; ეს იყო მეტად უნდო და წვრილმანი ადამიანი, სუსტი მართველი და უნიჭო სარდალი. მას წარმოდგენილი ჰქონდა თავი დიდ პოეტად და იმ დროს, როცა მთელი ძახეთი ილუპებოდა, არხენათ ბრძანდებოდა იმერეთში, სწერდა თავის უნიჭო ლექსებსა და პოემებს. თეიმურაზს სძულდა შაჰ-აბაზი, თანაც მეტათ ეშინოდა მისი, არ სწამდა მისი ფიცი და დაპირებანი. ამიტომ იგი აღრევე დაადგა იგივე გზას, რასაც ადგენ მისი წინაპრები, და იწყურ მოციქულების გზავნა რუსეთში. ამ საქმეში მან ჩაითრია ახლოგაზდა და სუსტი ხასიათის მქონე შართლის მეფე ლუარსაბ მეტრე. ამგვარი მოქმედებით თეიმურაზმა მეტად განაოხრა შაჰ-აბაზი, გამოიწვია ძახეთის აოხრება და მთელი საქართველო საშინელ ხიფათში ჩააგდო. თეიმურაზ მეფის სიბრძნევს უნდა მივაწეროთ მისი ორი შვილის, ლუარსაბ მეფისა და ძეთევან დედოფლის წამებაც.

შაჰ-აბაზს არ სურდა უბრალოდ სისალის დანთხევა. მისი მიზანი იყო მშვიდობიანის გზით მოენადირებია თეიმურა-



ზის და ლუარსაბის გული; ამ მიზნით იგი ორსავე დაემოყრა და ცოლებად მათი დები შეირთო. აგრეთვე დაამოყრა ერთმანეთს ეს ორი მეფე; თეიმურაზს შეერთო ცოლათ ლუარსაბის მეორე და. შაჰ-აბაზი გულწრფელად ურჩევდა ორსავე მეფეს, შეეწყვიტათ რუსეთთან ყოველივე კავშირი და მინდობოდენ მას, როგორც სიძეს და ერთგულ ადამიანს. შაჰ-აბაზი არ ზოგავდა თავს, რათა მოეგო ამ ორი მეფის გული და დაკავშირებოდა მით უმეტეს, რომ იგი დედით ქართველი იყო და კარგად იცოდა ქართული ენა. მაგრამ ყოველივე ცდამ უქმად ჩაუარა ამ დიდებულ შაჰს. მაშინ იგი დიდი ჯარით წამოვიდა ივერიაში და თეიმურაზს მძევლათ შეილღები მოსთხოვა. თეიმურაზმა გაუგზავნა ჯერ უმცროსი ვაჟი და შემდეგ უფროსი, თანაც გააყოლო მათ თავისი დედა მეთევან დედოფალი. შაჰ-აბაზმა დაიბარა თვითონ თეიმურაზი, მაგრამ მან გაქუსლა იმერეთს და თან გადაიყვანა მეფე ლუარსაბი, რომელიც შემდეგ მოტყუებით ხელში ჩაიგდო შაჰ-აბაზმა. ცოტა ხნის შემდეგ შაჰი უომრად დაბრუნდა სპარსეთს და თან წაიყვანა ლუარსაბი და თეიმურაზის დედა და შეილღები.

### 55. ქახეთის აღსრება (1618 წ.)

ბავიდა ქართლ-ქახეთიდან. შაჰ-აბაზი და ქახეთის საუკეთესო მამულიშვილებმა დაფით ჯანდიერმა, თამაზ ვახნაძემ და ნოდარ ჯორჯჯიძემ მოახდინეს შეთქმულობა ქახეთში დარჩენილ სპარსელთა ჯარის წინააღმდეგ. მათ შეკრიბეს საუკეთესო ვაჟაკნი და ალავერდობა დღეს მოულოდნელად აუტეხეს ბრძოლა სპარსელებს ეკლესიის გალავანში და გასწყვიტეს ისინი; შემდეგ გადმოიყვანეს იმერეთიდან თეიმურაზი და დასვეს ტახტზე.

თეიმურაზმა შეაგროვა 10 ათასი მეომარი, დაეცა გამაჰმადიანებულ იასეს—შაჰ-აბაზის დაყენებულს, მოჰკლა იგი და

ამოსწყვიტა ერთიანად სპარსელთა ჯარი და მისი სარდლები. ამას არ დასჯერდა თეიმურაზი; მან გასწყვიტა იასეს მომხრე თავადობა, შეიპყრო ძახეთში მყოფი სპარსელი ვაჭრები და წამებით დახოცა; მათი ქონება კი თვითონ დაისაკუთრა. არც ეს იკმაბრა — შეუესია ათი ათასი კაცი სპარსეთის მიდამოებს და ააოხრა. ეს ამბავი მალე გაიგო შაჰ-აბაზმა. მის გაბრაზებას საზღვარი არ ჰქონდა. ის შეუდგა სამზადისს, შეაგროვა აუარებელი ჯარი და ძახეთის მოსასპობად წამოვიდა. წამოსვლამდე კი მოაკვლევინა ლუარსაბ მეფე, თეიმურაზის ორი ვაჟი და საშინლად აწამა გახურებული შანთებით ძეთევან დედოფალი, რომელიც ქართველმა ეკლესიამ შერაცხა წმიდათა შორის.

აღდგომა ღამეს ღვით ბარეჯის უდაბნოში ეკლესიას უვლიდა ლიტანიას კელაპტრებით ხეოში ექვსი ათასი ბერი და გალობდნენ „ქრისტე აღსდგას“. შორს გაისმოდა ეს ღაღადება. ამ დროს გავარდა თოფი, და ათი ათასი გამხეცებული მხედარი ეკვეთა უმწეო ბერებს და იწყეს მათი მუსგრა. ეს იყო შაჰ-აბაზის მოწინავე ჯარი. ღვით ბარეჯის უდაბნოს ბერები შეიქნენ პირველი მსხვერპლნი. სამი მხრით მოედვენ ძახეთს შაჰ-აბაზის ჯარები და იწყეს ხალხის უწყალოდ ჟლეტა; ცეცხლსა და მახვილს მისცეს ყველაფერი. ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა ამ ტურფა მხარეში. ათასობით სპობდა ქალსა და კაცს მტარვალის თოფი და ხმალი და ცეცხლის აგზნებული ალი; მომაკვდავის საზარელი კვნესა, ქალთა და ბავშვთა უნუგეშო ტირილი წვდებოდა თვით ზეცას.

აოხრდა მთელი ძახეთი; ვინც ვერ მოასწრო მთებში შეფარება, ზოგი დაიხოცა, ზოგიც შეიქნა ტყვეთ. მოსპეს და გადასწვეს ყველაფერი; ნანგრევებად იქცა ეს მშვენიერი და მჭიდროთ დასახლებული ქვეყანა. ასე იჯერა გული მძვინვარე შაჰ-აბაზმა! ასე გადაუხადა მან სამაგიერო ბრძვე თეიმურაზს. 70 ათასი კახელი გაწყდა ამ შემოსევის დროს. 150 ათასი კი ტყვეთ წაიყვანეს. ამათგან სამი წილი გზაში გაწყდა.

ღანარჩენი ზოგი მონებად გაიყიდა, ზოგიც დაასახლეს სპარსეთის სხვადასხვა კუთხეში და ძალად მიაღებინეს შაჰმადის რჯული. ამრიგად გაწყდა ნახევარი ქახეთი; ეს იყო საშინელი რისხვა, რომლის მსგავსი არა დროს არ განუცდია საქართველოს...

## 56. დიდი მოურავი სააკაძე

შაბრაზებული შაჰ-აბაზი კიდევ უარეს საქმეს უპირობდა ქართლს. მან გადასწყვიტა მოესპო მთელი საქართველო: ქართველი ერის ზოგი ნაწილი გაეყიდა მონებათ, ზოგიც მოეფანტა სპარსეთის სხვადასხვა უვარჯის კუთხეში და მათ ნაცვლად საქართველოში დაესახლებია სპარსელები, რათა ამრიგად ეხსნა თავისი სახელმწიფო საშინელ ხიფათისაგან, ე. ი. რუსთა ამიერ ქავკასიაში შემოსვლისაგან. ადვილად შეიძლება შაჰ-აბაზს აესრულებია კიდევ ეს თავის სატანური განზრახვა და მოესპო ჩვენი სამშობლო, რომ განგებას საქართველოს მხსნელად არ მოეველინა დიდებული გმირი გიორგი სააკაძე.

გიორგი სააკაძე იყო ქართლის უბრალო აზნაური. 16 წლის ბიორგამ იჩინა თავი სვიმონ მეფის დროს ოსმალებთან ბრძოლაში; 22 წლის ბიორგი უკვე ხდება ამირ-სმასლადი ბიორგი მეფის დროს და იღებს თავადის ხარისხს. მას ემოყრება და აძლევს ქალს ქართლის უპირველესი თავადი ნუგზარ არაგვის მრისთავი. სააკაძე ხდება თითოთ საჩვენებელ გმირად. ის შეიქნა მეფის პირველ ვეზირად და დიდ მხურვალდ. მეფის ბრძანებით ბიორგამ ალაგმა თავგასული ერისთავები, დაამარცხა ოსები, გადააყენა უღირსი მოხელენი და მათ ნაცვლად ქვეყნის გამგეობის სათავეში ღირსეული პირები ჩააყენა. სააკაძე არ აქცევდა ყურადღებას გვარიშვილობას, რითაც მეტად გადაიმტერა დიდი თავადები. ბიორგამ მალე დაამშვიდა მტერთაგან აოხრებული ქართლი, დაამინავა გლე-



ხობა, ხელი შეუწყო მშრომელ ხალხს და ააღორძინა ვაჟი გ. ბა-მრეწველობა. მრთი სიტყვით, ყოველ საქმეში ახალგაზდა სააკაძემ გამოიჩინა საარაკო ნიჭი, ნამდვილი გენიოსობა, რომლის მსგავსი ღვათ აღმაშენებლისა და ბიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ჩვენს სამშობლოს არ ღირსებია. მისი მართვა-გამგეობით და სამხედრო ნიჭით ვანცვიფრებული იყვნენ მესობელი მეფენი, განსაკუთრებით შაჰ-აბაზი.

ღიდებულ ნიჭთან ერთად ბუნებას ბიორგი სააკაძე გარეგანი სიშვენიერით უზავ დაეჯილდოებია. ის იყო მეტად ზორბა, ახოვანი და სოცრად ღონიერი ვაჟკაცი; მის ღობას სახეს ამკობდა შავი წვერ-უღვაში. მის ცეცხლისმფრქვევი თვლებიდან კრთოდა უსაზღვრო სიმამაცე, დიდსულოვნება და სამშობლოს სიყვარული; მისი ღომებრივ მკექარე ხმა შიშის ზარს სცემდა მტერს ბრძოლის ველზე. შვი მას, ვისაც მოხვდებოდა ბიორგის ხმალი! შაცი და ცხენი ოთხად გაკვეთილდ ვარდებოდენ ძირს. მტრის რაზმები ივლტოდენ მის წინაშე; ათასი კაცოთ ის ამარცხებდა მტრის ოცსა და ორმოც ათას მხედარს.

ბიორგი სააკაძე არ ეთანხმებოდა შართლ-შახეთის მეფეთა შიწრაფებას; მას არ სურდა საქართველოს რუსეთთან შეკავშირება. მისი მიზანი იყო დანაწილებულ საქართველოს შეერთება; მას სწუურდა ადვდგინა დიდი დავითისა და თამარის დროის საქართველო. ბიორგი სააკაძე მამასავით მფარველობდა საქართველოს იმ დროს, როცა ჩვენ სამშობლოს უპირობდა ერთიანად აოხრებას ირანის ღომი შაჰ-აბაზი.

### 57. ცხირეთის ᦒში (1609 წ.)

ბიორგი სააკაძის შესანიშნავ გმირობად უნდა ჩათვალოს ᦒშის ᦒმალღს ჯარზე საარაკო გამარჯვება. შაბრაზებულმა სულთანმა შეუსიდა საქართველოს 60 ათასი მეომარი. მს ჯარი

მოულოდნელად შეიჭრა ქართლში და წამოვიდა სოფელ  
ცხირეთზე, სადაც იმყოფებოდა იმ დროს ახალგაზდა მეფე  
ჯუარსაბ მეორე თავისი ამალით.

მსმალოს მოწინავე ჯარმა გზაში ჩაიგდო ხელში თუ-  
ღორე ჯვდეჯი, გაიგდო იგი მუქარით წინ ცხირეთის გზის  
საჩვენებლად. მაგრამ ამ ღირსეული ქართველის გულში ღვი-  
ვოდა შამშლის მტკიცე სიყვარული. მან არჩია ქვეყნის ლა-  
ლატს ტანჯვით სიკვდილი. თევდორე ღვდელი გაუძღვა მტრებს,  
ააცდინა ცხირეთის გზას და შეიყვანა უდაბურ-ტყეში. აქ  
მტრები მიუხვდნენ ლალატს; სტაცეს ხელი საწყალ თევდორეს  
და წამებით მოჰკლეს. მსმალეებმა ძლივს დაახწიეს თავი უდა-  
ბურ ტყეს და მიაღწენ ცხირეთს. თევდორე ღვდელი ეკლ-  
სიამ წმიდათა შორის შერაცხა.

მსმალთა ჯარის მოულოდნელმა თავდასხმამ შიშის ზარი  
დასცა ლუარსაბ მეფეს და მის ამალას. მათ ყოველივე იმედი  
დაჰკარგეს. მაგრამ მათ შორის იყო ძლიერი ადამიანი, რომ-  
ლის გულს არა დროს არ მიკარებია შიშო — დიდი მოურა-  
ვი გიორგი სააკაძე. მან გაამხნევა მეფე და მისი ამალა,  
აფრინა ირგვლივ შეკრიკები და შეიღი საათის განმა-  
ვლობაში შეკრიბა ხუთასამდე კაცი. ამ ერთი მუჟა რაზმით  
იგი შევარდენივით დაეცა თავზე ოსმალთა ჯარს და იწ-  
ყო მათი მუსვრა. ცოტა ხნის შემდეგ მას მოემატა კი-  
დევ ხუთასი კაცი ზაზა ტიციშვილის მეთაურობით. ახლა  
უფრო გამხნევდა სააკაძე. იგი იბრძოდა როგორც ლომი; მისი  
შუბის კვეთება, ხმლის ტრიალი და მკექარე შეძახება შიშის  
ზარს ჰფენდა მტრის რაზმებს. სააკაძეს გვერდით მისდევდა  
ხმალამოწვდილი მეფე ლუარსაბი და მუსრავდა მტერს. ბიორ-  
გის შემდეგ ყველაზე მეტად თავი იჩინა ზაზა ციციშვილმა.  
მან თავის ხელით მოჰკლა მტრის მთავარსარდალი და მისი  
თავი მიაართვა მეფეს.

მტერი დაფრთხა, ამდენმა ჯარმა იბრუნა ჰერი და მია-  
შურა შორის ციხეს. მაგრამ სომხის მღვდელმა ტერსაკამ დრო-

ით აცნობა გორელებს ეს ამბავი. ხალხი, გამოცვინდა ქალაქიდან, მტრის თვალწინ აყარეს ხიდი და მით შეუშალეს ხელი. ოსმალთა ჯარს ციხეში შესასვლელათ. მაშინ ოსმალთა ჯარი დაადგა ახალციხის გზას, მაგრამ მათ დაედევნა ქვესი დასი კაცით ზიორგი სააკაძე და ბორჯომის ხელობაში მიაყენა მტერს ისეთი დამარცხება, რომლის მსგავსი ოსმალებს არა დროს არ ენახათ. მთელი მათი ბანაკი და ქონება დაარჩა ქართველებს. ამრიგად სააკაძის წყალობით სძლიეს საშინელს მტერს. მართველთა სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

### 58 ზიორგი სააკაძის განდევნა სპარსეთში

ოსმალთა ჯარის დამარცხების შემდეგ სააკაძის სახელი უფრო განითქვა მთელ საქართველოში. იგი შეიქნა თითოთ საჩვენებელ გმირად. მეფე ლუარსაბმა მეტად შეიყვარა ზიორგი და ერთ დღეს ეწვია მას დიდის ამალით. ზიორგიმ მეფური ნადიმი გადაუხადა ლუარსაბს. მან გადააქარბა სიუხვით და მასპინძლობით ყველა დიდებულს. ამ ღზინის დროს მეფის გული მოხიბლა თავისი სიმშვენიერით სააკაძის დამ მკვანემ. მეფემ გადასწყვიტა მისი ცოლად შერთვა და შეიერთო კიდევ.

ამრიგად მართლის მეფე შეიქნა სააკაძის სიძე, მაგრამ ეს მეფის დამოყვრება გახდა საბედისწეროდ თვით სააკაძისთვის. ამ დამოყვრებამ უზომოდ გააბრაზა დიდებულნი. მათ გადასწყვიტეს სააკაძის დაღუპვა. ისინი შეუჩდენ მეფეს, დაემუქრენ ტახტიდან ჩამოგდებას და იმდენად გადაიბირეს ეს სუსტი ხასიათის ადამიანი, რომ გააშვებინეს ცოლი. თვით სააკაძეს დაუპირეს ღალატით მოკვლა. ეს ამბავი შეიტყო ზიორგი და ძლიერ გაასწრო თავისი ცოლ-შვილით. დიდებულნი დაეცნენ სააკაძის სასახლეს, გაცარცვეს და ცეცხლის ალს მისცეს მთელი მისი ქონება. ამრიგათ მართლის თავადებმა მოაშორეს თავის სამშობლოს უპირველესი გმირი და მამული-

შვილი. სააკაძის გაძევებით მათ დააობლეს მთელი საქართველო.

ბიორგი სააკაძემ თავი შეათარა სპარსეთს. მას თან ახლდა მისი ცოლის ძმა, შესანიშნავი ვაჟაკი ზურაბ ერისთავი. შორს გამჟვრეტმა შაჰ-აბაზმა მეფური ღირსებით მიიღო სააკაძე, უბოძა დიდი ადგილი და ქონება, შაჰმა ისარგებლა ამ გმირის სტუმრობით: წაიყვანა იგი საომრათ ჯერ ინდოეთში და შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ. სააკაძემ სანაქებოდ გაიმარჯვა ორივე ალაგს, დაუპყრო შაჰს დიდი ქვეყნები და მოდრიკა ოსმალეთის ამაყი სულთანი. ბიორგის სახელი განითქვა მთელს აზიაში. აღმოსავლეთის პოეტები უძღვნიდნენ მას ლექსება და პოემებს; მომღერალნი გალობდნენ ლხინსა და წადიმში მის ქება-დიდებას.

საკაძის სპარსეთში ყოფნის დროს საქართველოს თავს დაატყდა ის საშინელი რისხვა, რომელიც მოვიხსენეთ ზევით: მრისხანე შაჰ-აბაზმა სისხლით შეღება მთელი ქახეთი და გასწყვიტა აურაცხელი ქართველობა. ამ დროს სააკაძე ხმლით ხელში წინ მიუძღოდა სპარსელ ჯარებს და იპყრობდა ქვეყნებს. ბიორგის ესმოდა ბრძოლის ველზე ის საშინელი ამბავი, რაც თავს დაატყდა მის სამშობლოს. ამ გმირის გული ივსებოდა საშინელი შურისძიებით. ის ელოდა დროს, ის ეძებდა მარჯვე შემთხვევას. და აჰა, მიეცა მას ერთიც, და მეორეც!

### 59 შაჰ-აბაზის რისხვა

იმერეთის გადახვეწილი მეფე თეიმურაზი გზავნიდა ელჩებს რუსეთში და სთხოვდა შეკავშირებას. მან მიიმხრო ამ საქმეში იმერეთის მეფე ბიორგი და ბურია-სამეგრელოს მთავრები. მს ამბავი ესმოდა შაჰ-აბაზს და ბრაზით ივსებოდა მისი გული. შაჰმა გადასწყვიტა საქართველოს სრულიად მოსწყობა. მან გამოგზავნა უთვალავი ჯარი საუკეთესო სარდლები მეთაურობით და უბრძანა, ქახეთი ერთიანად ამოსწყვი-



ტეთ, ძართლი აყარეთ და სპარსეთში გადასახლეთ, ხოლო მათ ნაცვლად კი სპარსელები დაასახლეთო

ის იყო საბედისწერო ჟამი ქართველი ერის ცხოვრებაში, ამისთანა განსაცდელი ჩვენს უბედურ ქვეყარას არა დროს არ დასდგომია; ამიერიდან მისი სახელი უნდა წაშლილიყო ქვეყნის გულიდან; ამიერიდან ქართველების ნაცვლად ივერიაში უნდა ყოფილიყვნენ სპარსელები; ან ხაფიჯებზე ან სიკვდილი! ან საუკუნით გაქრობა, ან გმირული ბრძოლა და გამარჯვება! აი რა საშინელი აზრები აიმაართა ქართველი ერის წინ!

სპარსეთის ლაშქარი სხვადასხვა გზით შემოვიდა ძართლ-ძახეთში და დიდი მოხერხებით დაიკავა ციხეები. მათ მოაშ-წყვდიეს შუაში უმეფოდ და უპატრონოდ დარჩენილი ქართველობა. თავის სარდლებს შაჰ-აბაზმა ზიორგი სააკაძე თან გამოაყოლა. სააკაძე შაჰის მიაჩნდა თავის ერთგულ კაცად, მით უმეტეს, რომ საქართველომ იგი გარისხა და გადისრო-ლა, მაგრამ მოტყუვდა. ამ გმირის გულში ღვივოდა სამშო-ბლოს სიყვარული. ზიორგი ჩამოვიდა საქართველოში და ხე-ლი მიჰყო მოქმედებას. მან საიდუმლოდ აფრინა კაცები ძართლ-ძახეთის ყოველ კუთხეში, გაამხნევა დამფრთხალი ხალხი, მიიმხრო გავლენიანი თავად-აზნაურნი და გამართა დიდებული შეთქმულობა მტარვალთა გასაჟლეტად და საქარ-თველოს გადასარჩენად. შეთქმულებს ზიორგიმ მისცა პაემანი: ეს იყო 25 მარტი, ე. ი. ხარება.

ხარება დილას რიჭრაქზე ქართველი ჯარი მოულოდნე-ლად უნდა დასხმოდა სემუხრანში (ძართლში) სპარსთა მთავარ ლაშქარს და უნდა გაეწყვიტა იგი. აქედან სწრაფად უნდა სცემოდნენ და აეღოთ ყველა ციხეები; ამრიგად უნდა მოეშორებიათ სამშობლოსთვის საშინელი განსაცდელი. მართლაც ყველაფერი ასრულდა იმ წესით, რაც მისცა შეთქმულებს ზიორგიმ სააკაძემ. ის იყო სული და გული ამ საიდუმლო მოძრაობისა.

60. საქართველოს ბაღარაჩენა (1623 წ.)

მოახლოვდა დანიშნული დღე. ხარების წინა ღამეს ბიორგი სააკაძე ოთხი სუკეთესო ვაჟკაცით იყო მტრის მთავარ ბანაკში. მს ხუთი გმირი იარაღ ასხმული იდუმლათ ერთ კარავში გულის ფანჯრალით ელოდა რაჯრავს, ელოდენ შეტეხულთა ნიშანს, რომ დარეოდენ მტერს და შიშის ზარი დაეცათ მისთვის.

ამ დროს გაისმა შორს ბუკისა და საყვირის ხმა; ეს იყო შეტეხულთა ნიშანი; თუმ-ფშავ—ხევესურთა ჯარი ბიორგი სააკაძის შვილისა და ზურაბ მრისთავის მეთაურობით მოდიოდა მტარვალთა წინააღმდეგ. ქართველი ჯარის გუგუნი და ბუკნალარის მკექარი ხმა ედებოდა ველსა და მთებს; ეს ხმა შიშის ზარს ჰყენდა სპარსელთა ღაშქარს. მათ ეგონათ, თეიმურაზ მეფე რუს-იმერეთა ჯარით მოდისო, რადგან ეს ხმა წინდაწინ დაჰყარა შორს გამკვრეტმა სააკაძემ. უსაზღვრო შიშმა შეიპყრო სპარსელები. ისინი დაიბნენ ამ მოულოდნელ თავდასხმაზე. მათმა სარდლებმა აფრინეს კაცი ბიორგისთან. სააკაძე თავისი ოთხი ვაჟკაცით ცხენზე შემსხდარი მივიდა მთავარ სარდლის უფროსხანის კარავთან. აქ შემოეხვიენ მას სპარსელი სარდლები გაფითრებული სახით და დაუწყეს კითხვა, რა რას ნიშნავდა ეს ბუკის ხმა.

„ეს ის ხმაა, რომ დადგა ჟამი თქვენნი გაწყვეტისა და საქართველოს გათავისუფლებისა!“ მიძახა მათ ბიორგი სააკაძემ. „სიკვდილი მტარვალთ!“ შესძახა მათ მკექარე ხმით, ძრო შუბი, ჰკრა გულში თვით შორჩიხანს და იქვე გააგონა. შემდეგ ხმლით ხელში თავისი ოთხი გმირითურთ ეცა სპარსელ სარდლებს და დახოცა ერთიანათ. მს იყო ერთი უთის საქმე. მს ხუთი გმირი ახლა ეკვეთენ სპარსელთა ჯარს და შეიქნა საშინელი ქოცება. ამასობაში მოუსწრო ქართველთა ჯარმა. როგორც გაშმაგებული ლომებზე ჩაერიენ ამ უთვალავ ღაშქარში ზურაბ ერისთავი და ბიორგის შვილი ზე-

რახი თავის ვაჟკაცებით და გაავლეს მუსრი. შეიქნა მტრის უწყალო ჟღერა; ისე შეიპყრო შიშმა სპარსელნი, რომ ველარ არჩევდენ მტერს და ხოცავდენ ერთმანეთს. ორ-სამ საათში ქართველმა ჯარმა მოულო მათ ბოლო. შემდეგ ქართველები გაეშურენ ციხე-სიმაგრეების ასაღებად; აიღეს რამდენიმე, დაამარცხეს სპარსთა ჯარები და ბოლოს გაეშურენ ლაშქარს, ძახეთისკენ, სადაც იდგა კიდევ მტრის დიდი ლაშქარი. მეორე მხრით სპარსელთ მოადგენ კახელები დაერთ ჯანდიერის მეთაურობით; აქაც ქართველმა ჯარმა გამოიჩინა საოცარი გამბეობა და გასწყვიტა მტერი.

ამრიგად სააკაძემ თავისი გენიოსური ნიჭით გადააჩინა ქართლ-კახეთი დაღუპვას და ერთიანად მოსწობას. მაგრამ იათათ არ დაუჯდა მას ეს გამბეობა—საკაძემ უმსხვერპლა სამშობლოს თავისი უფროსი და უსაყვარლესი ვაჟი შაატა, რომელიც შაჰ-აბაზმა დაიტოვა მძევლად. ბამხეცებულმა შაჰიმ საშინელი წამებით მოჰკლა შაატა და მით იჯერა გული სააკაძეზე.

## 61. შარაბლის ომი და სააკაძის ბოლო

(1623—1629 წ.)

ამ სამაგალითო გამარჯვების შემდეგ სააკაძემ გადმოიყვანა იმერეთიდან თეიმურაზ მეფე და დასვა ქართლ-ძახეთის ტახტზე. იქით შაჰ-აბაზი შეუდგა მზადებას შურის საძიებლად. მან შეკრიბა თავის ვრცელ სახელმწიფოში საუკეთესო ლაშქარი, რიცხვით ასი ათასი მეომარი და თავისი სიძის ფაჩხიზაშის მეთაურობით გამოგზავნა საქართველოს მოსასობათ.

არც ბიორგი სააკაძეს ეძინა. მან რეაგროვა ქართლ-ძახეთში რჩეული ჯარი, რიცხვით ოცი ათასი კაცი და ურჩევდა თეიმურაზ მეფეს ქართლშივე გამაგრებას. მაგრამ პირადმა მტრობამ დალუბა საქმე. სააკაძის მტერმა თავადებმა ჯარის

მთავარ სარდლობა მისცეს თვით მეფე თეიმურაზს და მასვე ურჩიეს მიხტომოდა სპარსელებს. სუსტი გონების პატრონი თეიმურაზი აყვა თავადებს. მან არ შეისმინა სააკაძის გონიერული რჩევა და ჯარით მიუხტა სპარსელებს. ბრძოლა მოხდა პაპანება სიციხეში უწყლო და მხურვალე ადგილას მანაბდის ველზე. სიციხეს შეჩვეულნი სპარსნი მხნედ იბრძოდნენ; მაგრამ მათ სიმრავლეს აქაც სძლია ქართველი ჯარის ვაჟკაცობამ და მეტადრე ბიორგი სააკაძის გენიოსობამ. სასტიკად დამარცხდა მტერი და იბრუნა პირი გასაქცევად.

ამ დროს მთებიდან გამოჩნდა სპარსეთის მეორე ლაშქარი და მედგრად ეკვეთა ბრძოლით და სიციხით დაქანცულ ქართველებს. ქართველი ჯარი ჩავარდა საშინელ საფრთხეში. ის მოემწყვდა სპარსელებს შორის. სპარსთა უთვალავი ჯარი შემოევლო ირკვლივ ქართველებს და იწყო მათი უწყალო ჟლეტა. ქართველთ დაუდგათ საბედისწერო ეამი. ამ საშინელ ბრძოლაში გამოიღეს ხელი საომრად თვით ღვდელმთავრებმაც. აქ გაწყდნ საუკეთესო მამულიშვილნი, მათ შორის ცხრა ძმა ხერხეულიძე და ცხრა ძმა მანაბელი. ამ საშინელმა ბრძოლამ იმსხვერპლა ცხრა ათასი ქართველი და თვრამეტი ათასი სპარსელი.

იქნება სულ ერთიანად გაწყვეტილიყო ქართველი ჯარი, რომ იგი ისევ ბიორგი სააკაძეს არ ეხსნა. რამდენიმე თავგანწირული ვაჟკაცით მან გააპო მტრის ლაშქარი და მისცა გასაქცევი გზა ქართველ ჯარს. ამრიგად თეიმურაზისა და მის მრჩეველთა წყალობით მარაბდის ველზე დამარცხდა ქართველი ჯარი; მან ზურგი უჩვენა მტერს. შველაზე წინ გარბოდა თეიმურაზ მეფე. ბიორგი სააკაძე კი ერთი მუჟა ვაჟკაცებით აჩერებდა მტერს და ბრძოლით იხევდა უკან.

სპარსეთის ჯარი შემოვიდა ქართლში. ხალხი გაიხიზნა მთებში. სააკაძემ ფიცხლავ შეაგროვა ორას-სამასი ვაჟკაცი და გაუმართა მტერს სათარეშო ბრძოლას. ამ მცირე რაზმით მტერი ისევ შეავიწროვა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ სპარსნი

შერცხვენილი გაბრუნდენ უკან. ამრიგად გმირმა სააკაძემ ხელმოკრედ იხსნა საქართველო დაღუპვისაგან.

ამას შემდეგ სააკაძეს უსიამოვნობა მოუხდა თეიმურაზ მეფესთან და ზურაბ მრისთავთან, იძულებული გახდა ისევ განშორებოდა თავის სამშობლოს და წასულიყო ოსმალეთს. სულთანმა დიდის პატივით მიიღო სააკაძე, უბოძა მრავალქონება და გაგზავნა ხაომრათ მცირე აზიაში, სადაც ზიორგიმ ზედიზედ გაიმარჯვა და დაუპყრო სულთანს მრავალი ქვეყანა. ღიდხანს არ დასცალდა სააკაძეს: საზიზლარმა შურმა მოუღო ბოლო ამ დიდებულ ადამიანს. მძინარე სააკაძე ღალატით მოჰკლა სულთანის სიძემ დიდმა ვეზირმა, რომლის სახელი დაჩრდილა ოსმალეთში ზიორგის საარაკო გმირობამ. ეს საზარელი მკვლევლობა მოხდა 1629 წელს.

ასე სამწუხაროდ დალია სული უცხოეთში საქართველოს უპირველესმა შვილმა და სამხედრო გენიოსმა, რომლის სახელი გრგვინავედა მთელს აზიაში!.

## 62. საქართველოს არეული მდგომარეობა

(1630--1676 წ.)

ზიორგი სააკაძის სიკვდილის შემდეგ საქართველო კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. საშინლად აიწეწა როგორც ქართლ-ძაზეთი, ისე იმერეთი. აღმოსავლეთ საქართველოს დაეპატრონა სპარსეთი დასავლეთ საქართველოს კი ოსმალეთი. მესხეთი ხან ერთის ხელში გადადიოდა, ხან მეორისაში. ეს ჩვენი მტრები ცდილობდენ დაესუსტებიათ საქართველო და აღმოეფხვრათ მასში ქრისტიანობა. მიზანს აღწევდენ კიდევ. მათ გაამაჰმადიანეს აფხაზეთი და მესხეთი. თვით ივერიაში გაბატონდა სპარსული ზნე-ჩვეულება, სამოსელი, სმაჰმა, ქცევა, საუბარი და მუსიკა-სიმღერა. ქართლ-ძაზეთის მეფენი და თავად აზნაურნი ღებულობდენ მაჰმადის სარწმუნოე-

ბას და ყველაფერში სპარსელთ ბაძვდენ; მათ ხალხი გაჰყვა და ამრიგათ იხრწნებოდა ქართველი ერი.

ამავე დროს ჩვენს უბედურ სამშობლოს ყვაყვორნებივით ეხვევოდა მთის ხალხი, უმთავრესად რეკნი, და იკლებდენ ქვეყანას. ბურია-სამეგრელოში ხომ საშინელ სენად გადაიქცა ტყვეების ყიდვა ოსმალეთში გასაგზავნად. თავად-აზნურები და ავით ბურია-სამეგრელოს მთავრები ჰყიდდენ თავის მოძმეთ. ამ სამარცხვინო საქმეს მღვდელმთავრებიც კი კადრულობდენ. ასე დაეცა იმ დროს ქართველი ერის მალალი ზნეობა! ასეთი დამღუპავი გავლენა იქონიეს ქართველებზე სპარსეთმა და ოსმალეთმა.

შნიჭო მეფე ოციმურაზი ვერაფერს შეგლოდა თავის ქვეყანას. მისმა მუდარამ და დახმარების თხოვნამ რუსთ ხელმწიფის მიმართ ვერაფერი ნაყოფი გამოიღო. რუსები პირდებოდენ დახმარებას, მაგრამ ეს დაპირება მუდამ დაპირებად რჩებოდა.

სპარსელები გაძლიერდენ აღმოსავლეთ საქართველოში. მათი შაჰები გზავნიდენ მართლ ძახეთში მეფეებად გამაჰმადიანებულ ბატონიშვილებს. ოციმურაზი უკვე დიდიხნის გადაყენებული იყო მეფობიდან და დარბოდა ხან რუსეთსა და ხან სპარსეთს; ხან რუსის ხელმწიფეს სთხოვდა შეეღოს, ხან სპარსეთის შაჰს აბრალებდა თავს. ამ ტანტალში ამოძვრა სული ამ საცოდავ მეფეს.

### 63. შერთყოლოვა სპარსელთა წინააღმდეგ

(1658 წ.)

სპარსელებმა მეტად გაუჭირვეს საქმე ძახეთს. მრთ დროს მის მართველად გახდენ სპარსელი მოხელენი. მსენი ართვედენ მამულს ძახეთის თავადებს და აძლევენ სპარსელთ; აგრეთვე ანგრევენ ტაძრებს და საშინლად სტანჯავენ ხალხს.

სპარსთა ასეთ სისასტიკეს ვერ გაუძღეს ქართლ-ძახელებმა. მტარვალთა წინააღმდეგ შეითქვენ გამოჩენილი მამულიშვილები: აჩაგვის ერისთავი ზაად, ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები—ორი ძმა შაფა და ელიზბარ. ამათ მიიმხრეს თუმ-ფშავ-ხევსურნი, მოახდინეს აჯანყება, დაეცენ სპარსელებს ძლიერი რაზმით ბახტრიონის ციხესა და ალავერდის ტაძრის გალავანში და გაუღიჯეს მტერი. მაგრამ იაფად არ დაუჯდა ეს გმირობა ამ ქებულ მამულიშვილთ: რამდენიმე ხნის შემდეგ ძახეთის მართველმა მუკთუზ-აღიმ შეიპყრო ბიძინა, შაფა და ელიზბარ და გაუგზავნა შაჰს. შაჰმა აწამა ისინი 1651 წელს. წამებულნი საქართველოს ეკლესიამ წმიდათა შორის შერაცხა.

ამას შემდეგ კიდევ უფრო გათამამდნ სპარს-ოსმალნი. მათ ხელს უწყობდნ ერთმანეთში კინკლაობით თვით ჩვენი დიდი მებატონები. მეფეს გავლენა და სახელი ჩვენში უკვე დაცემული იყო. ბალაღებული თავადები ეცემოდნ ერთმანეთს და ართმევდნ ყმებსა და მამულოს. ამგვარადვე ექცეოდნ ეს დიდი თავადები თავის მეფეებსა და მთავრებს. ამ ქვეყნის დამლუბავ საქმეში ისინი იშველიებდნ სპარსელთ და ოსმალებს. მსენიც დიდი სიამოვნებით ერეოდნ ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში და სისხლით ღებავდნ ტანჯულ საქართველოს.

ასეთ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა, როცა ქართლში გამეფდა გიორგი შეთერთმეტე.

#### 64. ბიორგი მეთერთმეტე და ქართველთა

სიამაგე (1676—1688 წ.)

მათელ მეჩვიდმეტე საუკუნეში ბიორგი სააკაძის შემდეგ პირველ კაცად უნდა ჩაითვალოს ქართლის მეფე გიორგი შეთერთმეტე. ახოვანობით, სამხედრო ნიჭით და პოლიტი-

კური გამჭირიანობით ზიორგი მეფე მოგაგონებდათ საქართველოს ბრწყინვალედროის საუკეთესო მეფეებს. მაგრამ ამ მეფეს გარემოება ხელს არ უწყობდა ქართველი ერის ძველი ღირსება აღედგინა. მისი მიზანი საქართველოს გაერთიანება იყო ქართველ-კახეთის და იმერეთის შეერთებით. ამ მიზნით მან მიიმხრო იმერეთის გავლენიანი თავადები და შუთაისში თავისე ძმა აჩივლი გაამეფა.

არჩილმა ვერ გაამართლა ძმის იმედები. თუმცა ის განათლებული კაცი და კარგი მწერალი იყო, მაგრამ იმავე დროს შეტად სუსტი მეფე გამოდგა; ამიტომ ვერ გაამაგრა ვერც იმერეთისა და ვერც ქახეთის ტახტზე. ზოლოს იძულებული გახდა წასულიყო რუსეთში, სადაც მიიცვალა კიდეც 1710 წ.

თვითონ ზიორგის დიდხანს არ უმეფია ქართლში. ის იძულებული შეიქნა ქართველი ჯარით დახმარებოდა სპარსეთის შაჰს ავღანთა წინააღმდეგ. ზიორგი მეფე დარჩა აზიაში თითქმის ოც წელს. მისი მეცადინეობით, შაჰმა ქართლის გამგედ ყველაზე უფრო განათლებული ბატონიშვილი ვასტანგი დანიშნა, რომელიც შემდეგ გამეფდა ქართლში ვასტანგ შექვესის სახელით.

ზიორგი მეფემ წამდვილი გმირის სახელი მოიხვეჭა შთელს აზიაში. თავისი პატარა რაზმით მან დაამარცხა ავღანელნი და შიშის ზარი დასცა საერთოდ სპარსეთის მტრებს. იგინი იხსენიებდნენ ზიორგი მეფეს გურგენ-ხანის სახელით. ზიორგის დიდ ფეშქაშებს უგზავნიდნენ აზიის სულთნები; აგრეთვე ქანდაარში ყოფნის დროს დიდი ძღვენი მიართვა მას ინდოეთის მეფის შვილმა.

ზიორგი მეფეს გადაემტერა სულთანი მირჯეისი, რომელმაც დაიმართოხელა მეფე მცირე რაზმით, მიუხტა მას ღამე ჯარით და მოჰკლა (1709 წელს). ზიორგი მეფის მცირე რაზმი, 500 კაცი, წამოვიდა გირიშკისაკენ. მირჯეისმა დაადევნა მას 15 ათასი ცხენოსანი. მსენი დაეწიენ ქართველებს და გაუმართეს ომი. 500 ქართველი თავგანწირვით ებრძოდა



მტერს და საარაკოდ გაიშარჯვეს. მათ თითქმის ერთიანად გაუღლიტეს ეს დიდი ჯარი და მშვიდობით მოვიდნენ ზირიშკს. მტრებისა კიდევ დაადევნა ქართველებს 13 ათასი მეომარი, რომელთაც ალყა შემოარტყეს ზირიშკს, ბანთიადისას ქართველები მიუხტენ მტერს გმირულად, დაამარცხეს საშინლათ და გააქციეს. ლახოცილთა თავებით კი აღმართეს კოშკი.

ასე უნაყოფოდ გაჰქრა შუაგულ აზიაში ქართველების ძალა და მამაცობა! საქართველოს ამით არ მისცემია არავითარი შეღავათი. მხოლოდ შორეულ აზიაში დარჩა ხსოვნა გმირ ზურგენხანისა და მისის ლომგული ქართველებისა.

ამ დროს დაობლებულ ქართლს განაგებდა განათლებული მეფე ვახტანგ შექეძესე სჯულმდებელი.

### 65. ვახტანგ სჯულმდებელი (1703—1724 წ.)

ვახტანგ შექეძესე ანუ სჯულმდებელი, თუმცა ფრიად განათლებული პირი იყო, მშრომელი და გულკეთილი, მაგრამ მას აკლდა პოლიტიკური გამჭრიახობა და სამხედრო ნიჭი, ე. ი. ის, რაც ყველაზე მეტად საჭიროა მეფისათვის. რვა წლის განმავლობაში ვახტანგი ერთგულად განაგებდა ქართლს. მან გადმოიყვანა ძაღთში გახიზნული ქართველები და დაასახლა მათსავე მამულში, დანგრეული ქართლი ისევ აღადგინა, მოაწყობა შინაური საქმეები, გამართა უკოლები, დაარსა თბილისში პირველი სტამბა და დაბეჭდა მრავალი წიგნი. მეფე განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლებას და ამ მხრივ მეტად ბევრი გააკეთა. ვახტანგმა შეადგინა აგრეთვე კანცეხა, ანუ სჯულის წიგნი, რისთვისაც უწოდეს მას სჯულმდებელი.

შმაწვილობისას ვახტანგი სპარსეთს მიიწვიეს. ის დიდხანს დარჩა შაჰის სასახლეში. იქ მან მშვენიერად შეისწავლა სპარსული ენა და მწერლობა. 1719 წელს შაჰმა აღიარა იგი

ქართლის მეფედ და გამოგზავნა სამშობლოში. გახარებულნი  
შახტანგი შეუდგა ისევ ქართლის მართვას. მაგრამ მეფობა  
დიდხანს არ დასცალდა. 1722 წელს სპარსეთს მოადგა ორი  
ძლიერი მტერი: აღმოსავლეთით ავღანთა ხანი და ჩრდილოე-  
თით რუსთა ხელმწიფე პეტრე დიდი. შეშინებულმა შაჰმა



ვახტანგ სჯულმდებელი

შახტანგს სთხოვა დახმარება, მაგრამ უარი მიიღო. მეორე  
მხრივ დახმარება სთხოვა შახტანგს პეტრე დიდმა და ბევრი  
რამ აღუთქვა. ეს ამბავი მუსულმანთის სულთანმა რომ გაიგო,

სწრაფად აფრინა შიკრიკი მანტანგთან და შეუთვალა, რუსებზე ნუ დაეხმარებო, რადგან რუსთა გამარჯვებით თვით ოსმალეთი დიდ საფრთხეში ვარდებოდა. ნაცვლად ამისა სულთანმა მანტანგს აღუთქვა დიდი ჯილდო.

მანტანგმა არ იცოდა, რა ექნა. თუმცა მას სურდა პეტრე ლიდს დახმარებოდა, მაგრამ ერის დაუკითხავად ვერ გადასწყვიტა ეს მძიმე საქმე. ამ მიზნით მან მოახდინა დიდებულითა კრება. დიდი ბჭობის შემდეგ მანტანგს მიემხრო კრების უმეტესობა. ამას შემდეგ მანტანგმა შეკრიბა საუკეთესო ჯარი, რიცხვით 40 ათასი მხედარი და გაემართა შაჰახს, რომ პეტრე ლიდს შეერთებოდა. ამ მოქმედებით მანტანგმა მეტად გაარისხა როგორც შაჰი ისე სულთანი, რომლებიც ამიერიდან გადაიქცენ საქართველოს დაუძინებელ მტრებად.

შაჰი შეურიგდა პეტრე ლიდს და მან უომრად გააბრუნა უკან თავისი ჯარი. პეტრე ლიდმა მალე დაივიწყა თავისი დაპირებანი და მიატოვა მანტანგი. შრისხანე შაჰმა კი იჯერა გული მანტანგზე: იგი მაშინვე ჩამოაგდო ტახტიდან და მართლი მისცა ძახეთის გამაჰმადიანებულ მეფე კოსტანტინეს. ძახეთის მეფე დიდი ჯარით შეესია მართლს, ააოხრა ოფილისი, დახოცა მრავალი ხალხი და დასწვა სიონი. ასე ძვირად დაუჯდა მანტანგს რუსების დახმარება; მან დაჰკარგა ტახტი და დიდი ზიანი მისცა თავის ქვეყანას.

მანტანგი თავისი ოჯახითა და ამალით იმერეთს შეეფარა; აქედან კი 1724 წელს ცოლშვილიანათ გადასახლდა რუსეთს, სადაც მიიწვია პეტრე ლიდმა. მანტანგმა თან წაიყვანა 1200 წყნადი ქართველი და მათი ცოლშვილი, და ამრიგად უფრო დასუსტდა მართლი. გზაში მანტანგმა შეიტყო პეტრე ლიდის გადაცვალება. ზარბაზნების სროლით და დიდი პატივით მიიღეს მანტანგი პეტრეს ქალაქში. რამდენიმე წლის შემდეგ ქერიმა დედოფალმა მანტანგის მეთაურობით გაგზავნა ჯარი ზილანის დასაპყრობად, მაგრამ ამ ლაშქრო-

ბიდან არაფერი გამოვიდა. უიმედოთ დარჩენილი, ჰახტანგი მიიცვალა ქ. ასტრახანში 1737 წელს; იქვე დასაფლავეს.

## 66. ქართული მწიგნობრის აღორძინება

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევარი შესანიშნავია მით, რომ ამ დროს აღორძინდა ქართული მწიგნობა.

მონგოლთა შემოსევას და ბიზანტიის იმპერიის დამხობას მოჰყვა ჩვენთვის ის ცუდი შედეგი, რომ საქართველოში მწიგნობა და ხელოვნება დაეცა, შემცირდა მეტათ შკოლები და სწავლა-განათლება, დაქვეითდა მეურნეობა და ვაჭრობა-შრეწველობა. შინაურმა ბრძოლამ და კინკლაობამ, მტრების შგმოსევამ, მთიელთა ტაციობამ და უზომო ბეგარამ ერთიანად გაადატაკა ჩვენი ხალხი. ნივთიერ სიღარბესთან ერთად ფეხი მოიდგა უმეცრებამ. ბაუნათლებელ მტარვალთა ზეგავლენით მეტად დაეცა ქარვეელი ერის ზნეობა; ყოველივე ამან ცუდად იმოქმედა ქართველ ერზე და უკან დასწია მისი ცხოვრება.

ამდროს ევროპის სახელმწიფონი, მაგ. იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია მეტად განათლდენ და წავიდენ წინ ნივთიერათ და გონებრივათ. მეჩვიდმეტე საუკუნეში იტალია-საფრანგეთიდან ჩამოვიდენ ჩვენში კათოლიკეთა სარწუნოების საქადაგებლად ფრიად განათლებული ჰატრები (მღვდლები.) ამ პატრებმა იცოდენ კარგად ექიმება, მალე შეისწავლეს ქართული ენა და დაუახლოვდენ ჩვენს მეფეებს, მთავრებს, თავად-აზნაურებს და იქონიეს მათზე დიდი გავლენა. იმათი რჩევით ჰახტანგ მეექვსემ დაიბარა უნგეთიდან (მეროპაში) მესტამბენი და 1709. წელს დააწესა თფილისში სტამბა, სადაც დაბეჭდა „საფეთე წერილი“, „ვეფხისტყაოსანი“, და სხვა მრავალი წიგნი. ამ პატრების რჩევით ბევრი გამოჩენილი ქართველი წავიდა მეროპაში და გაეცნო იქაურ ცხოვრებას. მეროპული განათლება მიიღეს აგრეთვე ზოგიერთმეფის შვილებმაც. ბონებით ფხიზელი და სწავლის მოტრფია

ლე ქართველები ამ საშინელ სისხლის ღვრის ღროს მწყურვა-  
ლესავით დაეწათენ სწავლას. მოკლე ღროში გაჩნდნ ჩვენში  
შესანიშნავი მწერლები და პოეტები, როგორც, მაგ. ანხილ  
შეფე, სეხნია ჩხვიძე, იოსებ თფილელი, ვასტანგ შექვესე, საბა  
სულხან თბეჯიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, დავით გურამი.



საბა სულხან თბეჯიანი

შეიღი და სხვ. პრჩილ მეფემ დასწერა ლექსად თემუ-  
რას შირველის ცხოვრება, სეხნია ჩხვიძემ—საქართველოს  
ისტორია, იოსებ თფილელი—ვიორგი სააკაძის ცხოვრება,  
საბა სულხან-თბეჯიანმა შეადგინა ქართული ლექსი-

ჯონი, დასწერა „სიბჭძნე სიძრუის“ წიგნი და მახტანგ მეფესთან ერთად გადათარგმნა შესანიშნავი წიგნი, „ქალილა და დამანა“, მახტანგ მეექვსემ შეადგინა კანონის წიგნი, მისმა შვილმა მახუშტიმ დასწერა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია და შეადგინა საქართველოს რუკები, ღვით ბურამიშვილმა კი დასწერა წალხური ენით შესანიშნავი ლექსები და ზოგები. მწერლობის აღორძინების სული და გული იყო თვით ვახტანგ მეექვსე. ამ ხანას დაერქვა ვერცხლის საუკუნე.

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოში გამაჩნდა აგრეთვე ორი შესანიშნავი მეფე: იმერეთის მეფე, სოლომონ დიდი და მართლ-მანეთის მეფე უძლეველი გმირი ერეკლე მეორე.

### 67. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი

(1752—1781 წ.)

სამი საუკუნის განმავლობაში იმერეთს არ ღირსებია შესაფერი მეფე. უხეირო მეთაურთა წყალობით ეს ქვეყანა გადაიქცა შინაურ კინკლაობისა და შტრობა-ჭიშკობის საბიელად.

იმერეთის მეფეს ებრძოდნენ გურია-სამეგრელოისა და აფხაზეთის მთავრები, ხშირად ამარცხებდნენ მას და ართმევდნენ აღდილებს. მეფეს ებრძოდნენ აგრეთვე იმერეთის დიდი თავადები, იწვევდნენ ხშირად ოსმალებს დასახმარებლათ და იკლებდნენ ქვეყანას.

ასეთ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა იმერეთი, როცა ტახტზე ავიდა მეტად მხნე და შესანიშნავი ვაჟაკი სოლომონ პირველი ანუ დიდი. მს იყო სულით ძლიერი და სამხედრო ნიჭით აღჭურვილი, მშრომელი და სამშობლოს მოყვარული. მისი საზრუნავი შეიქნა იმერეთის გაძლიერება და გათავისუფლება მსმადთა ბატონობისგან.

ავიდა ტახტზე სოლომონი და მაშინვე უმთავრესი ყურადღება მიაქცია თავგასულ მთავრებსა და თავადებს. ამ მიზ-

ნით სოლომონი დაემოყვრა სამეგრელოს მთავარს ოტის და-  
ღანს და შეერთებული ძალით საშინლათ დაამარცხა წყნის  
ველზე აფხაზეთის მთავარი, რომელსაც ჰყავდა 40 საასი მე-  
მარი, თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული.

ძიდევ უფრო ადრე სოლომონმა დაამხო თავგასული  
თავადეზი ჯეჯან აბაშიძე და რაჭის ძლიერი ერისთავი როს-  
ტომი. შაბრაზებულმა მეფემ როსტომსა და მის შვილებს და-  
სთხარა თვალები. ამ საკციელით მეფემ შიშის ზარი დასცა  
თავადებს.

იმ დროს იმერეთის უმთავრესი ციხეები ოსმალებს ეკა-  
ვათ. აქედან ისინი თავისუფლად თარეშობდნენ მთელს იმერეთ-  
ში, იკლებდნენ ქვეყანას, მიჰყავდათ მრავალი ტყვე და მიჰ-  
ქონდათ დიდ ზარკი. იმერეთი მეტად შევიწროვებული იყო  
ოსმალთა მტარკალობით. სოლომონ მეფემ შეკრიბა საკმაო  
ჯარი და ლადიანის დახმარებით შეებრძოლა ოსმალებს რამდენ-  
სამე ალაგას და საშინლად დაამარცხა. მეტადრე შესანიშნავი  
იყო ხაქსიფის ომი (იმერეთში). ამ ბრძოლაში მეფემ დაიხმა-  
რა მართლის ჯარი და დიდებულად გაიმარჯვა. ამ ბრძოლა-  
ში მოჰკლეს ოსმალთა ჯარის უფროსი გოჯა ფაშა და ქვეყნის  
შოლალატე ჯეჯან აბაშიძე. ამავე ბრძოლაში მოჰკლეს  
სოლომონის მომხრე შესანიშნავი ვაჟაკი ხუტუნია შეჭვაშიძე,  
რომელიც მამაცად შეიჭრა ოსმალთა ჯარში და დახოცა  
16 მეომარი.

ამ გამარჯვების შემდეგ სოლომონი შეუდგა შინაურ  
საქმეს: გამართა სტამბა ორ-სამ ალაგას და დაბეჭდა მრავალი  
წიგნი, აკრძალა ტყვეთა ყიდვა, შეაკეთა დანგრეული ციხეები  
და მუთაისში მდ. რიონის პირად ააშენა ლამაზი სასახლე  
„ქრეს ჩანდასი“. იმერეთი დამშვიდდა და გაძლიერდა.  
მაგრამ, საუბედუროდ, დიდხანს არ შერჩა იმერეთს ეს შესა-  
ნიშნავი მეფე; იგი გადაიცივალა უშვილოთ 1781 წელს და  
იმერეთის ტახტი დაობლდა. ამით მეტად კარგი შემთხვევა  
შიცა მართლ-მანეთის მეფე შრეკლეს შეეერთებია იმერეთი.

და მით აღედგინა საქართველოს ძველი ერთობა და ძლიერება; მით უმეტეს, რომ იმერეთის ზოგიერთი თავადები სთხოვდნენ შეერთებას. მაგრამ სამწუხაროდ მრეკლეს აკლდა პოლიტიკური გამჭირახობა და არ მიიღო ეს სახეირო წინადადება; რითაც დიდი ზიანი მისცა მთელ საქართველოს.

### 68. პატარა კახი ერეკლე მეორე (1744 - 1798 წ.)

მეთვრამეტე საუკუნეში მტრებისაგან დასუსტებულ საქართველოს ქომაგად მოველინა უძლეველი გმირი ერეკლე მეორე. მს იყო ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ მეორის შვილი.

თეიმურაზი ჯერ იყო ქახეთის მეფე. იგი ერთგული იყო სპარსეთის ძლიერი ხელმწიფის ნადირ-შაჰისა. ამ დროს შახტანგ მეექვსის რუსეთში გადასახლების გამო ქართლი უმეფოდ იყო დარჩენილი. ნადირ-შაჰიმ ერთგულობისათვის თეიმურაზს მისცა ქართლი, მრეკლეს კი — ქახეთი. ამრიგად შეერთდნენ დიდი ხნის განმავლობაში განშორებული ქართლი და ქახეთი. მს შეერთება იმ გარემოებამ უფრო გააადვილა, რომ ქართლის ტახტის ნამდვილი მემკვიდრენი რუსეთში იყვნენ, და თვით თეიმურაზ მეფეს კოლად ჰყავდა შახტანგ მეექვსის ქალი თამარი. თეიმურაზ მეფის სიკვდილის შემდეგ მრეკლე შეიქნა ქართლ ქახეთის მბრძანებელი.

ბარეგნობით მრეკლე იყო ტანზორჩილი, ამიტომ მას შეტსახელად დაერქვა ზატაჰა კახი. მისი შევარდენის თვალეზი კრთოდნენ ელვასავით. მრეკლე იყო სწრაფი, საოცარი გულადი და იარალის რშვიათი მხმარებელი. მისი იერიში და ლომივით მკექარე ხმა შიშის ზარს ფენდა მტრის ლაშქარს. მრეკლე იყო სამხედრო გენიოსი, უპირველესი სარდალი ბრძოლისათვის მოვლინებული. ღავით აღმაშენებლისა და ზიორგი სააკაძის გარდა საქართველოს არა დროს არ ჰყოლია ასეთი დიდებული სარდალი. მს გმირი მეფე ნამდვილ



სასწაულ-მოძქმედი იყო: ხშირად ხუთი ათასი კაცით ამარჯუნებდა მტრის ორმოცსა და სამოც ათას მხედრობას.

13 წლის არც იყო მრეკლე, როცა მამამ დაწინა იგი.



მრეკლე მუხრანელი

ქახეთის ჯარის სარდლად. 14 წლის მრეკლემ უკვე შემუსრა ლეკთა დიდი ჯარი. ამ ომში მრეკლე ლომივით იბრძოდა,

ამბობს ისტორიკოსი პავლუხა (მრბელთანი). მრეკლეს გმირობის სახელი განითქვა მთელს აზიაში. იგი მიიწვია დიდმა სარდალმა ნადირ-შაჰმა და წაიყვანა საომრად ინდოეთში. ამ ომებში მრეკლემ საარაკო გმირობა გამოიჩინა და ყველგან გაიმარჯვა. მან დასტოვა აზიაში თავის გმირობის წაუშლელი კვალი — დღესაც ზღაპრათა იქ დარჩენილი მრეკლე მეფის საოცარი გმირობა.

მრეკლეს სამხედრო გენიოსობის და ქართველი ჯარის მამაცობას განცვიფრებაში მოჰყავდა აგრეთვე მთელი მეროპა. ჩვენს მეფეს განსაკუთრებით აღიდებდა პრუსიის უესანიშნავი მეფე-სარდალი ფრიდრიხ დიდი. ბრძოლის ველზე თავის ჯაქს იგი ამხნევებდა ქართველთა სიმამაცით. —, „დასავლეთით მე ვბრძანებლობ, აღმოსავლეთით კი უძლეველი გმირი მრეკლე მეფეა“, ამბობდა ხშირათ. შრიდრიხ დიდი და უგზავნიდა ჩვენს მეფეს ძვირფას საჩუქრებს,

### წმ. მრეკლე გმირის ომები

მრეკლე მეფემ თავის სიცოცხლეში გადაიხადა ასამდე ომი. უმთავრესად მას უხდებოდა ბრძოლა ჯეკებთან. ეს მოუსვენარი ხალხი მეტად გათამამდა ბოლო ხანებში, გადმოდიოდა მთებდან და ცარცვავდა მართლ-მანების. ლეკთა მიზანდებო არ უსვენებდენ ჩვენ ქვეყანას სხვა მთიელებიც, უმთავრესად ასეები. მაგრამ მოედო ბოლო მათ თარეშს: მათ რიგსხვად განგებამ მოავლინა ერეკლე გმირი.

ჯერ 14 წლის ძლივს იყო მრეკლე, როცა მან დაამარცხა ძახეთში ლეკთა დიდი ჯარი. მას შემდეგ მრეკლეს მრავალჯერ მოუხდა შეტაკება ამ მთის ხალხთან და ყოველთვის გამოდიოდა გამარჯვებულად ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში. პატარა ძახი თავის ხელით ჰკლავდა ლეკთა განთქმულ ბეჭადებს (ჯარის უფროსთ). მრეკლემ მოსპო აგრეთვე ოსთა

თარეშიც. იგი საკმაო რაზმით შევიდა ცხეთში, დაღეწა 40  
კოშკ-სიმაგრენი, დაატყვევა მრავალი ოსი და ძლევამოსილი  
დაბრუნდა სამშობლოში.



გიორგი შეთაძე.

აზატხანის დამარცხება. (1752 წ.) ნადირ-შაჰის სიკვდილის  
შემდეგ სპარსეთის საქმენი მეტად აიწეწა. ხანები ეცი-

ლებოდენ ერთმანეთს ირანის ტახტს. მათ შორის იყო აზატ-  
ხანიც. იგი წამოვიდა 40 ათასი მებრძოლით და მოსთხოვა  
ხარკი ერევნის ხანს, რომელიც ემორჩილებოდა მრეკლეს.  
ეს რომ, მრეკლემ გაიგო, სწრაფად შეკრიბა ხუთი ათასი  
კაცი და გასწია მრევანს. მიუახლოვდა თუ არა მტერს, მრე-



დარეჯან დედოფალი.

კლემ განაზრახა თავის ჯარი, რომ თოფი არ ესროლოთ, სა-  
ნამ თვითონ არ მისცემდა ნიშანს. პატარა რაზმით მრეკლე  
წარსდგა წინ. მტერმა იცოტავა და შემოესია ირგვლივ. ამ

დროს მტრის სარდალმა მოაგდო ცხენი და ამაყათ დაიძახა: — „სად არის მრეკლე ხანია!“ — მე ვარ მრეკლე მე-მეფეო, მიაძახა პატარა ძახმა, დაახალა გულში თოფი და გადმოაგდო ძირს. ამას უცდიდნენ ქართველებიც. დასცალეს მათაც თოფები, იშიშვლეს ხმალი და დაერიენ მტერს. მტრის ჯარმა ვერ გაუძლო ქართველთა სიმამაცეს და გაიქცა. ქართველებს დარჩათ დავლათ 14 ხარბახანი და მთელი ბანაკი. ახსინძის ომი (1770 წ.). რუსებს მოუხდათ ოსმალებთან დიდი ომი. რუსეთის დედოფალმა ეკატერინე დიდმა დახმარება სთხოვა მრეკლეს და გამოგზავნა საქართველოში ოთხი ათასი კაცი გენერალ ტოტლებენის სარდლობით. მრეკლემაც შეკრიბა საკმაო ჯარი და ერთად გაემართნენ ახალციხისკენ, სადაც იყო დაბანაკებული მტრის დიდი ლაშქარი. ბზაში ტოტლებენმა ბძანება მიიღო, ჯარი უკან დააბრუნეო. არავითარმა თხოვნამ არ გასჭრა მასზე; იგი დაბრუნდა უკან და მიატოვა მრეკლე სამიათასი კაცით მტრის თვალწინ, მაგრამ მრეკლე გმირი არ შეუშინდა ლეკ-ოსმალთა დიდ ლაშქარს. მან მიმართა თავის მცირე ჯარს მხურვალე სიტყვით: — „ჩემო გულის ძმანო, გულოვანო ქართველნო! ამისთანა საშინელი ომი ჩვენს თავზე პირველი არ არის. შიომოთ სიკვდილამდი! შავწყდეთ ბრძოლაში და მტერს ზურგო არ ვაჩვენოთ!“ — „შავწყდეთ ერთიანად, შავწყდეთ! ან სიკვდილი, ან გამარჯვება!“ — დაიგრიალა ქართველმა ჯარმა, იძრო ხმალი და შევარდენივით დაერია უთვალავ მტერს. მისვლისთანავე მრეკლემ მოჰკლა ლეკვთა სარდალი კახტა სუჯადი. დაფრთხენ ლეკ-ოსმალნი და გაიქცენ. ისინი შეცვინდნენ აყრილ ხიდზე, ჩატყდა ხიდი და გადაცვინდნენ მტკვარში — მდინარის ზვირთებმა ობილისთან ჩაატარა ათასობით დამხვჩალი ლეკი და ოსმალი. ამ საარაკო გამარჯვებამ განცვიფრებაში მოიყვანა მთელი მეროპა და მოუბოვა მრეკლეს უძლეველი გმირის სახელი.

## 70. პრეკლე მეთვის შინაური ცხოვრება და

### მრავალწილობა

პრეკლე მეთვე დიდებული იყო არა მარტო ბრძოლის ველზე, იგი მეტად ნიჭიერათ მართავდა შინაურ საქმეებსაც. პრეკლე შვეუდგა თავის სამეფოს ევროპიულათ მოწყობას და განახლებას. მისი ბძანებით მცოდნე კაცებმა აღმოაჩინეს ახტაჯას (ბორჩალოში) ოქროვერცხლის მადანი, საიდანაც ხაზინას ქონდა ყოველწილობით ასი ათასი მანეთი შემოსავალი. მეთემ მოსჭრა ფული, ააგო ციხე — სიმაგრენი, უმთავრესად ლეკთა საზღვარზე და დააარსა თბილისში თაფხანა სადაც აკეთებდენ თოფებს და ზარბაზნებს. პრეკლემ დააწესა აგრეთვე „მორიგი დაშქარი“ რიცხვით ხუთი ათასი კაცი და დაუდგინა ასისთავები და ათასისთავები. ამ ჯარს ჯამაგირი ეძლეოდა ხაზინიდან. მორიგეობაში თვით პრეკლე დგებოდა თითო თვეობით და თავის შვილებსაც აყენებდა. ამ თავის მორიგე ჯარის შემწეობით მისმა შვილმა ჯეჟანმა საქართველო გასწმინდა ლეკთა თარეშისაგან. ლევანი იყო იშვიათი ვაჟკაცი და ხალხის გადმოცემით, გმირობით მამას აჭარბებდა. სამწუხაროთ, ეს საუკეთესო მამულისშვილი ადრე მიიცვალა. ლევანის დაკარგვამ გასტება წელში მოხუცი პრეკლე.

ტიდევ უფრო ადრე პრეკლემ მოახდინა სასულიერო პირთა კრება; ამ კრების შემწეობით მან მოსპო ყოველივე უწესო ქცევა. მეთემ დააარსა აგრეთვე სტამბა და ააგო წიგნით ქართლ-ქახეთი. მაგრამ ყველაზე მეტათ პრეკლე ზრუნავდა ხალხის განათლებასზე. ამ მიზნით მან დააარსა სკოლები და ორი სასულიერო სემინარია თფილისსა დი თელავში (ქახეთში). ამგვარი მზრუნველობით საქართველოში წარმოიშვენ შესანიშნავი მწერლები, პოეტები და ფილოსოფოსნი, მაგ. ანტონ ჰინჯული ქათალიკოსი (პოეტი და ფილოსოფოსი), ბესიკი ანუ ბესარიონ კახაშვილი (პოეტი), ამბროსი ნეკრესელი, სოლომონ ლეონიძე (მსაჯული), ვახუხა არბელიანი (ისტორი-

კოსი) ნიკოლოზ დადიანი, (ისტორიკოსი) და სხვ. თვით  
მეფე მრეკლეს შვილიშვილებმა მიიღეს ევროპული განა-



მარიამ დედოფალი

თლება და შეიქნენ შესანიშნავი მწერლები; ასეთი იყვნენ  
მაგ. დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები. თეიმურაზი  
შემდეგ აირჩიეს პეტრეს ქალაქში სამეცნიერო აკადემიის  
წევრად. იოანე ბატონიშვილმა კი იოანე ხელაიასთან  
ერთად შეადგინა შესანიშნავი სამეცნიერო წიგნი „კადმა-  
სობა“.

მიუხედავად ასეთი ზრუნვა-თავდადებისა, მრეკლეს ძართლ-ში ყავდა მრავალი მტერი. იმათ მოახდინეს ორჯერ შეთქმუ-ლობა მეფის წინააღმდეგ. სათავეში იდგენ: პირველ შე-თქმულობაში შახტანგ ჭეიქვის შვილი ზაატა და მეორეში შახტანგისავე შვილიშვილი აჯექისანდრე. ორივე შეთქმულო-ბა დროით შეიტყო მრეკლემ, შეიპყრო: მოლალატენი და გადასცა სამსჯავროს, რომელმაც სცნო ისინი დამნაშა-ვეთ და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ეს განაჩენი მეფემ მოიყვანა სისრულეში.

ბარეშე მტერთა სიმრავლემ, შინაურმა უსიამოვნებამ და მეტადრე საუკეთესო შვილის ლევანის სიკვდილმა გასტენა მრეკლეს ფოლადი გული. მან დაიწყო ძლიერი მფარველის ძებნა თავის ქვეყნისთვის. ამ მიზნით მეფემ მიმართა მერო-პის ხელმწიფეებს, მაგრამ ამაოთ. მაშინ მრეკლემ გადასწყვი-ტა რუსეთის მფარველობაში შესვლა, რომ მით გადაერჩინა ძართლ-ძახეთი ლეკთა თარეშისაგან და უმთავრესად სპარს-ოსმალთა ძალ-მომკრობისაგან. ამ მიზნით მან გამართა მოლა-პარაკება რუსეთის იმპერატრიცა კატერინე დიდთან. იგი სია-მოვნებით დაეთანხმა, რადგან თვით რუსის მთავრობა დიდი-ხანი ცდილობდა ფეხის მომაგრებას ამიერ ქავკასიაში და მით ოსმალეთისა და სპარსეთის დასუსტებას.

## 71. ტრაქტატი ანუ სახელმწიფო ხელშეკრულება

რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელნი შეიკრიბენ ქალაქ ზიორგიევსკის ციხეში 24 ივლისს 1783 წელს და შეად-გინეს ხელშეკრულება ანუ ტრაქტატი, რომელზედაც ხელი მოაწერეს რუსეთის მხრივ ლენერალმა პავლე პოტემკინმა, და საქართველოს მხრივ კი სპასალარმა ივანე ბაკრატიონმა და მანდატურთ უხუცესმა კაცსევან ჭავჭავაძემ\*); ამ მეგობრუ-

\*) შემდეგ კი იმავე ტრაქტატზე ხელი მოაწერეს თვით მრეკლე მე-ფემ და კატერინე დიდმა.



ლი პირობის, ანუ ტრაქტატის ძალით ქართლ-ძახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში; თვით მეფის და ბაგრატიონთა დინასტიის უზენაესი მფარველი შეიქნა რუსეთის იმპერატორი.

ბი მოკლეთ მუხლები ამ ტრაქტატისა:

1. ქართლ-ძახეთის მეფე მრეკლე II ამიერიდან უარყოფს ყოველივე დამოკიდებულებას როგორც სპარსეთთან, ისე სხვა სახელმწიფოებთან და სცნობს თავისთავზე და თავის მემკვიდრეებზე მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს უფლებას და მფარველობას. ამასთანავე აღთქვამს რუსეთის ტახტის ერთგულებას და დანმარებას მუდამ ჟამს, როცა კი მოსთხოვენ მას.

2. რუსეთის იმპერატრიცა მკატერინე II აღთქვამს თავისი და თავის მემკვიდრეთა სახელით მოწყალებას და მფარველობას ქართლ-ძახეთის მეფისა და მის მემკვიდრეთა მიმართ, რის დასამტკიცებლად ვალდებულად რაცხს თავისთავს დაიცვას მრეკლე II სამეფოისა და სამფლობელოთა მთლიანობა და ეცდება შეუერთოს ის ქვეყნებიც, რომლებიც იქნება შეძენილი სხვადასხვა დროს რაიმე გარემოებით.

3. მრეკლე მეფე და მისი მემკვიდრენი ვალდებული არიან ნიშნათ ერთგულებისა და მფარველობისა, აცნობონ რუსეთის იმპერატორს თავის ტახტზე ასვლა და გამოითხოვონ მისგან მეფობაზე დამტკიცება, რისთვისაც იმპერატორი უზავნის მეფეს წერილობით სიგელს, ხმაღს, სამეფო კვერთხს, მანტიას (ყარყუმის მოსასხამს) და დროშას რუსეთის საიმპერატორო დერბით, რომლის შუაგულში იქნება საქართველოს სამეფოს დერბი. ამ სამეფო ნიშნების მიღებისათანავე, რუსის მინისტრის თანადასწრებით, საქართველოს მეფე დიდის ზეიპით აღიარებს ფიცს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე და სცნობს მის უზენაეს უფლებას და მფარველობას.

4. რუსეთის მთავარმართებლის და მინისტრის დაუკითხავად და ნებადაურთველად საქართველოს მეფეს არა აქვს უფლება იქონიოს რაიმე ურთიერთობა მეზობელ მთავრებთან,

პასუხი გასცეს მათ წერილებზე; ან მიიღოს მათი დესპანები.

5. საქართველოს მეფეს ეძლევა უფლება იყოლიოს იმპერატორის წინაშე თავისი მინისტრი ანუ რეზიდენტი. ამგვარივე მინისტრი უნდა ჰყავდეს რუსის ხელმწიფეს მართლ-მართის მეფის წინაშე.

6. რუსეთის იმპერატორი აღთქვამს თავისის და თავის მეგვიდრეთა სახელით: 1) საქართველოს სამეფოთა ერთი იყოლიოს მჭიდრო კავშირსა და სრულს თანხმობაში თავის იმპერიასთან, ამიტომ მათი მტერი ჩასთვალეს თავის საკუთარ მტერად, რის გამო რუსეთსა და ოსმალეთს, სპარსეთს ან სხვა სახელმწიფოს შორის დადებული ზავი უნდა იყოს გავრცელებული საქართველოზედაც. 2) ქართლ-კახეთის ტახტის მატარებელი უნდა იყოს მხოლოდ ერეკლე II, მისი შემგვიდრენი და შთამომავალი, 3) სამეფოს შინაგანი მართვა გამგეობა, სამართალი და სამსჯავრო აგრეთვე უფლებები უნდა დარჩეს ქართლ-კახეთის მეფის სრულს უფლებასა და სარგებლობაში. ამასთანავე ეკრძალებათ რუსეთის სამხედრო თუ სამთავროვო მართვით ჩერიონ სამეფოს შინაურ საქმეებში, ან მთავრდინონ რაიმე განკარგულებანი.

7. მართლ-მართის მეფე აღთქვამს: I, იყოს მუდამ მზათ თავის მხედრობით იმპერატორის სამსახურისათვის. 2, იქონიოს ურთიერთობა რუსეთის უზენაეს მთავრობასთან და დაიფაროს თავის სამეფოში რუსის ქვეშევრდომნი ყოველგვარ შევიწროება-შეურაცყოფისაგან, 3, პატივისცეს უფროს მოხელეებს ჩინებით და დაწინაურებით.

8. ნიშნათ განსაკუთრებული მოწყალებისა, იმპერატორი ანიჭებს ივერიის ქათალიკოზს მერვე ადგილს რუსეთის არქიელთა შორის და აძლევს მასვე უწმინდესი სინოდის წევრობის ხარისხს.

9. იმპერატორი ავრცელებს თავის მოწყალებას საქართველოის თავად-აზნაურობაზე და ანიჭებს მას რუსეთის იმპე-

რიაში იმავე უფლებას და უპირატესობას, რაც აქვს მოპოვებული თვით რუსის კეთილშობილ წოდებას.

10. ქართლ-ქახეთის მცხოვრებთ ეძლევა უფლება დაესახლონ რუსეთში, ან დაბრუნდენ უკან.

11. ქართველ ვაჭრებს შეუძლიათ თავისუფალი ვაჭრობა შთელს რუსეთში და სარგებლობენ ყოველივე უფლებით რუსების თანაბრად.

12. პირობა ესე იწერება სამარადისოთ, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა რომელიმე მუხლის შეცვლა ან ჩამატება ურთიერთ სარგებლობისათვის, ეს უნდა მოხდეს ორივე მხარის შეთანხმებით.

პი მოკლეთ ტრაქტატის შინაარსი\*). ეს უზენაესი მეგობრული პირობა, მრეკლე II-ისა და კატერინა II-ის შორის დადებული, დაარღვია თვით კატერინემ, რადგან არ მიაშველა მრეკლეს ჯარი აღამამდხანის შემოსევის დროს 1795 წ. და შემდეგ იგივე ტრაქტატი ტლანქათ გაქელა კატერინეს შეილმა, სულით ავადმყოფმა პავლე I-მა; ამან სრულად მოსწია ივერიაში შეუობა და გადააქცია იგი რუსეთის გუბერნიად. ამ დღიდან შესწყდა ქართლ-ქახეთში პოლიტიკური თავისუფალი ცხოვრება. ბაბატონდენ ჩვენში რუსის მოხელენი და მით უკუღმა დატრიალდა ქართველი ერის ბედი...

## 72. კახანისის ომი და მრეკლე მეფის გიცივლება

(1795—1798 წ.)

1790-თე წლებში სპარსეთში მოხდა დიდი არეულობა, რომელიც დამთავრდა 80 წლის ხოჯა აღამამდხანის გამე-

\*) აქედან ნათლად სჩანს, რომ ივერიას თავის ნებით მიუღია რუსეთის მფარველობა და შეუკრავს კავშირი იმ პირობით, რომ ორივე მხარე დახმარებოდა ერთმანეთს ჯარებით; ივერიის ტახტზე კი მუდამ მჯდარიყო მრეკლე მეფე და მისი შთამომავალნი და ქვეყნის შინაური მართვა-გამგეობა უნდა ყოფილიყო მეფისავე ხელში.

ფებით. აღა-მამადხანმა 1785 წელს შეკრიბა ასი ათასი მეომარი და მოაჩილება მოსახოვა ამიერ ქავკასიის ხანებს, მასთან მრეკლე მეფესაც. მრეკლემ უარი შეუთვალა. მრისხანე მამადხანი 70 ათასი რჩეული მხედრით საჩქაროდ წამოვიდა თფილისზე. მრეკლემ შეკრიბა უცებ სხმი ათასი კაცი, აფრინა შიკრიკები თავისი შვილებთან და იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან. არც ერთი შვილი არ დაეხმარა მოხუც მამას ამისთანა საშინელ გაჭირვებაში; მხოლოდ იმერეთიდან მოუვიდა მაშველი ჯარი—ორი ათასი კაცი. ამ მცირე ჯარით მოხუცი მრეკლე გმირულად დახვდა მძვინვარე მტერს ძრწანისის ვიწროებაში თფილისიდან ექვსი ვერსის მანძილზე. ბრძოლის წინ მეფემ მიმართა ჯარს მხურვალე სიტყვით: „ხედავთ, ძმებო, ვითარის კადნიერებით მოდიან ჩვენზე უსჯულო სპარსნი! საქართველოს დღეს უნდა გადაუწყდეს თავისი ბედ-იღბალი! დღეს გამოჩნდება, ძმებო, ვინ არის ჩვენში უფრო ვრთგული და ვის უფრო გვიყვარს ჩვენი მამული!“ — „ჩვენ სულ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ, მეფე დღეგრძელი! მტერი რას გვიზამს როცა ჩვენ შეთაურაით გვიყავს მრეკლე გმირი! მისთვის სიცოცხლეს ვილა დაზოგავს!“ — შიამახა ჯარმა მამაცათ, იმიშველეს ხმალი და ეძგერენ მტერს. მოხუცი მრეკლე არწივივით დაქროდა თავის ჯარში, ამხნევებდა და იმავე დროს იბრძოდა. იმ დღეს გამარჯვება დარჩათ ქართველებს, რომელთაც გასწყვიტენ წამეტი ათასი სპარსელი. მაგრამ ამავე ბრძოლაში გაწყდენ საუკეთესო ჩვენი მამულიშვილნი, გაწყდა გმირულათ სამასი ხევსურნი, რომლებმაც შეფიცეს მეფეს, ბრძოლიდან ერთიც ცოცხალი არ გამოვალთო. ამ ბრძოლის შემდეგ მრეკლე მცირე ჯარით გამაგრდა თფილისში. მამადხანი თავის ლაშქრით მოადგა ციხეს. მესამე დღეს ლამით ქვეყნის მოლალატებმა ჩუმათ გაუღეს მტერს ციხის კარები. მრეკლემ ძლიერ გაასწრო მთებში 140 კაცი; დანარჩენი გასწყვიტეს სპარსებმა. მხეცმა მამადხანმა ცეცხლსა და მახვილს მისცა თფილისი და ნანგრევებათ აქცია ეს შშვე-

ნიერი ქალაქი. ამით იჯერა მან გული და დაბრუნდა უკან. ამას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია მრეკლეს. ის მეტად დაჯავრიანდა, დასნეულდა წყალმაკით და განისევსა თელავში 11 იანვარს 1798 წელს. შეიქნა საშინელი გლოვის ზარი და ტირილი მთელს საქართველოში. ზმირ მეფეს ცხარედ დასტიროდა ქართველი ერი; მის დაკარგვას ერთგვარი მღულარებით მოსთქვამდა მთა და ბარი.— „აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს! მტერთა ისმიან ხმანი“-ო... მოსთქვამდენ თუმ-ფშავ-ხევსურნი და ამ მოთქმას ბანს აძლევდა ქართლ-ქახეთის მწარე ქვითინი. მრეკლე მეფის გვამი დიდის დიდებით წაასვენეს მცხეთას და დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში.

### 73. საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში

(1801 წ.)

მრეკლე გმირის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი კიორგი მეთაწმეტე. ეს ზიორგი იყო უმოქმედო და ზარმაცი კაცი. თავის სიკოხლეს იგი ლოცვა-ვედრებასა და სმა-ჭამაში ატარებდა. იმავე დროს ზიორგი სნეული იყო და დიდხნის სიკოცხლე არ ქონდა. ზიორგის შემდეგ, მრეკლეს ანდერძის ძალით, ტახტზე უნდა ასულიყო ზიორგის უფროსი ვაჟი დავითი კი არა, არამედ მისი ძმა იუფანი, მრეკლეს შვილი, მესამე ცოლის. ღარეჯან დედოფლისაგან ნაყოლი. ეს ანდერძი აწუხებდა ზიორგი მეფეს. ამისთვის მან გაგზავნა რუსეთს ელჩები და სთხოვა იმპერატორ ჰაჯჯეს, მიეღო ივერია რუსეთის მფარველობაში, იმ პირობით კი, რომ ქართლ-ქახეთის მეფედ დარჩენილიყო ზიორგი მეფე და მისი შთამომავლობა და ტახტი არ გადასულიყო მის ძმაზე იულონზე. რუსეთის იმპერატორმა შეიწყნარა ეს თხოვნა, თანაც საქართველოში გამოგზავნა დენერალი ააზარევი ერთი პოლკით და მინისტრათ მეფის კარზე კოფა-ჯენსკი.

ამ ამბავმა დიდი განხეთქილება დაბადა შიორგის ძმებს შორის. ისინი აეშალენ მეფეს. ზოგი გაიქცა სამოქმედოთ იმერეთს, ზოგი ოსმალეთს და ზოგიც სპარსეთს. შეიქნა შინაობაში ერთი შფოთი და არეულობა. შიორგი მეფემ ხელს შეორეთ გაგზავნა ელჩები რუსეთს და ითხოვა რუსეთის მფარველობაში შესვლა შემდეგი პირობით: მეფეთ უნდა დარჩენილიყო თვითონ გიორგი, ტახტის შემკვიდრეთ კი მისი უფროსი ვაჟი დავითი, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი უნდა უფილიყო.



ბატონიშვილი იულონ.

ბატონიშვილი დავით.

მუდამ უამს ხელუხლებელი და რუსის მთავრობა არ უნდა ჩარეოდა სამეფოს შინაურ საქმეებში, საქართველოს ეკლესიას, შკოლას და სასამართლო უნდა დარჩენილიყო იმ წესით, როგორც იყო ძველათ. მხოლოდ ახლად მოჭრილ ფულზე უნდა უფილიყო ერთი მხრით რუსის იმპერატორის სახელი, მეორე მხრით კი საქართველოს დერბი. მასთან საქართველოში უნდა შემოსულიყო რუსის ფარი, ქართველ მილიციას კი უნდა ემსახურა თავისი ეროვნული ტანისამოსით და სხ.

შეკლა ეს მუხლები მიიღო და დაამტკიცა იმპერატორმა ჰაუელემ 19 ნოემბერს 1800 წელს. შემდეგ ეს პირობა დაამტკიცა

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თავისი მანიფესტით 12 სექტემბერს 1801 წელს და ამრიგათ რუსეთი შეიქნა უმაღლესი მთავრული ქართლ-კახეთის სამეფოსი.

რუსეთთან შეკავშირებას ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა საქართველოში, მათ შორის სახელოვანი მამულიშვილი და ფრიად განათლებული პირი სოლომონ ლეონიძე, მრეკლე მეფის მსაჯული. რუსეთში წასულმა ელჩებმა ველარ ჩამოუსწრეს ბიორგი მეფეს. ის გადაიცვალა 22 დეკემბერს 1800 წ.

რამდენიმე წლის შემდეგ ამავე პირობით შეუკავშირდნენ რუსეთს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც, ვ. ი. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, ზურია-სამეგრელოს და ხვანეთ-აფხაზეთის მთავრები.

#### 74. დედოფალთა და ბატონიშვილთა გადასახლება რუსეთში

ბიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ მისი უფროსი ვაჟი დავითი შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას, მაგრამ ლენერალმა ლაზარემა, უმაღლესი ბრძანების მიხედვით, არ მიუშვა იგი სამეფოს საქმეებზე. რუსეთის მთავრობამ საქართველოს მართველათ დანიშნა ლენერალი კნორინგი და დააწესა დროებითი მართველობა. საქართველოს მართველათ დანიშნა ქართველი ლენერალი პავლე ციციანოვი. ციციანოვი გაეცნო საქართველოს საქმეებს და მოახსენა იმპერატორს, რომ ქვეყნის დასამშვიდებლათ საჭიროა საქართველოს მეფის გვარეულობის რუსეთში გადასახლებაო. მალე ციციანოვმა ამის ნებართვა მიიღო და მაშინვე სთხოვა დედოფლებსა და ბატონიშვილებს წასულიყვენ რუსეთს. ზოგი მათგანი დაემორჩილა ციციანოვის სურვილს, ზოგი არა. გადასახლების დიდი წინააღმდეგი იყვნენ მრეკლე მეფის ქვრივი დარეჯან დედოფალი და ბიორგი მეფის ქვრივი მარია დედოფალი, აგრეთვე ბატონიშვილები — ერეკლე ქენი და იულონის ვაჟი ლევანი.

დიდი მეცადინობის შემდეგ ყველანი გადასახლეს რუსეთს, გარდა მრეკლეს ძის ალექსანდრე ბატონიშვილისა და იულონის ძის ლევანისა.

ეს ორი რაინდი, ლევანი და ალექსანდრე დიდ წინააღმდეგობას უწევდენ რუსის მთავრობის დამყარებას საქართველოში. ისინი აქეზებდენ სპარსებსა და ოსმალებს რუსების წინააღმდეგ და აჯანყებდენ ლეკებსა და ოსებს. აგრეთვე მათი მეოხებით მოხდა კახეთის აჯანყება 1811 წელს, რასაც მოყვა დიდი სისხლის ღვრა. ბოლოს ლევანი მოჰკლეს გოგის ციხისხეობაში 1811 წელს, ალექსანდრე კი მიიკვალა ქ. თეირანში (სპარსეთში) 1844 წელს.

შინამ დედოფალი. 1 აპრილს 1803 წელს ციციანოვმა უბძანა ლენერალ ლაზარევს ზიორგი მეფის ქვრივის მარიამ დედოფლის შეპყრობა და რუსეთში გადასახლება. 19 აპრილს დილით ადრე ლაზარევმა შემოარტყა ჯარი დედოფლის სასახლეს, თვითონ კი რამდენიმე აფიცრით შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში. დედოფალმა მრისხანეთ უთხრა ლაზარევს, საქართველოდან არსად წავალო. ლაზარევი გავიდა გარეთ, მოახდინა განკარგულება, შემობრუნდა ისევ და მივიდა დედოფალთან ტახტიდან ძალით ჩამოსაყვანათ. ზაბრაზებულმა დედოფალმა უეცრად საწოლიდან იძრო ხანჯალი და ჩაკრა გულში რუსის ლენერალს. ლეზარევი იქვე დაეცა მკვდარი. დედოფალი წაიყვანეს რუსეთს და დაამწყვდიეს ბეჟგოროდის მონასტერში, სადაც იგი აღესრულა. მისი გვამი მოასვენეს საქართველოში და დიდის დიდებით დასაფლავეს მცხეთის ტაძარში 30 მარტს 1851 წელს.


## 75. რუსის მართვა გავგეობის დამყარება საქართველოში

დედოფალ-ბატონიშვილთა გადასახლებისა და აჯანყების დაწყების შემდეგ რუსის მთავრობა შეუდგა თავისი მართვა-გამგეობის დამყარებას საქართველოში. მოსპეს ჩვენი





შეფობა და მთაფრობა, ნაცვლათ ამისა დააყენეს რუსის მთაფარ-  
მარტებელი. მოსპეს აგრეთვე თანდათან ქართული მართვა-  
გამგეობა, ეკლესიის დამოუკიდებლობა, ქართული შკოლები,  
ქართული სასამართლოებში და მათ ნაცვლათ ყველგან გაბა-



ანტონ კათალიკოსი II.

ტონდა რუსული მართვა-გამგეობა, რუსული ენა, რუსული  
შკოლა და სასამართლო. საქართველოს ეკლესია დაუმორ-  
ჩილეს უწმინდეს სინოდს და მის წარმომადგენლათ, ნაცვლათ  
ჩვენი კათალიკოზისა, დანიშნეს რუსის ექსარხსი.

ამავე ხანებში რუსებს მოუხდათ დიდი და ხანგრძლივი ომები სპარს-ოსმალებთან და მეტადრე მთის ხალხებთან—ლეკებსა და ჩაჩნებთან. ამ ომებში მზურვალე მონაწილეობას იღებდენ ქართველები, უმტკიცებდენ რუსის მთავრობას თავის ერთგულობას, წინ მიუძღოდენ ყველგან რუსის ჯარებს და თავის სისხლით რწყავდენ ველსა და მთებს. ამრიგათ, ქართველთა მეოხებით, რუსის მთავრობამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ყველგან, დაიპყრო მთიელები, წაართვა სპარს-ოსმალებს მრავალი ადგილი და გაბატონდა სრულიად აზიურ კავკასიაში.

947.922

+ 451